

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

ალექსანდრე კვახაძე

საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. მერაბ ჩუხუა

თბილისი
2019

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია აფხაზურ-ადილურ ენათა ფონოლოგიური ინვენტარის დიაქრონული ანალიზი და საერთოაფხაზურ-ადილური ფუძე ენის ფონემატური სისტემის რეკონსტრუქცია. აფხაზურ-ადილურ ენებში მოიაზრება ჩერქეზული ენა (დასავლურ ჩერქეზულ დიალექტთა წრე, იგივე ადილური; აღმოსავლურ ადილურ დიალექტთა წრე, იგივე ყაბარდოული), აფხაზურ-აბაზური ენა და უბიხური ენა. წინამდებარე ნაშრომი არის მცირე ნაწილი იმ მამუტაბური კვლევისა, რომელიც აფხაზურ-ადილურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სისტემისა და ცალკეული ლექსემების აღდგენას ითვალისწინებს. ნაშრომის ფორმატისა და სტანდარტების გათვალისწინებით, ჩვენ წარმოგიდგენთ საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციას. რეკონსტრუქციის მასალა მოიცავს ფუძე ენურ ხმოვნებს, თანხმოვნებსა და თანხმოვანთა ბგერათკომპლექსებს. რეკონსტრუქცია განხორციელდება ქრონოლოგიური დონეების სრული დაცვით. პირველად ნაჩვენები იქნება საერთოაფხაზურ-აბაზური და საერთოჩერქეზულ-უბიხური რეკონსტრუქციები, საბოლოოდ მათ ურთიერთშეპირისპირების შედეგად კი საერთოაფხაზურ-ადილური. ნაშრომზე დაყრდნობით, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება საერთოაფხაზურ-ადილური მორფოლოგიისა და სინტაქსის უფრო მეტი ზისუსტიტ აღდგენა. მეტიც, აღდგენილი მასალა შესაძლოა წაადგეს აფხაზურ-ადილურ ენათა სხვა კავკასიურ ენებთან გენეტიკური და არეალური ურთიერთმიმართების დადგენის საკითხს.

Abstract

The present dissertation aims the diachronic analysis of the common Abkhaz-Adyghe phonological system and the reconstruction of its phonemes. Abkhaz-Adyghe language group includes Circassian (Adyghean or the group of Western Circassian dialects; and Kabardian, or the group of Eastern circassian dialects), Abkhaz-Abaza and Ubykh languages. The present paper is an integral part of the large-scale examination of Abkhaz-Adyghe phonology, morphology, syntax and its lexical components. Within the framework of the format and standards of this research, we will represent the reconstruction of Abkhaz-Adyghe phonological system. The reconstructed material includes the common vowels, consonants, and consonant clusters. The reconstruction will be done in accordance to all chronological levels. At the first stage, author will demonstrate common Abkhaz-Abaza and common Circassian-Ubykh reconstructions, which will be followed by the common Abkhaz-Adyghe material, based on the comparison of the previous two levels. The present work will give a way to more accurate reconstruction of the common Abkhaz-Adyghe morphology and syntax. Furthermore, the reconstructed material could be useful for examining the genetic and areal relatedness between Abkhaz-Adyghe and other languages of Caucasus.

შინაარსი

შესავალი.....	1
თავი I: ბილაბიალური სისტემის რეკონსტრუქცია.....	23
თავი II: დენტალური სისტემის რეკონსტრუქცია.....	40
თავი III: ლატერალური სისტემის რეკონსტრუქცია.....	56
თავი IV: სიბილანტური სისტემის რეკონსტრუქცია.....	69
თავი V: უკანაენისმიერ ფონემათა სისტემის რეკონსტრუქცია.....	122
თავი VI: ხმოვანთა სისტემის რეკონსტრუქცია.....	166
თავი VII: ბგერათვომპლექსების რეკონსტრუქცია.....	175
დასკვნა.....	179
ბიბლიოგრაფია.....	188

ცხრილები

ცხრილი N 1: აფხაზურ-ადიღური თანხმონების რაგვარობა

ცხრილი N 2: ბილაბიალური ფონემების რეკონსტრუქცია

ცხრილი N3: არაიდენტური ბილაბიალური ბგერათშესატყვისობები

ცხრილი N4: რეკონსტრუირებული დენტალური ფონემები

ცხრილი N 5: ს. სტაროსტინის და ს. ნიკოლაევის რეკონსტრუქცია

ცხრილი N 6: ვ. ჩირიკბას რეკონსტრუქცია

ცხრილი N7: ლატერალური ფონემების რეკონსტრუქცია

ცხრილი N 8: ვ. ჩირიკბას მიერ რეკონსტრუირებული სიბილანტები

ცხრილი N 9: ს. სტაროსტინის და ს. ნიკოლაევი მიერ რეკონსტრუირებული სიბილანტები

ცხრილი N 10 : ჩვენსმიერ რეკონსტრუირებული სიბილანტები

ცხრილი N 11: რეკონსტრუირებული გუტურალური ფონემები

ცხრილი N 12: რეკონსტრუირებული უვულარული ფონემები

ცხრილი N 13: რეკონსტრუირებული ფარინგალური ფონემები

ცხრილი N 14: რეკონსტრუირებული პალატალური ფონემები

ცხრილი N 15: საერთოაფხაზურ-ადიღური ფონოლოგიური სისტემა

ტრანსკრიფცია

- ა - დაბალი აწეულობის ღია ხმოვანი
- ჰ - დაბალი აწეულობის დახურული ხმოვანი
- გ - ნეიტრალური (ე.წ. ირაციონალური) ხმოვანი
- ო - საშუალო აწეულობის ლაბიალური ხმოვანი
- უ - მაღალი აწეულობის ლაბიალური ხმოვანი
- ე - საშუალო აწეულობის პალატალური ხმოვანი
- ი - მაღალი აწეულობის პალატალური ხმოვანი
- ჟ - დაბალი აწეულობის პალატალიზებული (უმლაუტიანი) ღია ხმოვანი
- ჩ - საშუალო აწეულობის ლაბიალური პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვანი
- წ - მაღალი აწეულობის ლაბიალური პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვანი
- ღ - პალატალური ნახევარხმოვანი (სონანტი)
- ჭ - ლაბიალური ნახევარხმოვანი (სონანტი)
- ‘ჭ - ფარინგალიზებული ლაბიალური ნახევარხმოვანი (სონანტი)
- ბ - ბილაბიალური მჟღერი ხშული
- ‘ბ - ფარინგალიზებული ბილაბიალური მჟღერი ხშული
- ფ - ბილაბიალური ყრუ-ფშვინვიერი ხშული
- ფჟ - ბილაბიალური ყრუ-უფშვინველი ხშული
- პ - ბილაბიალური ყრუ-მკვეთრი ხშული
- პ° - ბილაბიალური ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული ხშული
- მ - ბილაბიალური სონორი
- ‘მ - ფარინგალიზებული ბილაბიალური სონორი
- დ - დენტალური მჟღერი ხშული
- დ° - დენტალური მჟღერი ლაბიალიზებული ხშული
- თ - დენტალური ყრუ-ფშვინვიერი ხშული
- თჟ - დენტალური ყრუ-უფშვინველი ხშული
- თ - დენტალური ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული ხშული
- თჟ - დენტალური ყრუ-უფშვინველი ლაბიალიზებული ხშული
- ტ - დენტალური ყრუ-მკვეთრი ხშული
- ტ° - დენტალური ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული ხშული
- რ - დენტალური ვიბრანტი სონორი
- ნ - დენტალური ნაზალური სონორი

- ც - ლაბიოდენტალური მჟღერი სპირანტი
- ჭ - ლაბიოდენტალური ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ჩ - ლაბიოდენტალური ყრუ-მკვეთრი სპირანტი
- ძ - სისინა მჟღერი აფრიკატი
- ძ⁰ - სისინა მჟღერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ც - სისინა ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი
- ც⁰ - სისინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ც¹ - სისინა ყრუ-უფშვინველი აფრიკატი
- ც⁰ - სისინა ყრუ-უფშვინველი ლაბიალიზებული აფრიკატი
- წ - სისინა ყრუ-მკვეთრი აფრიკატი
- წ⁰ - სისინა ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ზ - სისინა მჟღერი სპირანტი
- ზ⁰ - სისინა მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ს - სისინა ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ს⁰ - სისინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ძ' - სისინ-შიშინა მჟღერი აფრიკატი
- ძ⁰ - სისინ-შიშინა მჟღერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ც' - სისინ-შიშინა ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი
- ც⁰ - სისინ-შიშინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ც¹ - სისინ-შიშინა ყრუ-უფშვინველი აფრიკატი
- ც⁰ - სისინ-შიშინა ყრუ-უფშვინველი ლაბიალიზებული აფრიკატი
- წ' - სისინ შიშინა ყრუ-მკვეთრი აფრიკატი
- წ⁰ - სისინ-შიშინა ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ზ' - სისინ-შიშინა მჟღერი სპირანტი
- ზ⁰ - სისინ-შიშინა მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ს' - სისინ-შიშინა ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ს⁰ - სისინ-შიშინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ს¹ - სისინ-შიშინა ყრუ-მკვეთრი სპირანტი
- ს⁰ - სისინ-შიშინა ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული სპირანტი
- ჯ - შიშინა მჟღერი აფრიკატი
- ჯ[~] - შიშინა მჟღერი პალატალიზებული აფრიკატი
- ჯ⁰ - შიშინა მჟღერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჩ - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი

- ჩ~ - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი პალატალიზებული აფრიკატი
- ჩ° - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჩა - შიშინა ყრუ-უფშვინველი აფრიკატი
- ჩა~ - შიშინა ყრუ-უფშვინველი პალატალიზებული აფრიკატი
- ჩა° - შიშინა ყრუ-უფშვინველი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჭ - შიშინა ყრუ-მკვეთრი აფრიკატი
- ჭ~ - შიშინა ყრუ-მკვეთრი პალატალიზებული აფრიკატი
- ჭ° - შიშინა ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჟ - შიშინა მჟღერი სპირანტი
- ჟ~ - შიშინა მჟღერი პალატალიზებული სპირანტი
- ჟ° - შიშინა მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- შ - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- შ~ - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი პალატალიზებული სპირანტი
- შ° - შიშინა ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- შჟ - შიშინა ყრუ-მკვეთრი სპირანტი
- გ - გუტურალური (ველარული) მჟღერი ხშული
- გ~ - გუტურალური (ველარული) მჟღერი პალატალიზებული ხშული
- გ° - გუტურალური (ველარული) მჟღერი ლაბიალიზებული ხშული
- ქ - გუტურალური (ველარული) ყრუ-ფშვინვიერი ხშული
- ქ~ - გუტურალური (ველარული) ყრუ-ფშვინვიერი პალატალიზებული ხშული
- ქ° - გუტურალური (ველარული) ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული ხშული
- ქა - გუტურალური (ველარული) ყრუ-უშვინველი ხშული
- ქა~ - გუტურალური (ველარული) ყრუ-უშვინველი პალატალიზებული ხშული
- ქა° - გუტურალური (ველარული) ყრუ-უშვინველი ლაბიალიზებული ხშული
- ღ - გუტურალური (ველარული) მჟღერი სპირანტი
- ღ~ - გუტურალური (ველარული) ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ღ° - გუტურალური (ველარული) ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ღა - უვულარული მჟღერი აფრიკატი
- ღა° - უვულარული მჟღერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- წ - უვულარული ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი
- წ~ - უვულარული ყრუ-ფშვინვიერი პალატალიზებული აფრიკატი
- წ° - უვულარული ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჭა - ფარინგალიზებული უვულარული ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი

- ‘წ’ - ფარინგალიზებული უვულარული ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ჭ - უვულარული ყრუ-უფშვინველი აფრიკატი
- ჭ~ - უვულარული ყრუ-უფშვინველი პალატალიზებული აფრიკატი
- ჭ° - უვულარული ყრუ-უფშვინველი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ყ - უვულარული ყრუ-მკვეთრი აფრიკატი
- ყ° - უვულარული ყრუ-მკვეთრი ლაბიალიზებული აფრიკატი
- ღ - უვულარული მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ღ° - უვულარული მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ‘ღ - ფარინგალიზებული უვულარული მჟღერი სპირანტი
- ‘ღ° - ფარინგალიზებული უვულარული მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ხ - უვულარული ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ხ° - უვულარული ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ‘ხ - ფარინგალიზებული უვულარული ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ‘ხ° - ფარინგალიზებული უვულარული ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ლ~ - მჟღერი ლატერალური სპირანტი
- ლ’ - ყრუ-ფშვინვიერი ლატერალური სპირანტი
- ლ’ - ყრუ-მკვეთრი ლატერალური სპირანტი
- ც - ლარინგალური ყრუ-მკვეთრი სპირანტოიდი
- ც~ - ლარინგალური ყრუ-მკვეთრი პალატალიზებული სპირანტოიდი
- ც° - ლარინგალური ყრუ-მკვეთრი პალატალიზებული სპირანტოიდი
- ჭ - ლარინგალური ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ჭ - ფარინგალური მჟღერი სპირანტი
- ჭ° - ფარინგალური მჟღერი ლაბიალიზებული სპირანტი
- ჭ - ფარინგალური ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი
- ჭ° - ფარინგალური ყრუ-ფშვინვიერი ლაბიალიზებული სპირანტი

შემოკლებანი

შაფს. – შაფსულური
ჭემ. – ჭემგური
აბძ. – აბძხური
ბჟედ. – ბჟედული
ყაბ. – ყაბარდული
ბასლ. – ბასლენური
უბ. – უბიხური
ჩერქ. – ჩერქეზული
აფხ. – აფხაზური
აბაზ. – აბაზური
ტაპ. – ტაპანთური
აშხ. – აშხარული
სად. – საძური
დალ-წაბ. – დალ-წაბალური
ახჭ. – ახჭიფსოური
ჰათუკ. – ჰათუკური
თურქ. – თურქული
ქართ. – ქართული
მეგრ. – მეგრული
სვან. – სვანური
ოს. – ოსური
ჩეჩ. – ჩეჩნური
ინგ. – ინგლისური
რუს. – რუსული

შესავალი

ისტორიულ-შედარებითი და დიაქრონიული ენათმეცნიერების, როგორც ლინგვისტიკის ერთ-ერთი საკვანძო დარგის, მთავარი მიზანია ენათა ან ენობრივ ერთობათა შორის ურთიერთმიმართების დადგენა, მათი ოჯახებად, ჯგუფებად, ქვეჯგუფებად და უფრო წვრილ ერთეულებად დაყოფა და, შეძლებისდაგვარად, მონათესავე ენათა წინაპარი ენის ან მისი რომელიმე ენობრივი ელემენტის აღდგენა. ენობრივი დიაქრონია არის დროის განზომილება, რომელიც მოიაზრებს „ენობრივ ელემენტთა, ცვლილებათა და ევოლუციის კვლევას“ (კემპბელი, მიქსკო 2007: 42). დიაქრონიული და სინქრონიული ენათმეცნიერება პირველად განაცალკევა ფერდინანდ დე სოსიურმა (სოსიური 2011: 91). ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთ ქვაკუთხედად ფონოლოგიური ცვლილებებია მიჩნეული (კემპბელი 2013: 14-15). ჩვეულებრივ, ათასწლეულების მანძილზე მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემის ცვლილება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ფონოლოგიურისა. სწორედ ფონოლოგიური მონაცემებია ის ძირითადი მასალა, რასაც ეყრდნობა დიაქრონიული ენათმეცნიერება. მე-19 საუკუნეში ნეოგრამატიკოსთა სკოლის მიერ გამოვლენილ იქნა ბგერათა ცვალებადობის კანონზომიერება. „ბგერათა ცვლილებას არ გააჩნია გამონაკლისი“ – ლოზუნგით გამოვლინდა ბგერათა რეგულარულობისა და კანონზომიერების კანონი (ოსტჰოფი და ბრუგმანი 1878). ორ ენასა ან ენობრივ ერთობას შორის გენეტიკური ნათესაობა იზომება მათ შორის არსებულ რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა პოვნით. ბგერათშესატყვისობათა მწყობრი სისტემის არარსებობის შემთხვევაში ენათა ურთიერთმიმართების საკითხი ღიაა ან ნათესაობა უფრო ღრმა ქრონოლოგიურ დონეზეა საძიებელი.

პალეოკავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის გენეტიკური ურთიერთმიმართების დადგენა კავკასიური ენათმეცნიერების ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული რიგი ნაშრომები ემსახურება ქართველურ და სხვა კავკასიურ ენებს შორის ბგერათშესატყვისობათა დადგენას. პირველ ასეთ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ პროფ. მ. ჩუხუას მონოგრაფია „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“ (2008), სადაც შეპირისპირებულია ქართველური და ნახური ენების ფონოლოგიური და ლექსიკური ინვენტარი. შედარებით უფრო ნაკლები მოცულობის ქართველურ-დადესტნური შედარებითი მასალა წარმოდგენილია მიხეილ ქურდიანის ნაშრომში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ (2007). უფრო ვრცელი ქართველურ-აფხაზურ-ადილური შეპირისპირებები წარმოდგენილია მ. ჩუხუას სხვადასხვა სტატიებსა თუ საკონფერენციო თეზისებში (ჩუხუა 2007; 2007ა; 2008; 2009; 2011). აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენათა შედარებითი ფონოლოგია და ძირ-ფუძეები ერთიანი შემაჯამებელი ნაშრომის სახით წარმოდგენილია მისი მონოგრაფიაში „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“ (2017). გარდა ამისა, ქეთევან ლომთათიძესა და გიორგი როგავას ჰქონდათ ცალკეული აფხაზურ-ადილური ლექსემების ქართველურებთან დაკავშირების მცდელობები (ლომთათიძე 1955; 1977ა; 1980; როგავა 1946; 1955; 1985; 1986).

წინამდებარე კვლევის მთავარი საგანი არის აფხაზურ-ადილურ ენათა ფონოლოგიური სისტემის დიაქრონულ ჭრილში განხილვა. აფხაზურ-ადილური ენები იყოფიან ორ ძირითად ქვეჯგუფად: აფხაზურ-აბაზური და ჩერქეზულ-უბიხური. აფხაზურ-აბაზური ქვეჯგუფში პირობითად ორი ენა ერთიანდება: აფხაზური და აბაზური, თუმცა კომპარატივისტიკის მეთოდების გამოყენებით ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი ენის ორ დაშორებულ დიალექტთან (ლომთათიძე 1944; ლომთათიძე 1954). ამის მიუხედავად, პოლიტიკურ და სოციოლინგვისტური მიზეზების გამო დღეს სპეციალურ ლიტერატურაში იხმარება ტერმინები აფხაზური ენა და აბაზური ენა. თავის მხრივ, აფხაზური (სამხრული) იყოფა აბჟურ, საძურ, ახჭიფსოურ და დალ-წაბალურ დიალექტებად, ხოლო აბაზური (ჩრდილოური) კი აშხარულად და ტაფანტურად (ჩირიკვა 1995).

დღეისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ჩერქეზებს შორის მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა ერთიანი ეთნონიმის შემოღების თაობაზე. დღეისათვის რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის აღწერისას ჩერქეზთა სხვადასხვა სუბეთნოსის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ყაბარდოელი“ (რუს. кабардинец, кабардинцы), „ჩერქეზი“ (რუს. черкес, черкесы), ადიღელი (რუს. адыгеец, адыгейцы) და შაფსული (რუს. шапсуг, шапсуги).

ჩერქეზული ენის შემთხვევაში აღმოსავლური დიალექტები გამოიყოფა ყაბარდოულ-ჩერქეზული ენად (რუს. кабардино-черкесский язык), ხოლო დასავლური დიალექტები – ადიღურად (რუს. адыгейский язык). მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი შეუსაბამო საკითხები. მაგალითად, ადიღეს რესპუბლიკაში ყაბარდოელებით დასახლებულ სოფელ ქომეჰაბლის ჩერქეზული მოსახლეობა რუსეთის ფედერაციის 2014 აღნიშნულია როგორც „ადიღელი“ (სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური 2014, 24).

ზოგადად, რუსეთის ფედერაციაში გამოყენებული ტერმინოლოგია სათავეს საბჭოთა პერიოდიდან იღებს. ნუკ გიშევი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „თუკი ტერმინი ყაბარდო (ქაბართეი) გაჩნდა მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში, ტერმინი ჩერქეზი გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა.“ (გიშევი 2013, 2). ამავდროულად, ბეთროზოვი მიიჩნევს, რომ „ადიღური მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინი ჩერქეზი თურქულენოვანი მოსახლეობის წიაღში გაჩნდა, რომელიც სხვა ხალხებმაც აითვისეს და შემდგომში მყარად დამკვიდრდა ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურაში“ (ბეთროზოვი 1996, 225).

საყურადღებოა, რომ თურქეთში მცხოვრებ ჩერქეზთათვის უცხოა „ყაბარდოელებად“ და „ადიღელებად“ დაყოფა. მაგალითად, კაისერის პროვინციის რეგიონ უზუნიაილაში, სადაც 50-ზე მეტი ყაბარდოული და 13 ჰათუკაური სოფელია თავმოყრილი, მიუხედავად დიალექტური სხვაობისა ჩერქეზი ერის ერთობა ექვგარეშა.

თვითსახელწოდება „ადილე“ და უცხოენოვანი სახელწოდება „ჩერქეზი“ – ეს არის ჩერქეზი საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში შემდეგ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ: ყაზარდოულისა და ბასლენური აღსანიშნავად გამოვიყენება ტერმინი „აღმოსავლურადილური დიალექტები“, ხოლო შაფსულური, ბჟედულური, შაფსულური, აბძახური და ჰათუკაური დიალექტების „დასავლურადილური დიალექტები“. რაც შეეხება აფხაზურ-აბაზურს, იმ შემთხვევაში თუკი ფონეტიკური პროცესი იდენტურია აფხაზურ და აბაზურ დიალექტებში, შეპირისპირებისას მითითებული იქნება აფხაზური და აბაზური. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე დიალექტის წიაღში განსაკუთრებულ ფონოლოგიურ პროცესს აქვს ადგილი, მაშინ მითითებული იქნება კონკრეტული დიალექტი, მაგალითად ბზიფური, აბჟუური, ტაფანტური და აშხარული.

რაც შეეხება ჩერქეზულ-უბიხურ ჯგუფს, აქ საქმე გვაქვს ორ გამოკვეთილ ენასთან – ჩერქეზულსა და უბიხურთან. ჩერქეზულის შემთხვევაში იმავე პრობლემას ვაწყდებით, რაც აფხაზურ-აბაზურ ენებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური კომისიის დადგენილების მიხედვით, ყაზარდოული და ადილეური ენები ერთი ენის ორ დიალექტად იქნა აღიარებული. დღესდღეობით აკადემიურ წრეებში კვლავაც გამოიყენება ტერმინი ყაზარდოული და ადილეური ენა. თავის მხრივ, ყაზარდოული იყოფა ბაქსანის, ბასლენისა და ყუბანის დიალექტებად, ხოლო ადილეური ენა ადილეურ, ჭემგურ, ბჟედულურ, შაფსულურ, აბძახურ და ჰათუკაურ დიალექტებად.

უბიხურ ენას არ გააჩნდა მკვეთრი დიალექტური დიფერენციაცია; სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ შახესა და ვარდანეს თქმებს (კუმახოვი 1967).

წინამდებარე ნაშრომი არის მცირე ნაწილი იმ მაშტაბური კვლევისა, რომელიც აფხაზურ-ადილურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური სისტემებისა და ცალკეული ლექსემების აღდგენას ითვალისწინებს. ნაშრომის ფორმატისა და სტანდარტების გათვალისწინებით, ჩვენ წარმოგიდგენთ საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციას. აღდგენილი მასალა მოიცავს ფუძეენისეულ ხმოვნებს, თანხმოვნებსა და თანხმოვანთა ბგერათკომპლექსებს. რეკონსტრუქცია განხორციელდება ქრონოლოგიური დონეების ზედმიწევნითი დაცვით.

თავდაპირველად ნაჩვენები იქნება საერთოაფხაზურ-აბაზური და საერთოჩრქვეულ-უბიხური რეკონსტრუქციები, საბოლოოდ მათ ურთიერთშეპირისპირების შედეგად კი – საერთოაფხაზურ-ადილური.

ნაშრომზე დაყრდნობით, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება საერთოაფხაზურ-ადილური მორფოლოგიისა და სინტაქსის მეტი სიზუსტით აღდგენა. მეტიც, აღდგენილი მასალა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აფხაზურ-ადილურ ენათა სხვა კავკასიურ ენებთან გენეტიკური და არეალური ურთიერთმიმართების დადგენისას.

აფხაზურ და აბაზურ დიალექტებს ჯერ კიდევ ქეთევან ლომთათიძემ ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაშრომს უწოდა „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944). ამის გათვალისწინებით, სამხრულ დიალექტებს (აბჟურის, ბზიფურის, საძურის, დალ-წაბალურის და ახჭიფსოურის) აღინიშნება როგორც „აფხაზური“, ხოლო ჩრდილოური დიალექტები (ტაფანტურის და აშხარული) – როგორც „აბაზური“. ცალკეული დიალექტი აღინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ მოვლენას მიექცევა ყურადღება, აფხაზურისა და აბაზურის აღმნიშვნელ საერთო ტერმინად კი „აფხაზურ-აბაზური“ იქნება გამოყენებული .

ენობრივი მასალა მოხმობილია შემდეგი წყაროებიდან: აფხაზური (კასლანძია 2005; ჰენკო 1988; კასლანძია-ჯონუა 2016, ჩირიქა 1996ა), მათ შორის ბზიფური დიალექტი (ბლაჟბა 1964), აბაზური (ტუგოვი 1967, ჟიროვი და ექბა 1956, ლომთათიძე 1944; 1946), უბიხური (ფოგტი 1963, ბერსიროვი და ბერსიროვა 2017, კლიმოვი და ჰალილოვი 2003, ჩირიქა 1996), აღმოსავლური ჩერქეზული (კარდანოვი 1957, აპაჟევი და კოკოვი 2008), ცალკეული აღმოსავლურ-ჩერქეზული კილო-თქმები (ყუბანურ-ზელენჩუკური -- ბალოვი 1968, ბასლენური – ბალყაროვი 1959, პარი 1974), დასავლური ჩერქეზული (ბერსიროვი 2011-2012-2013, ვოდოჟოკოვი 1960), ასევე ცალკეული დიალექტები (შაფსულური – კერაშევა 1957, აბმახური – პარი და ბათუკა 2005, ბჟედულური – სითიმოვა 2004, ჰათუკაური – ჩემი საექსპედიციო ჩანაწერები თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ჰათუკაური დიალექტის მატარებელთან, თურჰან ევთიჰთან).

საკითხის შესწავლის ისტორია. საერთოაფხაზურ-ადილურ ფონოლოგიურ სისტემას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევარი განიხილავდა. მათი უმრავლესობა ცოცხალ ენა-კილო-თქმებში არსებულ ამ ფონემებს სინქრონიულ დონეზე იკვლევდა (უსლარი 1862, ტრუბეცკოი 1922; 1926; დირი 1928, ახვლედიანი 1949, კერაშევა 1957, ბლაჟბა 1964, ფოგტი 1963).

საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის პირველი და მნიშვნელოვანი დაკვირვებები ეკუთვნის ნიკოლოზ ტრუბეცკოისა (1922; 1926) და ჟორჟ დიუმეზილს (1933).

ნ. ტრუბეცკოიმ პირველად მიაქცია ყურადღება ადილურ ლატერალებსა და აფხაზურ-აბაზურ შიშინა სპირანტებს შორის არსებულ კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს. მიუხედავად ამ კვლევათა უდიდესი მნიშვნელობისა, მათ ვერ წარმოადგინეს ფუძე ენის მწყობრი ფონოლოგიური სისტემა.

დიაქრონიული კვლევებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის თვალსაზრისი. იგი ისტორიულ-შედარებითი ჭრილში განიხილავდა აფხაზურ-აბაზური ქრონოლოგიური დონის ფონოლოგიური დონის ფონემატურ სისტემას. მისი აზრით, აფხაზურ-აბაზურ დიალექტები მნიშვნელოვან სხვაობას იჩენს ფონეტიკაში (ლომთათიძე 1977, 7).

მსგავსი კვლევა ჩერქეზულ დიალექტთა მაგალითზე განახორციელა მ. კუმახოვა. მან წარმოადგინა ჩერქეზული ფონოლოგიური ინვენტარის დიაქრონიული ანალიზი, თუმცა ქ. ლომთათიძისაგან განსხვავებით, იგი პროტოფონემების აღდგენას არ ერიდებოდა (კუმახოვ-კუმახოვა 1981). მისი აზრით, „საერთოადილური ფონოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია ცალკეულ ენათა და დიალექტთა სისტემაში მნიშვნელოვანი ფონოლოგიური ცვლილებებით არის განპირობებული. ეს უკანასკნელი ეხება როგორც ვოკალიზმს, ისე კონსონანტიზმს, თუმცა არსებითი ცვლილებები მაინც კონსონანტიზმის სფერომ განიცადა“ (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 268).

ჩერქეზულ ენებში პრერეპტიული თანხმონებისა და ლატერალური რიგის ისტორიის დასადგენად დიდი როლი ითამაშა ვ. შენგელიამ (შენგელია 2006, 66-85). გარდა ამისა, მან ივარაუდა საერთოჩერქეზულ ქვესისტემაში უმლაუტის არსებობის თეორიაც (იქვე. გვ. 59-65).

ამგვარი სისტემის წარმოდგენის პირველი მცდელობა ეკუთვნის ა. აბდოკოვს (1973; 1976). მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი მნიშვნელოვანი მიგნება აქვს, ხშირად საეჭვო და გადასამოწმებელია მისი სეგმენტირებული და შეპირისპირებული ლექსემები, რაც ჩრდილქვეშ აყენებს მის კვლევას.

შემდგომი წლების კვლევებიდან, აგრეთვე, აღსანიშნავია ს. სტაროსტინისა, ს. ნიკოლაევისა (1994) და ჩირიქბას (1996) მიერ რეკონსტრუირებული საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემა. ორივე ავტორს ერთმანეთის

მიმართ შენიშვნები ჰქონდათ და ამ კუთხით აღსანიშნავია სტაროსტინის წერილი, რაც ამ საკითხზე აკადემიური დისკუსიის პირველი ნიმუშია.

პოლემიკურ წერილში, ჩირიქბამ არ გაიზიარა სტაროსტინის მიერ აღდგენილი ფონემათა გარკვეული რიგების არსებობა. ჩირიქბა საექვოდ მიიჩნევს ფუძემენაში 168 ფონემის აღდგენას; აგრეთვე, ავტორი სკეპტიციზმით უყურებდა ზოგიერთი ფონემის, მაგალითად „ლაბიალიზებულ-პალატალიზებულ ბილაბიალური“ ფონემის არსებობის საკითხს (ჩირიქბა 1999, 154). აღსანიშნავია, რომ ვ. ჩირიქბამ საკუთარ მონოგრაფიაში გარკვეული კორექტივები შეიტანა სტაროსტინ-ნიკოლაევის რეკონსტრუქციებში.

საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიის შესახებ კვლევა გააჩნია ჯონ კოლარუსოსაც (1994).

საერთოაფხაზურ-ადილური ლექსემების ქართველურთან შეპირისპირებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მერაბ ჩუხუას. მის უახლეს მონოგრაფიაში (2017) წარმოდგენილია როგორც ქართველურ-აფხაზურ-ადილური ბგერათშესატყვისობები, აგრეთვე ათასამდე საერთო წარმომავლობის მქონე ძირი.

მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევის უმთავრესი მიზანია საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია და მისი წარმოდგენა პარადიგმის სახით. ფონემათა რეკონსტრუქციის პროცესი არ წარმოადგენს მათემატიკურ ფორმულას; მისი მიზანია მათ შორის კანონზომიერი ურთიერთმიმართების დადგენა და მისი არქაული სახის წარმოჩენა.

ფონემის რეკონსტრუქციისას გამოყენებულ იქნება შედარებითი ლინგვისტიკის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შეპირისპირებულ ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ფონოლოგიური არქეტიპის აღდგენას. მსგავსი მეთოდოლოგია აღწერილია კემპბელის (2013: 107-158) ნაშრომში. იგი რამდენიმე საფეხურს გამოჰყოფს:

1. შესატყვისი ძირების დადგენა
2. ბგერათშესატყვისობების დადგენა
3. პროტო-ბგერის რეკონსტრუქცია (გვ. 107-113).

მეთოდოლოგია წარმატებულად გამოყენებულ იქნა ინდო-ევროპული, სემიტური, დრავიდული, უტო-აცტეკური, ფინურ-უნგრული და თურქული ენობრივი ოჯახების ფონოლოგიური სისტემის აღდგენისას (ID).

ფონემატური ინვენტარის რეკონსტრუქციის მეთოდოლოგია უფრო ვრცლად აქვს ანტონი ფოქსს (1995). მკვლევრის მიხედვით, პროტოფონემის რეკონსტრუქციამდე აუცილებელია ენათა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების გამოვლენა. შემდგომი საფეხური უნდა იყოს ფონემათა ცვლილების რაობის დადგენა. ეს ცვლილებები შეიძლება იყოს:

ა) გაყოფა – როდესაც ერთი პროტოფონემა შვილობილ ენებში ორ სხვადასხვა ფონემას გვამღვეს

ბ) შერწყმა – როდესაც ორი სხვადასხვა პროტოფონემა შვილობილ ენებში კარგავს კორელაციურ ოპოზიციას და ერთი ფონემატური ერთეულით არის წარმოდგენილი

გ) ჩანაცვლება – როდესაც პროტოფონემა შვილობილ ენებში იცვლის თავის ბუნებას რაგვარობისა თუ წარმოთქმის ადგილების მიხედვით (ფოქსი 1995, 69-72).

აფხაზურ-ადიღური ენების სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია გარკვეული ენობრივი პროცესების გათვალისწინება. პირველ რიგში, საჭიროა საერთოაფხაზურ-ადიღური ფონოლოგიური მოვლენებისა და დიალექტური ინოვაციების ურთიერთგამიჯვნა. იმ შემთხვევაში, თუკი ფონოლოგიური არსებული მასალა ამის საშუალებას იძლევა, საჭიროა ფონემის ცვლილების მიზეზის დადგენა. ეს შეიძლება იყოს ასიმილაცია, დისიმილაცია, გარვეული ფონოლოგიური რიგების

მოშლა და სხვა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია მეზობელი ენების ზეგავლენა (პირველ რიგში თურქული წარმოშობის ნოღაური და ყირიმულ-თათრული ენები), რომელთაც ფონოლოგიურ სისტემაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

უშუალოდ კვლევის ჩატარებამდე აუცილებელია აფხაზურ-ადიღურ ენათა და დიალექტთა კლასიფიკაცია, რათა თავიდან გამოირიცხოს შესადარებელი მასალის ურთიერთაღრევა და სხვადასხვა მანიპულაცია. კლასიფიკაციის პროცესში უნდა გამოიკვეთოს ენობრივი ჯგუფები, ქვეჯგუფები, საკუთრივ ენები, დიალექტები და კილო-თქმები. გარდა საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციის გათვალისწინებისა, საჭიროდ მიგვაჩნია უბიხურს, აფხაზურ-აბაზურსა და ჩერქეზულს შორის სიახლოვის რევიზია.

კვლევისას ნაშრომში იქნება გამოყენებული საფეხურეობრივი რეკონსტრუქცია. თავდაპირველად ცალ-ცალკე აღდგება აფხაზურ-აბაზური და ჩერქეზული ფონოლოგიური სისტემები; თითოეულ ფონოლოგიურ რიგს (ბილაბიალური, დენტალური, სიბილანტური და სხვა) დაეთმობა ცალკე თავი. თითოეული ფონემატური რეკონსტრუქცია გამყარდება სულ მცირე ხუთი მაგალითით. ამის შემდგომ, უკვე რეკონსტრუირებული მასალის ურთიერთშეპირისპირებისას ვიმსჯელებთ საერთოაფხაზურ-ადიღურ არქეტიპზე.

აფხაზურ-ადიღურ ენათა შიდა კლასიფიკაციის საკითხისათვის. აფხაზურ-ადიღური ფუძე-ენის ფონემატური სტრუქტურის გამოვლენისათვის აუცილებელია ამ ჯგუფში შემავალ ენათა და დიალექტთა კლასიფიკაცია. აქედან ყველაზე პრობლემურია უბიხური ენის სხვა ენებთან ურთიერთმიმართების საკითხი, რაც კვლავაც ღიად რჩება იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. დღეისათვის გაბატონებულია სამი ძირითადი შეხედულება უბიხური ენის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით:

ა) უბიხური ენა უფრო ახლოს დგას ჩერქეზულ ჯგუფთან, ვიდრე აფხაზურ-აბაზურთან (კუმახოვ-კუმახოვა 1981); მათი აზრით „მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური და ადიღური ქვეჯგუფები, სინქრონიული თვალსაზრისით, უბიხური ენის მიმართებით პოლარულ პოზიციებს იკავებენ, მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩრდილო-დასავლური კავკასიური ენების ფორმირების ადრეულ ეტაპზე ორი ქრონოლოგიური დონის, ადიღურ-უბიხურისა და აფხაზურის გამოსაყოფად საკმარისი საფუძველი არსებობს“ (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 8-9).

ბ) სხვაობა უბიხურსა და დანარჩენ ორ ჯგუფს შორის არ აღემატება თითოეულს შორის არსებულ სხვაობას (უსლარი, დირი, დიუმეზილი, შაგიროვი); ა. დირის აზრით, „უბიხური ენა დგას აფხაზურისა და ჩერქეზულის ზღვარზე ამ სიტყვის ფართო გაგებით (დირი 1996, 17).

გ) უბიხური ენა უფრო ახლოს დგას აფხაზურ-აბაზურ ჯგუფთან, ვიდრე ჩერქეზულთან (ჩირიქბა). იგი მიიჩნევს, რომ უბიხურის აფხაზურთან დაახლოების საფუძველი სვოდემის 200-სიტყვიან სიაში გაცილებით მეტი აფხაზურ-უბიხური შესატყვისობა გვხვდება, ვიდრე ჩერქეზულ-უბიხური; თუმცა იქვე ავტორი ფიქრობს, რომ საკითხი „საჭიროებს შემდგომ დისკუსიას“ (ჩირიქბა 1996, 7-8).

პირველ და მეორე შემთხვევაში მკვლევრები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ არა დიაქრონიული ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის გამოყენებით, არამედ არეალურ-ტიპოლოგიურ მსგავსებებზე დაყრდნობით. მართლაც, უბიხური ენა შეიცავს როგორც აფხაზურ-აბაზური, ისევე ჩერქეზული ენებისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ თუ სინტაქსურ ელემენტს (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 9-11). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან უბიხური ენა ერთის მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით აფხაზური ენის სამურ და ახჭიფსოურ დიალექტებს, მეორეს მხრივ კი ჩრდილო-დასავლეთით ადიღური ენის შაფსულური დიალექტის ინტენსიური ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. უბიხურ მოსახლეობაში ფართოდ იყო ფეხმოკიდებული უბიხურ-აფხაზურ-ადიღური

ტრილინგვიზმი (ინალ-იფა 2015, 106). აფხაზური და ადიღური ენების ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ დღესაც რთულია საკუთრივ უბიხური და ნასესხები მასალის დიფერენციაცია.

უბიხური ენის ადგილის განსაზღვრისთვის თეორიულად დასაშვებია შემდეგი სახის დებულებები:

1. უბიხური ენა უფრო ახლოს დგას აფხაზურ-აბაზურ ჯგუფთან, ვიდრე – ჩერქეზულთან.

2. უბიხური ენა უფრო ახლოს დგას ჩერქეზულ ჯგუფთან, ვიდრე – აფხაზურ-აბაზურთან.

3. უბიხური ენა ცალკე მდგომი ენაა, ხოლო აფხაზურ-აბაზური და ჩერქეზული ჯგუფები ქმნიან ერთგვარ ჩერქეზულ-აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ერთობას.

4. სხვაობა უბიხურსა და დანარჩენ ორ ჯგუფს შორის არ აღემატება თითოეულს შორის არსებულ სხვაობას.

თეორიულად სხვა სახის დაშვება გამორიცხულია. იმის დასადგენად, თუ რომელია ამ ოთხი დებულებიდან მართებული, ჩვენ გამოვიყენებთ ე.წ. „იზოგლოსურ მეთოდს“. აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ორ ან მეტ ენასა თუ ენობრივ ერთობას შორის ნათესაობის ხარისხის დადგენას ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური იზოგლოსების გამოვლენითა და მათი ხვედრითი წილის შეფარდებით თითოეულ ენობრივ ერთეულს შორის. ადრე აღნიშნული მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნა ინდო-ევროპულ (გამყრელიძე-ივანოვი 1984) და ქართველურ (გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965) ენათა კლასიფიკაციისას.

ავხაზურ-ადილურ ჯგუფში უბიხური ენის ადგილისა და მისი ჩერქეზულ და ავხაზურ-აბაზურ ენებთან სიახლოვის ხარისხის დასადგენად წარმოვადგენთ მნიშვნელოვან ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ იზოგლოსებს უბიხურ და ჩერქეზულ ენებს შორის.

ფონოლოგიური პარალელები: ლატერალური რიგი – უბიხ. **ლ̄, ლ', ლ;** ჩერქ. **ლ̄, ლ', ლ;** ავხაზ.-აბაზ. **ლ̄, ლ'**. ავხაზურ-აბაზურ ენებში არ მოგვეპოვება ლატერალური სპირანტები. ჩერქეზულიდან ნასესხებ სიტყვებში **ლ'** ლატერალი გადაიცემა **ქლ** კომპლექსით. მაგალითად, აღმ. ად. **ლ'ჟჟად** „წინდა“, აბაზ. **ქლაფად** (ID) (ლომთათიძე 1976).

ველარულ-უველარულ სპირანტთა კორელაცია – უბიხ. **ღ', ხ' / ღ, ხ;** ჩერქ. **ღ', ხ' / ღ, ხ;** ავხაზ.-აბაზ. **ღ, ხ.** ავხაზურ-აბაზურ ენებში არ მოიპოვება ველარული სპირანტები. ჩერქეზული ენებიდან ნასესხებ ლექსემებში ველარულ სპირანტთა კომპენსაცია ველარული ხშულების **გ/ქ** ფონემების საშუალებით ხდება. მაგალითად: ადილ. **ხ'აზზ** „წესი, ადათი“ ავხაზ. **ა-ქაზა** ID

უველარულ ხშულთა სისტემა – უბიხ. **ქ/ყ,** ჩერქ. **ქ/ყ** შეესატყვისება ავხაზურ-აბაზურ ენებში **ხ** ან **ჰ** ფონემებს, რაც ერთი მხრივ დეფარინგალიზაციით, მეორე მხრივ კი სპირანტიზაციით უნდა იყოს გამოწვეული.

ველარულ ხშულთა პალატალიზაცია – უბიხ. **გ̄, ქ̄, კ̄,** ჩერქ. **გ̄, ქ̄, კ̄** (პოვნიერია შაფსულური დიალექტის ჰაკუჩურ თქმაში, ბასლენური დიალექტში, ყაბარდოული დიალექტის ფსოუჩე დახესა და ბაბულოს და თურქეთში, კაისერის პროვინციაში მცხოვრებ ყაბარდოელთა მეტყველებაში), შედარებით ავხაზ.-აბაზ. **გ, ქ, კ.** ავხაზურ-აბაზურ ენებში არ შეინიშნება იმ ველარულ სპირანტთა პალატალიზაცია, რომელთაც უბიხურ და ჩერქეზულ ენებში პალატალიზებული შესატყვისი გააჩნიათ.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ პალატალიზაცია გვიანდელი მოვლენაა და იგი მხოლოდ ჩერქეზულ-უბიხურ ქრონოლოგიურ დონეზე შეიძლება იყოს წარმოქმნილიყო.

მორფოლოგიური იზომორფები: ბრუნვათა სისტემა – უბიხურ და ჩერქეზულ ენათათვის საზიაროა ერგატიული ბრუნვა. ორივე ენობრივ ერთეულს გააჩნია პოლიფუნქციური ერგატივის ნიშანი, რომელიც გარდამავალ ზმნში ითავსებს სუბიექტის, ხოლო გარდაუვალში მიცემით ბრუნვაში მდგომი ობიექტის ფუნქციებს. გარდა ამისა, ერგატივის ნიშანი ლოკატივის გამომხატველიც შეიძლება იყოს (კუმახოვი, კუმახოვა და ვამლინგი 1996: 99). უბიხ. -(ა)ნ (ერგატივის ნიშანი), ადილ. –მჷ ID, აღმ.ად. –მჷ (ID) ერგატიულ ნიშნებში ფიქსირდება მ : ნ სახის ბგერათშესატყვისობა. არც ერგატივი და არც სხვა სახის ბრუნვები აფხაზურ-აბაზურ ენებში არ მოგვეპოვება.

პრევერბები – უბიხურ და ჩერქეზულ ენებში პოვნიერია პრევერბული იზოგლოსები. უბიხ. ბლ~ა- (რადაცის ზედაპირზე ყოფნა), ადილ. ბლ°გ- (გვერდით ყოფნა), უბიხ. ჟა- (რადაცაზე ჩამოკიდებული ყოფნა), ადილ. ფჷ- (ID) აღმ.ად. ფჷ- I . აღნიშნული პრევერბები არ მოიპოვება აფხაზურ-აბაზურ ენებში.

თვლის სისტემა – უბიხ. ზა (ერთი), ადილ. ზგ (ერთი), აღმ.ად. ზგ (ერთი), აფხ. აკვ (ერთი), უბიხ. ტყ°ა (ორი), ადილ. (შაფსულ.) ტყ°გ (ორი), აფხ. ჰ°გ-ზა (ორი) უბიხ. პლგ (ოთხი), ადილ. პლგ (ოთხი), აღმ.ად. პლგ (ოთხი), აფხ. ფშ~ზა (ოთხი), უბიხ. ბლწ (შვიდი), ადილ. ბლწ (შვიდი), აღმ.ად. ბლწ (შვიდი), აფხ. ბჷ~ზა (შვიდი) უბიხ. ბლწ (ცხრა), ადილ. ბლწ (ცხრა), აღმ.ად. ბლწ (ცხრა), აფხ. ჟ°-ზა (ცხრა). აგრეთვე უბიხურსა და ჩერქეზულ ენებს ოცს ზემოთ რიცხვთა წარმოების ერთიანი სისტემა ახასიათებთ. უბიხ. ტყ°ატ°აღა ზაღა (ოცდაერთი), ადილ. ტ°ჷჷგრა ზგრა (ოცდაერთი), უბიხ. ტყ°ატ°აღა (ოცდაერთი), აფხ. ღ°აჷეი აკვ (ოცდა ერთი), უბიხ. ტყ°აღა (ოცდაორი), ადილ. ტ°ჷჷგრა ტ°გრა (ოცდაორი), აფხ. ღ°აჷეი ჰ°გ-ზა (ოცდა

ორი) და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ საძური ენის თვლის სისტემაც უფრო ახლოს დგას ადიღურთან, ვიდრე აფხაზურ-აბაზურთან. მაგალითად: **toka** “ორი”, **plii** “ოთხი” **iplii** “შვიდი”, **ipgi** “ცხრა” (ჩელები 2003: 132).

ლექსიკური იზოგლოსები: უბიხ. ყ^ა (შვილი), ადიღ. ქ^ა (შვილი), აღმ-ად. ქ^ა (შვილი), აფხ. ბა/ფა (შვილი), უბიხ. კ^ა- (სიარული), ადიღ. კ^ა- (სიარული), აფხ. ა-ნყ-არა (სიარული), უბიხ. წა (სახელი), ადიღ. აღმ-ად. წა (სახელი), აფხ. ხამ- (სახელი), უბიხ. ბზგ (წყალი), ადიღ. ჩერქ. ფსგ (წყალი), აფხ. ამგ (წყალი), უბიხ. (ნ)დლა (მზე), ადიღ. თგლ^ა (მზე), აღმ-ად. დგლ^ა (მზე), აფხ. ა-მრა (მზე) უბიხ. ჭა (კარგი), ადიღ. ს^აგ (კარგი), აღმ-ად. ფა (კარგი), აფხ. ბზია (კარგი) და სხვა. აღსანიშნავია ისეთი საძური¹ ლექსემები, როგორცაა **bizi** “წყალი”, **umke** “არ წახვიდე” (შედარებით შავს. უგ-მგ-კ^ა “არ წახვიდე”), რომელთა ადიღურთან სიახლოვე თვალსაჩინოა (ჩელები 2003: 133).

როგორც ამ მაგალითებიდან გამოჩნდა, აფხაზურ-აბაზურ ენებში აღნიშნულ სემანტიკებს სხვა ლექსემები აღნიშნავს.

ძალიან მნიშვნელოვანია უბიხურსა და ჩერქეზულს შორის არსებული კომპოზიციური იზოგლოსები. ამგვარ იზოგლოსებში, ერთი მხრივ ფიქსირდება რეგულარული და კანონზომიერი ბერათმესატყვისობები, მეორე მხრივ კი ამ ლექსემათა სემანტიკა, შესაძლებელია როგორც უბიხური, ისე ჩერქეზული ენობრივი მონაცემების მიხედვითაც. მაგალითად: უბიხ. ლ^აკ^აგ^ამა (ყური), ადიღ. თჰაკემ (ყური), აღმ.ად. თჰაკემ^ა (ყური), უბიხ. შხ^აგ^არბ (ქაფი), ადიღ. თხ^აგ^არბ (ქაფი), უბიხ. ლ^ალ^ა- (დახრჩობა), ადიღ. თჰა^ალ^ა- (დახრჩობა), უბიხ. ბაგ^აშ^ა (ტურა), აღმ.ად. ბაჟას^აგ^ა (ტურა). ამ შემთხვევაში სესხებზე საუბარი ზედმეტია. აღნიშნული მაგალითები გვიდასტურებს უბიხურ-ჩერქეზული ფუძე-ენის რეალურ არსებობას.

¹ არ შეგვეშალოს აფხაზური ენის საძურ დიალექტში

აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ-ადიღური ფუძე-ენა დივერგენციის პერიოდში ორ ძირითად ჯგუფად – აფხაზურ-აბაზურად და ჩერქეზულ-უბიხურად გაიყო. ჩერქეზულ-უბიხურ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საძური ენა, რომლის მცირე ნიმუშებიც დაცულია ევლია ჩელების ჩანაწერებში (ჩელები 2003, 132). საძურის, როგორც დამოუკიდებელი ენის არსებობას ადასტურებს ფილიფსონი, რომლის მიხედვითაც „დაბალი ფენის წარმომადგენლები საუბრობენ ასაძიფსუაზე“ (ფილიფსონი, ციტირებულია: ანჩაბაძე 2010, 166). მან საძების მხარე მე-19 საუკუნის შუა წლებში მოინახულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთ-კავკასიის ომის მსვლელობისას საძური ენა ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა მისი დაბალი სოციოლინგვისტური სტატუსის გამო მისი დისტრიბუცია იყო შეზღუდული და უკვე მოწყვლად მდგომარეობაში იყო.

თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ დიალექტთა კლასიფიკაციას, ეჭვს არ იწვევს, რომ აფხაზურ-აბაზური ჯგუფი იყოფა სამხრულ (აფხაზურ) და ჩრდილოურ (აბაზურ) დიალექტთა ჯგუფებად. აღნიშნული დაყოფა ამ ენათა შესწავლის დროიდან იყო ცნობილი და ერთხმად ათიარებულია ამ ენათა სპეციალისტების მიერ (ლომთათიძე 1977, 7-13, ბლაჟბა 1964, 20-26, ჩირიქბა 2003, 19, 12-14). დაყოფა საფუძვლად ფონოლოგიური, მორფოლოგიური ლექსიკური და სინაქსური მთელი რიგი თავისებურებები უდევს.

1. აფხაზურ-აბაზური

1.1. აფხაზურ დიალექტთა წრე

1.1.1. აბჟურ დიალექტი

1.1.2. ბზიფური დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის ქ. ლომთათიძეს – 1977, 9)

1.1.2.1. ოთჰარის თქმა

1.1.2.2. ლიხნის თქმა

- 1.1.2.3. ააცის თქმა
- 1.1.3. საბური დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის ვ. ჩირიქას – 1996, 21)
 - 1.1.3.1. წვიჯური თქმა
 - 1.1.3.2. ხალიწური თქმა
- 1.1.4. დალ-წაბალური დიალექტი
- 1.1.5. ახჭიფსოური დიალექტი
- 1.2. აბაზურ დიალექტთა წრე
 - 1.2.1. ტაპანთური დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის ქ. ლომთათიძეს – 1977, 13)
 - 1.2.1.1. ფსიჟ-კრასნი ვოსტოკის თქმა
 - 1.2.1.2. ყუბინა-ელბურგანის თქმა
 - 1.2.2. აშხარული დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის ქ. ლომთათიძეს – 1977, 13)
 - 1.2.2.1. კუვინსკის თქმა
 - 1.2.2.2. აფსუის თქმა
- 2. უბიხური ენა
- 3. ჩერქეზული ენა
 - 3.1. აღმოსავლურ-ჩერქეზულ დიალექტთა წრე
 - 3.1.1. ყაბარდოული დიალექტი
 - 3.1.2. ბასლენური დიალექტი
 - 3.2. დასავლურ-ჩერქეზულ დიალექტთა წრე
 - 3.2.1. ჭემგური დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის თჰარქახოს 1965, გვ. 4-5)
 - 3.2.1.1. საკუთრივ ჭემგური
 - 3.2.1.2. ჯამბეჩიის თქმა
 - 3.2.2. ბჟედულური დიალექტი
 - 3.2.2.1. ჩეჩენაის თქმა

3.2.2.2. ხამიშის თქმა

3.2.3. ჰათუკაური დიალექტი

3.2.4. აბძახური დიალექტი

3.2.5. შაფსულური დიალექტი (კლასიფიკაცია ეკუთვნის ზ. კერაშევას – 1957, 6)

3.2.5.1. ყუბანისპირა თქმა

3.2.5.2. შავი ზღვის პირა თქმა (მათ შორის, ჰაკუჩური თქმა)

4. [სამური ენა (ასამიფსუა)]

საერთოაფხაზურ-ადიღური კონსონანტური რიგების შესახებ – ერთ-ერთი მთავარი დავის საგანია. უდავოა, რომ ფუძემდებურ ქრონოლოგიურ დონეზე უნდა არსებულიყო ხშულთა სულ ცოტა სამი რიგი, მჟღერი, ყრუ-ფშვინვიერი და აბრუპტიული, ანუ ყრუ-მკვეთრი. მთავარი დავის საგანი შემდეგი, აღდგება თუ არა საერთოაფხაზურ-ადიღურ ქრონოლოგიურ დონეზე პრერუპტიული, ანუ ყრუ-ფშვინვიელი ხშულები?

პრერუპტიული თანხმოვნები პირველად ნ. იაკოვლევმა გამოავლინა (იაკოვლევი 1928, 120-123), ხოლო მათი არსებობა ექსპერიმენტულად დაამტკიცა თ. უჯუხუმ (უჯუხუ 1976, 135-157). პრერუპტიული კონსონანტები პოვნიერია ბჟედულურ, შაფსულურ და ჰათუკაურ დიალექტებში.

ბჟედულურ დიალექტში პრერუპტივთა არსებობას საგანგებო კვლევა მიუძღვნა კ. აუტლევმა (1971), ხოლო შაფსულურში კი ეს ფონემათა რიგი განიხილა ზ. კერაშევამ (1957). კერაშევას აზრით, „ნახევრადაბრუპტივები [იგულისხმება პრერუპტივები] ფშვინვიერსა და აბრუპტივს შორის მდგარი ფონემებია. ფშვინვა მინიმუმამდეა დაყვანილი, თუმცა თავის ბუნებით ის არც აბრუპტივი და არც ფშვინვიერია. აკუსტიკურად პრერუპტივები რუსულ ყრუ ხშულებს წააგავს, თუმცა მისი იდენტური არ არის.“ (კერაშევა 1957, 26-27).

ჰათუკაურში ისინი უშუალოდ აღმოვაჩინე თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციის დროს, რაც უცხო იყო აქამდე

ჩერქეზული დიალექტოლოგიისთვის. მთქმელმა თურჰან ევთიჰმა დაადასტურა ცოცხალ მეტყველებაში კორელაციური ოპოზიციის არსებობა შემდეგი მაგალითებით: ჰათუკ. **დღღ** „შეკერილი“, **თღღ** „ჯილდო“, **თჷღღ** „მზე“, **ტღღ** „ამოთხრილი“.

აფხაზურ-ადიღურ ენებში ხშულთა რიგები ხასიათდება გლოტალიზაციით, მჟღერობითა და ფშვინვიერებით. ამ სამი კომპონენტის სხვადასხვა სახის კომბინაციით შეიძლება მივიღოთ აბრუპტივი, პრერუპტივი, მჟღერი და ყრუ-ფშვინვიერი ფონემები (იხილეთ ცხრილი ქვემოთ).

ცხრილი N 1 - აფხაზურ-ადიღური თანხმოვნების რაგვარობა

	გლოტალიზაცია	სიმჟღერე	ფშვინვიერობა
აბრუპტივი	+	-	-
პრერუპტივი	-	-	-
მჟღერი	-	+	-
ყრუ-ფშვინვიერი	-	-	+

ჩერქეზულ კილო-თქმებში პრერუპტივები გვხვდება ორი სახისა – პოზიციურად წარმოქმნილები და სხვა ჩერქეზულ დიალექტებში რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მქონენი. ვ. შენგელია სამართლიანად მიიჩნევს, რომ „პრერუპტივების მიღების ერთ-ერთი წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო ფშვინვიერ თანხმოვანთა კომპლექსები“, რაც იქვე მაგალითებით აქვს გამყარებული (შენგელია 2006, 72).

სხვა დიალექტებში შესატყვისობის მქონე პრერუპტივების არსებობა პირველად როგავამ შენიშნა. მის მიერ წარმოდგენილი პარადიგმის მიხედვით, შაფსულური და ბჟედულური პრერუპტივი შეესატყვისება ჭემგუურს-აბძახურ ყრუ-ფშვინვიერსა და ყაბარდოულ მჟღერ კონსონანტებს (როგავა 143ა, 273-276). გამონაკლისს უვულარული რიგი წარმოადგენს, სადაც ყაბარდოულში მოსალოდნელი

მჟღერი ფონემის ნაცვლად გვხვდება ყრუ-მკვეთრი სპირანტოიდი (მაგალითები იხილეთ შესაბამის თავში).

დღეისათვის აფხაზურ-აბაზურ ენებში პრერუპტივთა წარმომავლობის საკითხი ღიად დგას. მკვლევართა აზრი სამად იყოფა:

I: გ. როგავა (1943ა, 1943ბ), ს. სტაროსტინი და ს. ნიკოლაევი (1994) პრერუპტიულ ხშულებს საერთოაფხაზურ-ადილურ მოვლენად მიიჩნევენ. ს. სტაროსტინი და ნიკოლაევი მათ შაფსულური დიალექტის ჩვენების საფუძველზე აღადგენდნენ (სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994, 180).

გ. როგავას მიაჩნდა, რომ პრერუპტივი არა მხოლოდ აფხაზურ-ადილურისათვის, არამედ საერთოიბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი (როგავა 1943ბ, 837-843). იმის გათვალისწინებით, რომ პრერუპტივები პოვნიერია ლეზგიური ენის ზოგ დიალექტში, ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს (იხ. მეილანოვა და ტალიბოვი 1975).

II: მკვლევართა ნაწილი (ქურდიანი 2007, კუმახოვი და კუმახოვა 1981) პრერუპტივს ჩერქეზულ დიალექტობრივ ინოვაციად მიიჩნევენ.

მ. ქურდიანს ამის დასტურად ნასესხები ლექსიკა მოჰყავს, სადაც ყაზარდოული მჟღერი შეესატყვისება ბჟედულურ და შაფსულურ პრერუპტივს (ქურდიანი 2007, 214-220).

მ. კუმახოვისა და ზ. კუმახოვას აზრით, პრერუპტივების რეკონსტრუქციის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი მისი აფხაზურ-აბაზურსა და უბიხურში არარსებობაა. გარდა ამისა, აღნიშნული მკვლევრების აზრით, პრერუპტივის კვალი არ ჩანს ბასლენურ დიალექტშიც კი, რომელიც არქაულობით ხასიათდება (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 131-133). ფიქრობენ, რომ ამოსავალ ვითარებაში აღდგება მჟღერი კონსონანტი, ვინაიდან სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში შაფსულურ-ბლედულური პრერუპტივი შეესატყვისება მჟღერ ფონემას (იქვე გვ. 135-136).

III: ზოგი მკვლევარი (შენგელია 2006, ჩირიქა 1996, კვიპერსი 1975) პრერუპტივს საერთოჩერქეზულ მოვლენად მიიჩნევს, თუმცა მის კვალს საერთოაფხაზურ-ადილურ ფუძე-ენაში ვერ ხედავენ.

ვ. ჩირიქას აზრით, ამოსავალი საერთოჩერქეზული კონსონანტური სისტემა ბჟედულურთან ახლოს უნდა მდგარიყო (ჩირიქა 1996, 110)

ვ. შენგელიას მთავარი არგუმენტებია, რომ დასავლურ ჩერქეზულ დიალექტებში გვხვდება ომონიმია ისეთ ძირებში, სადაც პრერუპტივი არაა წარმოდგენილი, მაშინ როცა შაფსულურსა და ბჟედულურში ხდება ამ სიტყვათა ურთიერგარჩევა. მაგალითად: ჭემგ. ფჳ (ცხვირი), (აღელვება); ბჟედ. ფჳ (ცხვირი), ფჳჳ (აღელვება) და სხვა (შენგელია 2006, 71); მეორე არგუმენტად მოჰყავს, რომ „სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ბჟედულურსა და შაფსულურში პრერუპტივისა და ფშვინვიერის ოპოზიცია ნეიტრალიზებულია“. მაგალითად ჩჳთ „ქათამი“ (განუსაზღვრელი ფორმა), ჩჳთჳ რ „ქათამი“ (განსაზღვრული ფორმა) და სხვ. (იქვე გვ. 71).

გვხვდება გამონაკლისი ფორმებიც: ჭემგ. აბმ. სგდ „რა“, აღმ.ად. სგთ „id“. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს მეორეულ მოვლენასთან, სადაც ყაზარდოულ ფორმაში ბოლოკიკური მჟღერი ფონემა დაყრუვდა.

იყო თუ არა საერთოჩერქეზულ-უბიხურ და საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე პრერუპტიულ ხშულთა სერია, გვაჩვენებს ის ბგერათფარდობანი, რომელნიც შესაბამის ჩერქეზულ ფონემებს შეეფარდება. მასალის აბსოლუტურ უმრავლესობაში აფხაზურ და უბიხურ ექვივალენტებში პრერუპტიულ ფონემებში შეესაბამება მათი მჟღერი კორელატი:

ბჟედ. / შაფს. თჳღჳ „მზე“, აბმ. / ჭემგ. თგღჳ „id“, უბიხ. ნღღა „id“

ბჟედ. / შაფს. ფანა (ეკალი), აბმ. / ჭემგ. ფანა „id“, აფხაზ. პ-ბნა „ტყე“

გვხვდება ისეთი ტიპის შესატყვისობებიც, სადაც პრერუპტივს ფშვინვიერი ან მკვეთრი ხშული შეესატყვისება; მაგალითად, მ. ჩუხუას მიერ მოყვანილი შესატყვისობა: შაფს. ქათგ (ქათამი) : აფხაზ. ა-კ^{გტ} „ქათამი“, სადაც, მისი აზრით, აფხაზურში პრერუპტიული ფონემის გლოტალიზაცია მოხდა (ჩუხუა 2017, 396), მაგრამ ეს მაგალითები არ იძლევა პრერუპტივთა საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგენის საფუძველს.

ამრიგად, ჩვენ ვ. შენგელიას არგუმენტები უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ პრერუპტივების აღდგენა მხოლოდ ჩერქეზულ ქრონოლოგიურ დონეზე ხორციელდება. ამას ადასტურებს თურქეთში მცხოვრებ ჰათუკაელთა მეტყველებაში პრერუპტივთა პოვნირება. სავარაუდოდ, პრერუპტიული თანხმოვნები საერთოაფხაზურ-ადილური ერთობის დაშლის შემდეგ უნდა წარმოქმნილიყო.

რაც შეეხება დანარჩენ რიგებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ცოცხალ აფხაზურ-ადილურ ენა-კილო-თქმაში პოვნირია მჟღერ, ყრუ-ფშვინვიერ და ყრუ-მკვეთრ თანხმოვანთა რიგი. ხშულთა სამეულებრივი სისტემა დამახასიათებელია არა მხოლოდ აფხაზურ-ადილურ, არამედ ყველა იბერიულ-კავკასიური ენისთვის და ასევე კავკასიაში გავრცელებული ზოგი ინდოევროპული ენისათვისაც კი. ამგვარი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ხშულთა სამეულებრივი სისტემა საერთოიბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის შემადგენელი კომპონენტი უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1979, 54), შესაბამისად, საერთოაფხაზურ-ადილური ენა არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი და მასაც ხშულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემა უნდა ჰქონოდა.

თავი I

ბილაბიალური სისტემის რეკონსტრუქცია

საერთოაფხაზურ-აბაზური ბილაბიალური სისტემა, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ-აბაზურ ენებში ბილაბიალური რიგი, სხვა კონსონანტებთან შედარებით, სიმარტივით გამოირჩევა. შესაძლოა, ეს განპირობებულია ბილაბიალურ ფონემებთან კოარტიკულაციის (ლაბიალიზაცია ან პალატალიზაცია) უქონლობით. გარდა ამისა, ფუძე ენის დაშლის შემდეგ ამ რიგში ცვლილებები უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

სამხრულ (აბჟური, ბზიფური, საძური, ახჭიფსოური და დალ-წაბალური) და ჩრდილოურ (აშხარული, ტაპანთური) დიალექტთა დივერგენციამდე არსებულ საერთოაფხაზურ-აბაზური ფუძე-ენას ბილაბიალურ ფონემათა სისტემა თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტებისაგან განსხვავებული არ უნდა ჰქონოდა. ქ. ლომთათიძის აზრით, მჟღერი **ბ** ფონემა ძირითადად ანლაუტში, ხოლო ყრუ-ფშვინვიერი **ფ** ფშვინვიერთა გარემოცვაში გვხვდება (ლომთათიძე 1976, 148). განვიხილოთ თითოეული ბილაბიალური ფონემის რეფლექსი თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ ენებში:

აფხ. ბ	აბაზ. ბ	ს.აფხ-აბაზ. *ბ
(1)	აფხ. ა-ბზა „სიცოცხლე, ცოცხალი“, აბაზ. ბზა „id“	
(2)	აფხ. ა-ბგძ „ტურა“, აბაზ. ბაგაშა „id“	
(3)	აფხ. ა-ბღ~გ „ფოთოლი“ აბჟ. ა-ბღლ~ „id“, აბაზ. ბღ~გ „id“	
(4)	აფხ. ა-ბჟ~გ „ხმა“ აბაზ. ბჟ~გ „id“	
(5)	აფხ. ა-ბჟა „ნახევარი“ აბაზ. ბჟა „id“	
(6)	აფხ. ა-ბღლ-რა „დაწვა“ აბაზ. ბღლ-რა „id“	

- (7) აფხ. ა-ბერგ „მოხუცი“, აბაზ. ბერგ „ნამდვილი“²
- (8) აფხ. აბ „მამა“, აბაზ. აბა „id“
- (9) აფხ. ა-საბა „მტვერი“ აბაზ. საბა „id“
- (10) აფხ. ა-ბაშა „მარტივი“ აბაზ. ბაშა-მაშა „იოლი“

აფხ. ფ : აბაზ. ფ ს.აფხ-აბაზ. *ფ

- (1) აფხ. ა-ფშა „ქარი“ აბაზ. ფშა „id“
- (2) აფხ. ა-ფს-რა „სიკვდილი“, ბზიფ. ა-ფს'-რა „id“, აბაზ. ფსრა „id“
- (3) აფხ. აფგრლა „ნაკვერჩხალი“, აბაზ. ფგრლა „id“
- (4) აფხ. ფშ~ბა „ოთხი“, აბაზ. ფშ~ბა „id“
- (5) აფხ. აფსა „წვეტი, შუბი“, ბზიფ. აფს'ა „id“, აბაზ. ჭ^oაფსა „id“
- (6) აფხ. (ბზიფ) ა-ფს'ს'ა-რა „გათლა, გაფცქენა“ აბაზ. ფსსა-რა „id“
- (7) აფხ. აბაზ. -აფშ~ „მაგარი კლდე“ აბაზ. ყაბარდ-აფშ~ „დიდი ყაბარდო“
- (8) აფხ. ა-ფა „შვილი“, აბაზ. ფა „id“
- (9) აფხ. ა-ფაფა „ჭია, Личинка“, აბაზ. ფაფა-ფსა „მატლიანი“
- (10) აფხ. ა-ფა-რა „ხტომა“, აბაზ. ფა-რა „id“

აფხ. პ : აბაზ. პ ს.აფხ-აბაზ. *პ

- (1) აფხ. ა-პატლა „დრო, ვადა“, აბაზ. პატლა „id“
- (2) აფხ. ა-პატგუ „პატივი“, აბაზ. პატგუ „id“
- (3) აფხ. -პე „კიდური“, აბაზ. პე „id“

² მ. ჩუხუას აზრით, აფხაზურის სემანტიკა მეორეულია, რომელიც „სრული“ და „მოწიფულის“ მნიშვნელობისგან უნდა ყოფილიყო განვითარებული (ჩუხუა 2017, 141)

(4) აფხ. ა-პატა-რა „სისულელის თქმა“, აბაზ. ლა-რ-პატა-რა „არევი-დარევა“

აფხ. მ : აბაზ. მ ს.აფხ-აბაზ. *მ

- (1) აფხ. მა „ან“, აბაზ. მა „id“
- (2) აფხ. (ბზიფ) ა-მზ^ა „თუთა“, აბაზ. მეშ~მაზ^ა „მაკურა“
- (3) აფხ. ა-მაზ^ა „ცომი“, ბზიფ. ა-მაზ^ა „id“, აბაზ. მაჟ^ა-მა „id“
- (4) აფხ. ა-მაშა „ორმო, ხვრელი“, აბაზ. მაშა „id“
- (5) აფხ. ა-მლა „შიმშილი“, აბაზ. მლა „id“
- (6) აფხ. ა-მრა „მზე“, აბაზ. მარა „id“
- (7) აფხ. ა-მფა „მკვახე“, აბაზ. მფა „id“
- (8) აფხ. ა-მგ^ა „მუცელი“, აბაზ. მგ^ა „id“
- (9) აფხ. ა-მცა „ცეცხლი“, აბაზ. მცა „id“
- (10) აფხ. ა-მც „ტყული“, ბზიფ. ამც^ა „id“, აბაზ. მცგ „id“

აფხ. ჟ : აბაზ. ჟ ს.აფხ-აბაზ. *ჟ

- (1) აფხ. ჟა „იქ, ჩვენებითი ნაცვალსახელი“, აბაზ. ჟა „id“
- (2) აფხ. ა-ჟასა „ცხვარი“, აბაზ. ჟასა „id“
- (3) აფხ. ა-ჟაჟ „ქვითინი, ტირილი“, აბაზ. ჟაჟ „id“
- (4) აფხ. ა-ჟარდგნ „ურმის ნაირსახეობა“, აბაზ. ჟანდგრ „id“³
- (5) აფხ. ა-ჟაჟა „ცუდი ამინდი, ქარიშხალი“, აბაზ. ჟაჟა „id“
- (6) აფხ. ა-ჟ-რა „დათანხმება“, აბაზ. ჟ-რა „id“

³ აღნიშნული ძირი ნასესხებია ოსური ენიდან (აბაევი 1989, 91-92). სავარაუდოდ, სესხება საერთოაფხაზურ-აბაზური ერთობის დაშლამდე უნდა მომხდარიყო.

(7) აფხ. ა-ჟეს „საქმე, საქმიანობა“, აბაზ. ჟეს „id“

(8) აფხ. ა-ჟაარა „დროებით სარგებლობა“, აბაზ. ჟაჟა-რა „id“

(9) აფხ. ა-ჟახგ-ნ-ლა „ღამე“, აბაზ. ჟაქა „ამაღამ“

(10) აფხ. -აწ^ოგ „ხვალ“, აბაზ. ჟაჭ^ოგ „id“

როგორც არსებული მასალა გვიჩვენებს, შესატყვისობები ძირითადად იდენტურია და არსებითად არ შეცვლილა. საყურადღებოა მკვეთრი *ჰ ფონემის შედარებით დაბალი სიხშირით პოვნა. ქ. ლომთათიძის აზრით, ეს ფონემა ძირითადად ნაწარმოებ და ნასესხებ ფუძეებში გვხვდება (ლომთათიძე 1976, 149), თუმცა ვ. ჩირიქვას მოჰყავს ერთი უნიკალური მაგალითი, სადაც იგი ლაბიალიზებულ აბრუპტიულ *ჰ ფონემას აღადგენს შემდეგ ძირში: აფხ. ა-ნა-პე „ხელი“, აზხ. მ-პ^ოგ „id“, ნა-პე „id“ (ჩირიქვა 1996, 64).

ჩვენ ლაბიალიზებული ბილაბიალური ფონემის რეკონსტრუქციას არ ვიზიარებთ და ის მეორეულად მიგვაჩნია. ამას ქ. ლომთათიძის მიერ აღდგენილი *ჰგ-ყ^ოგ მორფემაც ადასტურებს, რომელსაც ყ ფონემის დაკარგვის შედეგად ჯერ *ჰყ^ო, შემდეგ ჰ^ო უნდა მოეცა (ლომთათიძე, 1976, 235). მსგავსი პროცესი დასტურდება ჩერქეზულშიც. აღსანიშნავია, რომ ვ. ჩირიქვა დასაშვებად მიიჩნევს ქ. ლომთათიძის ეტიმოლოგიურ მიგნებას (ჩირიქვა 1996, 64).

საერთოჩერქეზულ-უბიხური ბილაბიალური სისტემა – მსგავსად აფხაზურ-აბაზურისა, ჩერქეზული და უბიხური ბილაბიალური სისტემა სიმარტივით ხასიათდება. განსხვავებით აფხაზურ-აბაზურისაგან, ცოცხალ ჩერქეზულ დიალექტებში გვხვდება ლაბიალიზებული ჰ^ო ფონემა, თუმცა ის მეორეული წარმომავლობისაა და ჰარმონიულ-დეცესიური ჰყ^ო კომპლექსის დაშლის შედეგად უნდა ყოფილიყო წარმოქმნილი. აღსანიშნავია, რომ ჰაკუჩურ თქმაში ეს კომპლექსი შენარჩუნებულია (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 166). აგრეთვე, უბიხური ენის წიარში

წარმოიშვა ფარინგალიზებულ 'მ', 'ჟ' და 'ზ' ბილაბიალურ თანხმოვანთა რიგიც. არც მათი მეორეულობა იწვევს ეჭვს და მათი გენეზისი ფარინგალური ფონემების ნაწილში იქნება ახსნილი.

უშუალოდ საერთოჩერქეზულ-უბიხურ ბილაბიალური ფონემების რეფლექსები თანამედროვე ჩერქეზულ და უბიხურ ენებში შემდეგნაირად გამოიყურება:

უბიხ. ბ : აღმ.ად. ბ : აბძ./ჭემ. ბ / ფ : შაფს./ბჟედ. ბ / ფ ს.
ჩერქ-უბ. *ბ

(1) უბ. ბაგ[◦] „მუწუკი“, ად. ბაგ[◦] „id“, აღმ-ად. ბაგ[◦] „id“

(2) უბ. ბლ[~]ნ „კუთხე“, ად. ბლ[~]ნგ „კედელი“, აღმ-ად. ბლ[~]ნ „id“

(3) უბ. ბგ^ღ „ვერძი, ყოჩი“, ად. ბგ^ლმ „საქონელი“, აღმ-ად. ბგ^ღ „id“

(4) უბ. ბლა-ჯა „არწივი“, ად. ბლ[~] „ძერა“, აღმ-ად. ბლ[~] „id“

(5) უბ. ბაგ[~]ას[◦] „ტურა“, ბჟედ/ჭემ. ბაჯ[~] „მელა“, აბძ. ბაჟ[~] „id“, შაფს.

ბაგ[~]ა „id“, აღმ-ად. ბაჟ[~] „id“

(6) უბ. ბანა „ბალახი“, შაფს/ბჟედ. ფან[~] „ეკალი“, აბძ., ჭემგ. ფან[~] „id“,

აღმ-ად. ბან[~] „id“

(7) უბ. ბაჩა „ჯოხი“, ად. ბაშ[~] „id“, აღმ-ად. ბაშ[~] „id“

(8) უბ. ბლ[~]ა „გამხდარი“, ად. ბლ[~] „მჭლე“, აღმ-ად. ბლ[~] „id“

(9) უბ. ბლა-ჭატ^ოგ „გადაფარება, გადახურვა“, ად. ბლ^ა-ნ „სახურავის გადახურვა“, აღმ-ად. ბლ^ა-ნ „id“

(10) უბ. ბლ^აგ „ცხრა“, ად. ბლ^აგ „id“, აღმ-ად. ბლ^აგ „id“

უბიხ. ფ : აღმ-ად. ფ : ად. ფ ს.ჩერქ-უბ. *ფ

(1) უბ. ფაჯ^ა „მართალი, სიმართლე“, აღმ-ად. ფაჟ „id“

(2) უბ. ფლ- „ყურება“, ად. ფლ^ა-ნ „id“, აღმ-ად. ფლ^ა-ნ „id“

(3) უბ. ფსგ- „ცემინება“, ად. ფსგ- „id“, აღმ-ად. ფსგ- „id“

(4) უბ. ფშ^ა „უკანალი“, ად. ფხ^ა „id“, აღმ-ად. ფხ^ა „id“

(5) უბ. ფხ^ა „ქალიშვილი“, ად. ფხ^აგ „id“ აღმ-ად. ფხ^აგ „id“

(6) უბ. ფქგ „ხილი“, ად. ფხ^ა „id“

(7) უბ. ფსა „სული“, ად. ფს^ა „id“, აღმ-ად. ფს^ა „id“

(8) უბ. ფს^აგ „თბილი“, ად. ფშ-თ^ა-ნ „ადურება“, აღმ-ად. ფს^ა-თ^ა-ნ „id“

(9) უბ. ფსგ-ლ^აგნ^ა „ნაძვის ხე“, ად. ფს^ა-მ „id“, აღმ-ად. ფს^ა-მ „id“

უბიხ. პ : ად. პ : აღმ-ად. პ ს. ჩერქ-უბ. *პ

(1) უბ. -პა „კიდური“, ად. -პ^ა „id“, ყაბ -პ^ა „id“

(2) უბ. პწა „გამხდარი“, ად. პაჭუჭ „id“, აღმ-ად. პასუ „id“

(3) უბ. პყა „ჩასადები“, ად. პპ „ადგილი“, შაფს. პყს „id“, აღმ-ად. პპ „id“

უბიხ. მ : ად. მ : აღმ-ად. მ ს.ჩერქ-უბ. *მ

(1) უბ. მემა „მთვარე“, ად. მაზ „id“, აღმ-ად. მაზ „id“

(2) უბ. მაშე „სუსტი, არამყარი“, ად. მახ „id“, აღმ-ად. მახ „id“

(3) უბ. მეჯა „ცეცხლი“, ად. მასუ „id“, აღმ-ად. მაქ „id“

(4) უბ. მესა „დღე“, ად. მაქ „id“, აღმ-ად. მახუ „id“

(5) უბ. მაწა „კალია“, ად. მაწ „id“ აღმ-ად. მაწ „id“

(6) უბ. მეწე „შემჭიდროვებული, ვიწრო“, ად. მაჭუ „ცოტა“, აღმ-ად. მასუ „id“

(7) უბ. მე-სა „სუნი“, ად. მ „id“, აღმ-ად. მ „id“

(8) უბ. მემა „ნამვი“, ად. მზე „ტყე“, აღმ-ად. მზ „id“

უბიხ. ჟ : ად. ჟ : აღმ-ად. ჟ ს.ჩერქ-უბ. *ჟ

(1) უბ. ჟა „ღმერთი, ჭეჭა-ქუხილი“, ად. ჟა „ცა“, აღმ-ად. ჟა „id“

(2) უბ. ჟე-ლა „შენ, ნაცვალსახელი“, ად. ჟ „id“, აღმ-ად. ჟ „id“

მჟღერი ბ ფონემის შემთხვევაში, არქაული ფორმის გამოვლენა უბიხური ენის მონაცემების საფუძველზე ხდება. კუმახოვი და კუმახოვა უბიხური ბ ფონემის შედარებით არქაულობას იზიარებენ (კუმახოვ-კუმახოვა 1981, 163-164).

ჰ მკვეთრი აბრუპტივი მცირე პოვნირებით ხასიათდება. გ. როგავას მას ჩერქეზულ ენებში მეორეულად მიიჩნევს და მჟღერი ბ ფონემისაგან მომდინარედ თვლიდა (როგავა 1955, 279-280). ვ. ჩირიქბას მიერ ნაპოვნი საერთოაფხაზურ-ადიღური ჰ ფონემის რამდენიმე შესატყვისობა, რომელიც მოვიყვანეთ ქვემოთ, ეჭვქვეშ აყენებს როგავას ამ მოსაზრებას.

საერთო აფხაზურ-ადიღური ბილაბიალური სისტემა - საერთოაფხაზურ-ადიღური კონსონანტური სისტემის რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბილაბიალურ კონსონანტთა რეკონსტრუქციას. როგორც მოსალოდნელი იყო, ბილაბიალურ ხშულებსა და სონორებში ბგერათშესატყვისობები ძირითადად იდენტურია, თუმცა გვხვდება არაიდენტური ურთიერთმიმართებანიც. საერთოაფხაზურ-ადიღური ქრონოლოგიური დონისათვის ჩვენ აღვადგენთ *ბ, *ფ, *პ, *ჟ, *მ ფონემებს, რაც ემთხვევა ვ. ჩირიქბას მიერ რეკონსტრუირებულ ბილაბიალთა სისტემას (ჩირიქბა 1996, 323-324), თუმცა არ ემთხვევა სტაროსტინ-ნიკოლაევის რეკონსტრუქციას (სტაროსტინი 2007, 44, სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994, 219), სადაც იგი ჩვენ მიერ აღნიშნული ფონემების გვერდით აღადგენს პრერუპტიულ (არაასპირირებულ) ფ' ხშულს, პალატალიზებულ *ბ~, *ფ~, *პ~, *ფ>~, ფარინგალიზებულ *ბ *'ფ *'პ *'ფ *'მ, ლაბიალიზებულ *ბ°, *ფ°, *პ° და ლაბიო-პალატალიზებული *ბ°~ თანხმოვნები.

აღსანიშნავია, რომ როგორც სტაროსტინის, ისე ჩირიქბას აღდგენილ ბილაბიალურ ფონემათა სისტემაში არის ყრუ ლაბიოდენტალური სპირანტი *ჟ. ზემოთ მოყვანილი ფონემის არტიკულაციის გათვალისწინებით მისი ბილაბიალურ

ფონემათა რიგში განთავსება დაუშვებლად მიგვაჩნია (ახვლედიანი 1949, 82-83), მისი ამოსავლობა-მეორეულობა ცალკე განხილვის საგანია.

ზოგადად თუ გადავავლებთ თვალს ს. სტაროსტინის რეკონსტრუირებულ ბილაბიალურ ხშულებს, დავინახავთ, რომ მის არც ერთ მონოგრაფიასა თუ სამეცნიერო სტატიამი არ არის მითითებული ამ ფონემათა რეკონსტრუქციის პროცესი, ხოლო დანარჩენ ფონემათა რეკონსტრუქცია მხოლოდ ცალკეულ იზოგლოსებს ემყარება. განსაკუთრებული კრიტიკის საგნად მიგვაჩნია „ლაბიალიზებულ-პალატალიზებული“ ბილაბიალური ხშული, რომელიც არ დასტურდება არც ერთ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენაში და ფონეტიკის კანონების მიხედვით, მისი წარმოთქმაც კი რთულია.

ფარინგალიზებული ბილაბიალების რეკონსტრუქციაც არ ჩანს რეალური, თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთი ფარინგალიზებული ბილაბიალური ფონემა უბიხურ ენაში არ გვაძლევს აფხაზურსა და ჩერქეზულ ენებში არაფარინგალიზებული ბილაბიალებისაგან განსხვავებულ შესატყვისობას. საერთოდ, ბილაბიალთა ფარინგალიზაციის პროცესი უბიხური ენის წიაღში წარმოქმნილ ინოვაციად მიგვაჩნია. ლაბიალიზებული და პალატალიზებული ბილაბიალური ხშულების აღდგენაც კი არადაამაჯერებლად მიგვაჩნია შესაბამისი მასალის არარსებობის გამო. საერთო ჯამში ბილაბიალურ ხშულთა რეკონსტრუქციათა შემდეგი მოდელების წარდგენა შეგვიძლია:

ცხრილი N 2: ბილაბიალური ფონემების რეკონსტრუქცია

სტაროსტინი	*ბ	*ფ	*პ	*ფ [~]	*მ *მ [~] *ჟ
და	*ფ	*ჟ	*პ	*'ფ [~]	
ნიკოლაევი	*ბ [~]	*'ფ	*პ [~]	*ფ [~]	
	*ბ ^{o~}	*ფ ^o	*პ ^o	*ფ ^o	
ჩირიქვა	*ბ	*ფ *ჟ	*პ	*მ *ჟ	

<i>ჩვენ</i>	*ზ	*ფ	*ვ	*მ *ჟ	
-------------	-----------	-----------	-----------	--------------	--

განვიხილოთ თითოეული ბილაბიალური ფონემის რეფლექსაციას აფხაზურ-ადიღურ ენებში:

იდენტური შესატყვისობანი

აფხ-აბაზ. ***ზ** უბიხ. ბ | ***ზ** ბ ჩერქ. ***ზ** ს.აფხ-ადიღ. ***ზ**

(1) აფხ. ბჟ-ბა „შვიდი“, აბაზ. ბჟ-ბა „id“, უბიხ. ბლზ „id“, დას-ად. ბლზ „id“, აღმ-ად. ბლზ „id“

(2) აფხ. ა-ბღ „ფოთოლი“, აბჟ. ა-ბღ „id“, უბიხ. ბღ- „ფოთოლცვენა“

(3) აფხ. ა-ბგბ „ბურთულა, უშტი“, დას-ად. ფსგ-ბგბ „ბებერა, мазоль“ აღმ-ად. ფსგ-ბგბ „id“

(4) აფხ. ბა „კოცნა“, ადიღ. იგ-ბა-ჟგ-ნ „id“, აღმ-ად. ბ- „id“

(5) აფხ. ა-ბრა „ფაფარი“, ბრა „id“, დას-ად. ფგლაც- „აბურძგნილი, აწეწილი“, აღმ-ად. ბგლაც- „id“

(6) აფხ. ა-ბგა „ტურა“, აბაზ ბაგა „მელა“, უბიხ. ბაგ~ა-შ „id“, დას-ად. ბაჯ~ა „მელა“, ხაკუჩ. ბაგ~ა „id“, აბძახ. ბაჟ~ა „id“, აღმ-ად. ბაჟ~ა „id“

(7) აფხ. ა-ბზია „კარგი“, აბაზ. ბზი „id“, დას-ად. ჯა-ბზა „სუფთა“, აღმ-ად. ჯა-ბზა „id“

(8) აფხ. ა-ლბა „გემი, ნავი“, აბაზ. ღბა „id“, უბიხ. ღგბა „id“

(9) აფხ. ა-აბა „ობოლი“, აბაზ. აგბა „id“, უბიხ. აა'ბა „id“, დას-ად. აგბ- „id“, აღმ-ად. აგბ- „id“

(10) აფხ. ბზგ-შა „ენა“, უბიხ. ბზ'ა „id“, დას-ად. ბზ- „id“ I , აღმ-ად. ბზ- „id“

აფხ-აბაზ. *ფ : უბიხ. *ფ : ჩერქ. *ფ ს.აფხ-ადილ. *ფ

(1) აფხ. ა-ფჰა \ ა-ბჰა „ქლიავი“, უბიხ. ფჰგ „ხილი“, დას-ად. ფხზ-გ'გლ' „ქლიავი“

(2) აფხ. ა-ფსა „ნამვის ხე“, უბიხ. ფსგ-ღგნგ „id“, დას-ად. ფს-ფგ „id“, აღმ-ად. ფსეი „id“

(3) აფხ. ა-ფხა „თბილი“, აბაზ. ფხა „id“, უბიხ. ფს'გ „id“, დას-ად. ფშ-თგ-ნ „ადუღება“, აღმ-ად. ფს'-თგ-ნ „id“

(4) აფხ. ა-ფასა „ადრე“, აბაზ. ფასა „id“, დას-ად. ფას „id“, აღმ-ად. ფას- „id“

(5) აფხ. ა-ფსგ „სული“, აბაზ. ფსგ „id“, უბიხ. ფსა „id“, დას-ად. ფს- „id“, აღმ-ად. ფს- „id“

(6) აფხ. ა-გ'გფ „ჯგუფი“, დას-ად. ქ'გფ „id“, აღმ-ად. გ'გფ „id“

(7) აფხ. ა-ფშ „სიმინდი“, უბიხ. ფშ~გ „მჭადი, მჭადის ფქვილი“

(8) აფხ. ა-ფხ~ა-რა „ლამისთევა“, აბაზ. ფხ~ა-რა „id“, დას-ად. ფშ~გ-პ- „ქოხი“, აღმ-ად. ხ-ფს'გ-ნ „ლამისთევა“

(9) აფხ. ა-ფგრ-რა „ფრენა“, აბაზ. ფგრ-რა „id“, უბიხ. ფგრ „id“, აღმ.ად. ფგრ-ფგრ „ფრენის ხმაბაძვა“

(10) აფხ. ა-ფჰა „ქალიშვილი“, აბაზ. ფჰა „id“, უბიხ. ფხ~ა „id“, დას-ად. ფხ^გ „id“, აღმ-ად. ფხ^გ „id“

ს.აფხ-ადილ. *ჰ აფხ-აბაზ. *ჰ უბიხ. *ჰ ჩერქ. *ჰ

(1) აფხ. ა-ჰყგშ-რა „ლელექაში“, უბიხ. ჰყაჰა „id“

(2) აფხ. (ახჰ). ა-ჰამჰგლ „ქეჩის პატარა ბურთულა“, აღმ.ად. შჰამჰგლ „საცობი“, უბიხ. ჰამჰგლ „რკო“

(3) აფხ. ა-ჰარგჰარგ „ლაქლაქი“, აბაზ. ჰარგჰარგ „id“, დას-ად. ჰარჰ-ჰარჰ „id“, აღმ.ად. ჰარჰ-ჰარჰ „id“

(4) აფხ.-ჰა „კიდური“, აბაზ. -ჰა „id“, უბიხ. ჰა „id“, დას-ად. -ჰჰ „id“, აღმ-ად. -ჰჰ „id“

(5) აფხ-აბაზ. *ჰაი~ჰაი^ „გასიება“, ჩერქ. *ჰგიჰ „გავსება (თეფშის)“

აფხ-აბაზ. *ჟ : უბიხ. *ჟ : *ჟ ჩერქ. *ჟ ს.აფხ-ადილ. *ჟ

(1) აფხ. ჟა-რა „შენ“, აბაზ. ჟა-რა „id“, უბიხ. ჟგ-ლა „id“, ადილ. ჟჰ „id“, აღმ-ად. ჟჰ „id“

(2) აფხ. ა-ჟი „ჩვენებითი ნაცვალსახელი“, აბაზ. ჟი „id“, უბიხ. ჟე-ნა „id“, შაფს.

*ჟე (ის, მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი)

(3) აფხ. აჟე „გრძელი“, „მაღალი“, უბიხ. ჟა „id“

(4) აფხ. ა-ჟ-რა „კეთება“, უბიხ. ჟ(ე)- „id“, დას-ად. ჟე- (ზმნური პრეფიქსი),
აღმ-ად. ჟე- „id“

აფხ-აბაზ. *მ : უბიხ. მ*მ : ჩერქ. *მ ს.აფხ-ადილ. *მ

(1) აფხ. ა-ცმსა „აბელი“, „პატრუქი“, აბაზ. ჩემსა „id“, უბიხ. ფა-მსა „id“

(2) აფხ. ა-მზა „მოვარე“, „თვე“, აბაზ. მზე „id“, უბიხ. მემა „id“, დას-ად. მაზზ
„id“, აღმ-ად. მაზზ „id“

(3) აფხ. ა-მცა „ცეცხლი“, აბაზ. მცა „id“, უბიხ. მეჯა „id“, დას-ად. მან⁰– „id“,
აღმ-ად. მან⁰ „id“

(4) აბაზ. მაჯა „ხელი“, უბიხ. მეჯა „მკერდი“

(5) აფხ. ა-მზა „ფიწვის ხე“, აბაზ. მზა-ჭ⁰ „id“, უბიხ. მეძე „ეკალი“, „ბუჩქი“,
დას-ად. მზზე „ტყე“, აღმ-ად. მზ „id“

(6) აფხ. ა-მშ⁰ „დათვი“, აბაზ. მშ⁰გ „id“, უბიხ. მეშ⁰ა „id“, დას-ად. მეს⁰ „id“,
აღმ-ად. მეს⁰ „id“

(7) აფხ. ა-მშ⁰ „დღე“, აბაზ. მშ⁰გ „id“, უბიხ. მეს⁰ა „id“, დას-ად. მაჭ⁰ „id“, აღმ-
ად. მახ⁰ „id“

(8) აფხ. ა-მაწა „კალია“, აბაზ. მაწა „id“, უბიხ. მაწა „id“, დას-ად. მაწა „id“, აღმ-ად. მაწა „id“

გარდა იდენტურისა, მოგვეპოვება არაიდენტური შესატყვისობანი ბილაბიალურ ფონემებს შორის. ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ურთიერთმიმართებანი:

ცხრილი N3: არაიდენტური ბილაბიალური ბგერათშესატყვისობები

აფხ- აბაზ.	ფ	ფ	ფ	მ	მ	ბ	მ
უბიხ.	ბ	პ	ბ	ბ	ბ	ფ	ფ
ჩერქ.	ბ	პ	ფ	--	მ	ფ	მ

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ირეგულარულ შესატყვისობებთან. ამ ურთიერთმიმართებისაგან ზოგიერთი წარმოდგენილია მხოლოდ უნიკალური შემთხვევით, დანარჩენებში კი სამზე მეტი მაგალითი არ მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ბილაბიალური ფონემის დადგენა მხოლოდ ყველა ქრონოლოგიური დონისათვის შესაფერისი ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინებითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროცესის ასახსნელად ვაყალიბებთ სამ წესს:

წესი I: თუ ბილაბიალურ რიგში ერთმანეთის შესატყვისია არაიდენტური რაგვარობის მქონე ფონემები, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება ისეთი რაგვარობის ფონემა, რომელიც პოვნოიერია უეჭველად აფხაზურ-აბაზურში და უბიხურ-ჩერქეზული ერთობიდან ერთ-ერთ ენაში.

წესი II: თუ აფხაზურსა ან უბიხურში **მჩ** ტიპის ბგერათკომპლექსი შეესატყვისება ჩერქეზულ ან უბიხურ **ბჩ ფჩ პჩ** ტიპის კომპლექსებს, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება სრულხმოვანი **მწჩ** კომპლექსი.

წესი III: თუ რომელიმე აფხაზურ-ადილურ ენაში **ბჩ ფჩ პჩ მჩ** ტიპის ბგერათკომპლექსი რომელიმე სხვა აფხაზურ-ადილურ ენაში შეეფარდება სრულხმოვან **ბწჩ, ფწჩ, პწჩ, მწჩ** ბგერათკომპლექსებს, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება სრულხმოვანი ბგერათკომპლექსი.

მეტი დამაჯერებლობისათვის საჭიროდ მივიჩნევთ, გავამაგროთ თითოეული წესი ჩვენს ხელთ არსებული მაგალითებით:

წესი I:

(1) აფხ. **ა-ფს-ლემმ** „ჭაობი“, უბიხ. **ბზგ** „წყალი“, დას-ად. **ფსგ** „id“, აღმ-ად. **ფსგ** „id“

(2) აფხ. **ა-ფსგმ** „თევზი“, უბიხ. **ფსა** „id“, დას-ად. **ფცა-ჟგმ** „id“, აღმ-ად. **ბა-ჟგმ** „id“,

(3) აფხ. **ა-ფს** „დედალი“, უბიხ. **ბზა** „id“, დას-ად. ***ბზგ** „id“

წესი II:

(1) აფხ. **შა-მზა** „ჩლიქი“, დას-ად **ბზ'ზ** „რქა“

(2) აფხ. **ა-ჩგ-მლა** „მისადგმელი კიბე“, დას-ად. **ფზა-ბლწ** „საკაცე“

(3) ბზიფ. **ა-მზა** „ჩირაღდანი, მაშხალა“, აბაზ. **მზა** „ნათურა“ უბიხ. **მგძა** „ნათურა, შუქი, სანთელი“, აღმ-ად. **ბზიფ** „სხივი“

(4) აფხ. ა-მც „ტყუილი“, აბაზ. მცვ „id“, უბიხ. მცვა „id“, დას-ად. პწვ „id“, აღმ-ად. პწვ „id“,

(5) აფხ. -მჰა „შეშა“, „მერქანი“, უბიხ. მეხა „id“, დას-ად. ფხვ „id“, აღმ-ად. ფხვ „id“

(6) აფხ-აბაზ. ა-ჯგ-მსა „წარბი“, უბიხ. ბლ ა-მსა „id“

(7) აფხ. *მსა „რქა, რქოვანი წანაზარდი“, უბიხ. ლ'ა-მსა „ფესვი“, დას-ად. ლ'ა-ფსვ „id“, აღმ-ად. ლ'ა-ფსვ „id“

წესი III:

(1) აფხ-აბაზ. *ფჰვ „სიმინდის ტარო“, უბიხ. მ'ზ^ „სტაფილო“, აღმ.ად. ფხვ „id“

(2) აფხ. ა-ჩგ-მლა „მისადგმელი კიბე“. დას-ად. ფხა-ბლვ „საკაცე“

(3) ბზიფ. ა-მზა „ჩირაღდანი, მაშხალა“, აბაზ. მზა „ნათურა“ უბიხ. მეძა „ნათურა, შუქი, სანთელი“, აღმ-ად. ბზიფ „სხივი“

გარდა ზემოთმოყვანილი შესატყვისობებისა, გვხვდება ისეთი ბგერათფარდობანიც, სადაც აფხაზურ-აბაზური მ შეესატყვისება უბიხურ ან ჩერქეზულ ნ ფონემას. ამ ურთიერთმიმართებისას ჩვენ აღვადგენთ *მ ბილაბიალურ სონორს:

(1) აფხ. ა-მძგ-რ-ხა „ეზო“, დას.ად. ნაზ „კიდე“

(2) აფხ. ა-მათ „გველი“, უბიხ. ანტა „id“

(3) აფხ. ა-მგ^ა „მუცელი“, უბიხ. ნგ^გ „id“

გვხვდება ისეთი შესატყვისობებიც, სადაც ჩერქეზულ და აფხაზურ ფონემას შეესატყვისება უბიხური ლაბიოდელტალური სპირანტი **ჭ**. მისი მეორეულობა დამაჯერებლად აქვს ახსნილი და გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1977: 178-181). აქედან გამომდინარე, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე ჩვენ აღვადგენთ *ფ-ს:

(1) აფხ-აზაზ. *ფგ-ნწა „ცხვირი“, უბიხ. **ჭა-წა** „id“, დას-ად. ფა „id“, აღმ-ად. ფა „id“

(2) აფხ-აზაზ. **ჭა-ფგნ** „გაზაფხული“, უბიხ. **უა-ჭა-და** „id“

ჩერქ. **ბ**, უბიხ. **ბ**, აფხაზ. **ფ**, ან ჩერქ. **ფ**, უბიხ. **ფ** აფხაზ. **ბ** სახის ბგერათფარდობის ამოსავალი ბილაბიალური ფონემის რაგვარობის დადგენა შიდა აფხაზურ-ადილური მასალის საფუძველზე შეუძლებელია. ამ ფონემათა რაგვარობის გაგება მხოლოდ მონათესავე იბერიულ-კავკასიურ (ნახურ, დალესტნურ, ქართველურ) ენათა მონაცემების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი.

თავი II

დენტალური სისტემის რეკონსტრუქცია

საერთოაფხაზურ-აბაზური დენტალური ქვესისტემა. თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში წარმოდგენილია დენტალურ ხშულთა სამეულბერივი სისტემა: **დ, თ, ტ**. დენტალურ ხშულებს გააჩნია აგრეთვე ლაბიალიზებული კორელატები – **დ°, თ°, ტ°**, რაც მას განასხვავებს სხვა კავკასიური ენებისაგან.

აღსანიშნავია, რომ აბაზურის ტაფანტურ დიალექტში ხდება ლაბიალიზებულ დენტალთა აფრიკატიზაცია. ლაბიალიზებულმა დენტალურმა ხშულების რეფლექსების სახით გვხვდება ლაბიალიზებული სისინა ან შიშინა აფრიკატები, ხოლო ამავე დიალექტის ფსიჟ-კრასნივოსტოკის თქმაში მოხდა ამ აფრიკატების დელაბიალიზაცია (ლომთათიძე 1977: 154-155); თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ყოველივე ეს მეორეული პროცესია.

რაც შეეხება ნაზალურ **ნ** და ვიზრანტ **რ** სონორებს, ისინი ფართოდ არის წარმოდგენილი ყველა აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმაში და აკუსტიკური თვისებებით არ განირჩევიან მათი კორელატებისაგან სხვა კავკასიურ ენებში (იქვე, გვ. 140).

თუ **ნ** ნაზალური სონორი შედარებით მეტი სტაბილურობით გამოირჩევა, ვიზრანტმა **რ** ფონემამ შესაძლოა რიგ თქმებში პალატალური **ღ** სონანტი მოგვცეს. მაგალითად: ტაფ. -აფგ°ა- // -არგ°ა „ახლოს“ და სხვა (იქვე. 142). წარმოვიდგინოთ აფხაზურ-აბაზურ ფუძეენურ დენტალურ სისტემას

აფხ. **დ** : აბაზ. **დ** ს. აფხ-აბაზ ***დ**

(1) **ჰ-და-რ** „ბაყაყი“, აბაზ. ადბ „id“

(2) აფხ. **ჰ-დგღლ** „ადგილი“, აბაზ. ადგღლ „id“

- (3) აფხ. ა-და „ძარღვი, ნერვი“, აბაზ. და „id“
- (4) აფხ. დად „ბაბუა“, აბაზ. დადა „id“
- (5) აფხ. დგჷ „დიდი“, აბაზ. დგჷ „id“
- (6) აფხ. ა-დამრს „საფლავ“, აბაზ. დამრა „id“
- (7) აფხ. დაჩს „სხვა“, აბაზ. დაჩა „id“
- (8) აფხ. პ-დგდ „ჭექა-ქუხილი“, აბაზ. დგდ-რა „id“
- (9) აფხ. ა-დგრ-რა „ცოდნა“, აბაზ. დგრ-რა „id“
- (10) აფხ. ა-დგჷმპაჲ / ა-დომბჷჲ „დომბეი“. აბაზ. დომბაჲ „id“

აფხ. თ : აბაზ. თ ს.აფხ.-აბაზ. *თ

- (1) აფხ. პ-თა-რა „მიცემა“, აბაზ. პ-თ-რა „id“
- (2) აფხ. ა-თლაშ „დიდი (კაცი)“, აბაზ. თლაშ „დიდი, ძლიერი, განიერი“⁴
- (3) აფხ. ა-თაცა „რძალი“, ბზიფ. ა-თაცა „id“, აბაზ. თაცა „id“
- (4) აფხ. ა-თბაა „ფართო“, აბაზ. თგბჷჲ „id“
- (5) აფხ. ა-თშჷ „ვიწრო“, ბზიფ. ა-თს,ჷ „id“, აბაზ. თშჷა „id“

⁴ აღნიშნული ძირი ნასესხებია ჩერქეზულიდან

- (6) ბზიფ. ა-თაც,°გ „ცარიელი“, აბაზ. ა-თაც,°-რა „დაცლა“
- (7) აფხ. ა-თა-რბ „შიგნით ყოფნა“, აბაზ. თბ-ზ-ლა-რა „id“
- (8) აფხ. ა-თბმჭა „შებოლილი ხორცის საკიდი, წყვილი“, აბაზ. თბმჭა „წყვილი“
- (9) აფხ. (ბზიფ). ა-თძ,პ „სახლი ეზოიანი“, აბაზ. თძფ „id“

აფხ. ტ : აბაზ. ტ ს. აფხ-აბაზ. *ტ

- (1) აფხ. ა-ტამბ „ატამი“, აბაზ. ტამბ „id“
- (2) აფხ. ა-ტსპ „ტყვია“, აბაზ. ტსა „id“
- (3) აფხ. ა-ტფ „ბუ“, აბაზ. ტფ / ა-ტფ-ჟ° „id“
- (4) აფხ. ა-ტ-რბ „გაღება“, აბაზ. ტ-რა „id“
- (5) აფხ. ა-ტფფ-წლა „ერთგვარი ხე, (Vibrunum Opulus), აბაზ. ტფფ-წლა „id“

აფხ. დ° : აბაზ. დ° ს. აფხ-აბაზ. *დ°

- (1) აფხ. ა-დ°გ „მინდორი“, აბაზ. დ°გ / ჯ°გ „id“

(2) ბზიფ. ა-რ-დღდ-რა „დაფშენა“, სად. ა-რ-დ^ოღდ^ო-რა „id“

აფბ. თ^ო : აბაზ. თ^ო/ჩ^ო ს.აფბ-აბაზ. *თ^ო

(1) აფბ. ა-თ^ოა „თივა“, აბაზ. თ^ოა / თა / ჩ^ოა „id“

(2) აფბ. ა-თ^ოა-წლა „ცაცხვი“, აბაზ. ჩ^ოა-ჭ^ოე „id“

(3) აფბ. ა-თ^ოა / ა-თ^ოა-ბაა „ჩირქი“, აბაზ. თ^ოა / ჩა-ბჟა „id“

(4) აფბ. ა-თ^ოა-რბ „დნობა“, აბაზ. ჩ^ოა-რა „id“

(5) აფბ. ა-თ^ოე „სავსე“, აბაზ. ჩ^ოე „id“, ჩ^ო-რა „გავსება“

აფბ. ტ^ო აბაზ. ტ^ო / ჭ^ო ს.აფბ-აბაზ. *ტ^ო

(1) აფბ. ა-ტ^ოა-რბ „ჯდომა“, აბაზ. ტ^ოა-რბ / ტა-რა / ჭ^ოა-რა „id“

(2) აფბ. ა-ტ^ოან „ბულიონი“, აბაზ. ჭ^ოან „id“

(3) აფბ. ა-ტ^ოეღ^ა „რქა“, აბაზ. ჭ^ოჟ^ა „id“

აფბ. რ აბაზ. რ ს.აფბ-აბაზ. რ

(1) აფბ. ა-რეფჰ „ფილტვი“, აბაზ. რაფჰა „id“

(2) აფხ. ა-რახ^o „საქონელი“, აბაზ. რახ^o „id“

(3) აფხ. ხარს „შორს“, აბაზ. ჯარა „id“

(4) აფხ. ა-რხა „დაბლობი“, აბაზ. რჯა „id“

(5) აფხ. სა-რა „მე“, აბაზ. სა-რა „id“

(6) აფხ. აბრს „აქ“, აბაზ. აბარს „id“

(7) აფხ. ა-მრა „მზე“, აბაზ. მარა „id“

აფხ. რ აბაზ. რ ს.აფხ-აბაზ. რ

(1) აფხ. ან „დედა“, აბაზ. ანგ „id“

(2) აფხ. ა-ნხარს ცხოვრება, სახლობა; აბაზ. ნხარა „მუშაობა“

(3) აფხ. ა-ფხენ „ზაფხული“, აბაზ. ფხენ „id“

(4) აფხ. ა-ნგშ^o „მიწა“, აბაზ. ნ^oგშ^o „id“

(5) აფხ. ა-ბნა „ტყე“, აბაზ. ბნა „id“

აფხაზურ-აბაზური მასალა გვიჩვენებს, რომ სადა ფონემებს შორის შესატყვისობები იდენტურია, ლაბიალიზებული დენტალები კი ზოგ აბაზურ კილო-თქმაში საგრძნობად იცვლება.

საერთოჩერქეზულ-უბიხური დენტალური ქვესისტემა. დენტალური სადა ფონემები და მასთან ერთად რ და ნ სონორები ფართოდ არის წარმოდგენილი ჩერქეზულ დიალექტებსა და უბიხურ ენაში. აღსანიშნავია, რომ გამოყენების სიხშირით,

დასავლურ ადიღურში რ ფონემა პირველობას იკავებს, ხოლო აღმოსავლურში მხოლოდ ბილაბიალურ მ სონორს ჩამორჩება (ბალყაროვი 1970, 99-100). საყურადღებოა, რომ განსხვავებით ადიღურისგან, უბიხურში პოვნიერია ლაბიალიზებული დენტალური ხშულები (ჯანაშია 2015, 23). წარმოგიდგენთ ჩერქეზულ-უბიხური დენტალური ფონემების რეკონსტრუქციას:

უბიხ. დ : ჭემ/აბძ. დ / თ : ბჟედ/შაფს. დ/თ : აღმ.ად.
 დ ს.ჩერქ-უბ. *დ

- (1) უბიხ. **აა-და** „ბევრი, ძალიან“, დას-ად. **დად** „id“, აღმ-ად. **დად** „id“
- (2) უბ. **დად** „მამა“, დას-ად. **თათ** „id“, აღმ-ად. **დადა** „id“
- (3) უბ. **აა-და** „ის, სხვა“, დას-ად. **ა-დ-რზ** „სხვა“, აღმ-ად. **ა-დ-რზ-ა** „id“
- (4) უბ. **-და** „ერთობლიობის ნიშანი“, დას-ად. **და-** „id“, აღმ-ად. **და-** „id“
- (5) უბ. **ნდა** „მზე“, შაფს/ბჟედ. **თგა** „id“, ჭემ/აბძ. **თგა** „id“, აღმ-ად. **დაგა** „id“

უბიხ. თ დას-ად. თ აღმ-ად. თ ს.ჩერქ-უბ. *თ

(1) უბ. თა- / თგ- „მიცემა“, დას-ად. თგ- / თა- „id“, აღმ-ად. თა- / თგ- „id“

(2) უბ. თა- / თგ- „სადღაც ყოფნა“, დას-ად. თგ- / თა- „დგომა“, აღმ-ად. თა- / თგ- „id“

(3) უბ. თაჯა „მამალი“, დას-ად. ათაჯა „id“

(4) უბ. -თა „ადვერბული სუფიქსი“, აღმ-ად. -თა „id“

უბიხ. ტ : დას-ად. ტ აღმ-ად. ტ ს.ჩერქ-უბ. *ტ

(1) უბიხ. ტგ „სველი, თხევადი“, დას-ად. ტატა „რბილი“, აღმ-ად. ტატა „id“

(2) უბიხ. ტგრ „კვანძის გახსნა“, აღმ-ად. უგ-ტარა-ზგ „თმის ნაწნავი“

(3) უბიხ. ტგმა „ატამი“, შავს. კ°გ-ტამ(ა) „მსხლის სახეობა“

უბიხ. დ° : აღმ-ად დ დას-ად. დ

(1) უბიხ. დ°გ „მინდორი, ველი“, დას-ად. და- „ლოკატიური პრევერბი „ზედაპირზე“, აღმ-ად. და- „id“

(2) უბიხ. დ^ოდ^ოჯ „ჭეჭა“, დას-ად. დჯდჯ „მეხის დაცემა“, აღმ-ად. დჯდჯ „id“

(3) უბიხ. დ^ა „მახათი“, დას-ად. დჯდჯ „id“, აღმ-ად. დჯდჯ „id“

(4) უბიხ. დ^ოჯ- „ქსოვა“, დას-ად. დჯ-ნ / დჯ-ნ „id“, აღმ-ად. დჯ-ნ / დჯ-ნ „id“

უბიხ. თ^ო : დას-ად. თ აღმ-ად. თ ს-ჩერქ-უბ. *თ^ო

(1) უბიხ. თ^ა-ხ^ა „მდინარე“, დას-ად. კჯ-თჯ- „რამე მყარი ნივთიერების გადაყრა“

(2) უბიხ. ნ^თა „ჩირქი“, აღმ-ად. თჯ-დჯ „ლპობა“

უბიხ. ტ^ო : დას-ად. ტ აღმ-ად. ტ ს-ჩერქ-უბ. ტ^ო

(1) უბიხ. ტ^ა-სჯ „ჩამოჯდომა“, დას-ად. ტჯ-სჯ-ნ „id“

(2) უბ. ტ^ოჯ „თხრა“, დას-ად. ტჯ-ნ „id“, აღმ-ად. ტჯ-ნ „id“

უბიხ. რ : დას-ად. რ აღმ-ად. რ ს-ჩერქ-უბ. რ

(1) უბიხ. -რჯ- „კავშირებითი აფიქსი“, დას-ად. -რჯ- „id“, აღმ-ად. -რჯ- „id“

(2) უბიხ. ფჯრ „ფრენის ხაბაძვა“. აღმ-ად. ფჯრ-ფჯრ „id“

(3) უბიხ. კ^ოგრგ- „გვერდით ჩამოცურება“, დას-ად. ჟგ-კ^ოარა-დ-ნ „დავარდნა, ჩამოვარდნა“

უბიხ. ნ : დას-ად. ნ აღმ-ად. ნ ს-ჩერქ-უბ. ნ

(1) უბ. ბანა „ბალახი“. დას-ად. ფანა „ეკალი“, აღმ-ად. ბანა „id“

(2) უბიხ. ნგზა „ქალის თავსაფარი“. დას-ად. ნაზგ „კიდე, ზღვარი“

(3) უბიხ. ნა „დედა“, დას-ად. ნანა „დედა“, აღმ-ად. ნან „id“

მიუხედავად იმისა, რომ რ ფონემა ჩერქეზულ დიალექტებში ყველაზე დიდი სიხშირით გამოირჩევა, ფუძეენურ ვითარებაში მისი დისტრიბუცია შეზღუდულია და მცირე რაოდენობის ძირში აღდგება იდენტური შესატყვისობების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ რ თანამედროვე კილო-თქმებში ან მეორეულია, ან კომპოზიტებში გვხვდება.

საერთოაფხაზურ-ადილური დენტალური რიგის რეკონსტრუქცია. ბილაბიალურთან შედარებით უფრო რთულ ხახიათს ატარებს საერთოაფხაზურ-ადილური დენტალური რიგის რეკონსტრუქცია. გარდა ხშული დ, თ, ტ და სონორი რ ფონემებისა, სინქრონიულ დონეზე გვხვდება ლაბიალიზებული დ^o, თ^o, ტ^o ფონემებიც. ლაბიალიზებული დენტალური ხშულები და პროტოაფხაზურ-ადილური დ^o, თ^o, ტ^o ფონემების რეფლექსები უცვლელი სახით შენარჩუნებულია აფხაზურ-აბაზურ და უბიხურ ენებში.

ჩერქეზულ კილო-თქმებში გავრცელებული ტ° არის მეორეული და ჰარმონიულ-დეცესიური ტყ° კომპლექსის გამარტივების გზითაა მიღებული. მაგალითად, შაფს. (ჰაკუჩ.) ტყ°გ „ორი“, სხვა ჩერქეზული დიალექტებში ტ°გ „id“. ბალყაროვი ჩერქეზულ ტ° ფონემას არა ცალკე ფონემად, არამედ ტუ კომპლექსად მიიჩნევს და მისი აზრით „ლაბიალიზაციის კომპონენტი ხმოვანში გადადის“ (ბალყაროვი 1970, 15).

საინტერესოა ის პროცესიც, რომლის შედეგადაც უბიხურ ენაში ლაბიალიზებული დენტალური ხშულებისაგან ბილაბიალური ხშულები მიიღება. დ°/თ°/ტ° > ბ/ფ/პ – ამგვარი პროცესისას ს. სტაროსტინი ცდილობდა ამოსავალ ფონემად პალატალიზებული ხშული ბილაბიალი გამოეყვანა. ამის ჩვენებას იგი ორად ორი მაგალითის ხარჯზე ცდილობდა. აფხ. ა-ბაბა „რბილი“, აბაზ. ბაბა „id“, უბიხ. დ°გდ°ა „id“, პროტაფხ-ად. *ბ~Vბ~ა; აფხ. აბ „მამა“, აბაზ. აბა „id“, უბიხ. თ°გ დას-ად. თგ „id“, აღმ-ად. აღდ „id“ (სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994, 217).

პირველი მაგალითისათვის ვ. ჩირიქბამ სხვა, ჩვენთვის უფრო დამაჯერებელი შესატყვისი მოუძებ, ა უბიხურ ძირს და ეს ძირია აფხაზურ-აბაზური დ°გდ°ა „სრესა, დაღბობა“ (ჩირიქბა 1996, 185); რაც შეეხება მეორე ძირს ურთიერთმიმართებას, მასში, გარდა ზემოთაღნიშნული წინაღობისა, სახეზეა შესატყვისობათა არაჰომოგენურობა. ზოგადად დ°, თ°, ტ° > ბ, ფ, პ სახის ფონეტიკურ ცვლილებებს საფუძვლად უდევს ლაბიალიზებულ დენტალთა ვიბრანტული თვისებები. გ. ახვლედიანი აღნიშნულ ფონემებს ლაბიოვიბრანტულ სამეულს უწოდებდა (ახვლედიანი 1949, 398-403).

დენტალურ რიგში პროტოაფხაზურ-ადიღური ქრონოლოგიური დონისათვის ჩვენ აღვადგენთ *დ, *თ, *ტ, *რ , დ°, თ°, ტ° ფონემებს. ამგვარი სისტემა

ემთხვევა ვ. ჩირიქბას მიერ რეკონსტრუირებულ სისტემას, ხოლო ს. სტაროსტინს, გარდა აღნიშნული ფონემისა, აღუდგენია პრერუპტიული ხშული თ და ყველა სხვა ხშულთა პალატალიზებული ვარიანტებიც (სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994, 181-182).

ცხრილი N4: რეკონსტრუირებული დენტალური ფონემები

სტაროსტინი	*დ *დ° *დ~	*თ *თ° *თ~	*ტ *ტ° *ტ~	*თ
ჩირიქბა	*დ *დ°	*თ *თ°	*ტ *ტ°	
ჩვენ	*დ *დ°	*თ *თ°	*ტ *ტ°	

განვიხილოთ ყველა დენტალური ფონემის რეფლექსი თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ ენებში:

აფხ-აბაზ. *დ : უბიხ-ჩერქ. *დ ს. აფხ-ადიღ. *დ

(1) აფხ. აანდა „ლობე“, უბიხ. ჟუნდა „id“, პროტ. *შანდა / *შუნდა

(2) აფხ. -და „ჩვენებითი ნაცვალსახელი“, აბაზ. -და „id“, უბიხ. (აა)-და „id“, აღმ-ად. -და „id“

(3) აფხ. დად „ბაბუა“, აბაზ. დადა „id“, უბიხ. დად „მამა“, ად. თათ „id“, აღმ-ად. დადა „id“

(4) აფხ. ა-კვლ-და-რა „ჩადება“, აბაზ. კვლ-და-რა „id“, ად. ხვ-დვ-ნ „არჩევა, გადადება“, აღმ-ად. ხვ-დვ-ნ „id“

(5) აფხ. ა-ჩადა „ვირი“, უბიხ. ჩვდვ „id“, ადიღ. შვდვ „id“, შავს. ჩვდვ „id“

(6) აფხ. დვ- „გვერდით“, აბაზ. დვ- „id“, უბიხ. და- „ერთობლიობის პრევერბი“, ადიღ. დვ- „id“, აღმ-ად. დვ- „id“

(7) აფხ. დაარა „ძალიან“, აბაზ. დარა „id“, უბიხ. და-და „ბევრი, ძალიან“, ადიღ. დვდ „id“, აღმ-ად. დვდ „id“

აფხ-აბაზ. *თ : უბიხ-ჩერქ. *თ ს. აფხ-ადიღ. *თ

(1) აფხ. პ-თა-რა „მიცემა“, აბაზ. ა-თ-რა „id“, უბიხ. თა- „id“, ად. თვ-ნ „id“, აღმ-ად. თვ-ნ „id“

(2) აფხ. -თა- / თ(გ)- „გარეთ ყოფნა“, აბაზ. -თა / -თ(გ)- „id“, უბ. თა- „id“

(3) აფხ. ა-ქვთა „სოფელი“, აბაზ. ქვთ „id“, ჩვთ „ცხვრის შესარეკი ადგილი“, აღმ-ად. ჩვთ „id“

(4) აფხ. ა-გ⁰ართა „ცხვრის ფარა“, აბაზ. გ⁰ართა „id“, დას.ად. ქ⁰ართ „id“, აღმ-ად. გ⁰ართა „id“

აფხ-აბაზ. *ტ : უბიხ-ჩერქ. *ტ ს. აფხ-ადიღ. *ტ

(1) აფხ. ა-ტატა „რბილი“, აბაზ. ტატა „id“, უბიხ. ტგ „სველი, თხევადი“,
დას.ად. ტატჷ „რბილი“, აღმ-ად. ტატჷ „id“

(2) აფხ. ა-ტამა „ატამი“, უბ. ტგმა „id“, დას.ად. (შაფს.) ჳგ-ტამ(ვ) „მსხლის
სახეობა“

(3) აფხ. ა-ქა-ფსა-ტა „ჟუჟუნა წვიმა“, აღმ-ად. ჟა-ტგ „სველი“

(4) აფხ. ა-კენტ-რგ-შო „სულ მცირე“, დას.ად. *ჳ-ანტგ „მცირე ნარჩენები“

(5) აფხ. -ჟა-მ-ტგ „აწმყო დროის სუფიქსი“, უბიხ. -აჟგ-მტ „მომავალი და
ნამყო დროის სუფიქსი“

საინტერესო რეფლექსებს იძლევა პროტოაფხაზურ-ადიღური
ლაბიალიზებული დენტალური ხშულები:

აფხ-აბაზ. თ° უბიხ. თ / თ° ჩერქ. თ

აფხ-აბაზ. *დ° : უბიხ-ჩერქ. *დ° / დ ს. აფხ-ადიღ. *დ°

- (1) აფხ. ა-დ^ოგ „მინდორი“, უბიხ. დ^ოგ „id“, ადიღ. დჰ- „ლოკატიური პრევერბი „ზედაპირზე“, აღმ-ად. დჰ- „id“
- (2) აფხ-აბაზ. *დ^ოგდ^ოგ „სრესა“, უბიხ. დ^ოგდ^ოა „რბილი“
- (3) აფხ. -და „შესუსტება, შენელება“, აბაზ. -და „id“, უბიხ. დ^ოა „გაჩუმება“

აფხ-აბაზ. *თ^ო : უბიხ-ჩერქ. *თ^ო / თ ს. აფხ-ადიღ. *თ^ო

- (1) აფხ. ა-თ^ოა „ჩირქი“, აბაზ. ჩ^ოა-ზჰა „id“, აღმ-ად. ჟა-თჰ-ფს „id“
- (2) აფხ. ა-სგ-თ^ოჰ^ოა „ქარბუქი“, აბაზ. სრგ-ჩ^ოჰ^ოა „id“, აღმ-ად. სგ-თხ^ო „id“
- (3) აფხ. ა-თ^ოა „ცაცხვი“, უბ. თ^ოა-სგ „თელა“

აფხ-აბაზ. *ტ^ო : უბიხ-ჩერქ. *ტ^ო / ტ ს. აფხ-ადიღ. *ტ^ო

- (1) აფხ. -ტ^ოა- „ჩამოჯდომა“, უბიხ. ტ^ოა-სგ „id“, ადიღ. ტგ-სგ-ნ „id“, პროტ. *ტ^ოა
- (2) აფხ. ა-ტგ-შა „ორმო, ხვრელი“, უბიხ. ტ^ოგ „თხრა“, დას.ად. ტჰ-ნ „id“, აღმ-ად. ტჰ-ნ „id“

აფხ-აბაზ. *რ : უბიხ-ჩერქ. *რ ს. აფხ-ადიღ. *რ

- (1) აფხ. ა-ფგრ-რა „ფრენა“, აბაზ. ფგრ-რა „id“, უბიხ. ფგრ „id“, აღმ-ად. ფგრ-ფგრ „ფრენის ხმაბაძვა“
- (2) აფხ. -რგ- „კავშირებითი აფიქსი“; აბაზ. -რგ- „id“, უბიხ. -რგ- „id“, აღმ.ად. -რგ- „id“, დას.ად. -რგ- „id“
- (3) აფხ. ა-ღარგ „ღარიბი“, უბიხ. ღგრ „პატიმარი“, დას.ად. ღვრგ „id“

აფხ-აბაზ. *წ : უბიხ-ჩერქ. *წ ს. აფხ-ადილ. *წ

- (1) აფხ. ა-ნა-ყა „იქ“, უბიხ. ა-ნან „id“
- (2) აფხ. ა-ღუნა „სახლი“, აბაზ. ჳუნა „id“, დას.ად. ჳუნ „სახლი“, აღმ.ად. ჳუნ „id“
- (3) აბაზ. ჳუნ-გო „თავვი“, უბიხ. ჳუნგ „თავვი, ვირთხა“

როგორც მოსალოდნელი იყო, დენტალური რ და ნ სონორები საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე შეზღუდული რაოდენობით ძირშია პოვნადი. გარდა იდენტური შესატყვისობებისა, მოიპოვება რიგი არაიდენტური ბგერათფარდობებისა:

აფხ-აბაზ. *თ, ჩერქ. *ტ, უბიხ. ტ

- (1) აფხ. ა-თუ „ყოჩი“, აბაზ. თუ „id“, უბიხ, ტუ „id“, ად. ტუ „id“, აღმ-ად. ტუ „id“
- (2) აფხ. ა-მათ „გველი“, აბაზ. (აშხ.) მათუ „id“, უბიხ. ანტა „id“

ამ სახის ურთიერთმიმართებისას შეუძლებელია ამოსავალი ფონემის დადგენა საერთოაფხაზურ-ადილური ქრონოლოგიური დონიდან გაუსვლელად. ამის დასადგენად საჭიროა სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მასალის მოხმობა. გარდა ამ შესატყვისობებისა აღსანიშნავია რ//დ ტიპის ბგერათშესატყვისობანი.

(1) აფხ. ა-რამნ „ვერცხლი“, აბაზ. რგზნა „id“, უბიხ. დას,°ანგ „id“, დას.ად. თგზ,გნ „id“, აღმ-ად. დგზ,გნ „id“

(2) აფხ. პ-რხა „ველი“, აბაზ. რჯა „id“, უბ. თხ°ა „სახნავი მიწა“

ამ შემთხვევაში ჩვენ აღვადგენთ დენტალურ ხშულს. ზოგადად რ ფონემის ანლაუტის პოზიციაში დაშვების ალბათობა მეტად დაბალია. ამას ღიაობის თეორიაზე დაყრდნობით თ. უთურგაიძის მიერ წარმოდგენილი ქართულ ფონემათა სინტაგმატიკა გვიჩვენებს (უთურგაიძე 1976, 79-80).

ვ. ჩირიქბას დასაშვებად მიაჩნია აფხ. ძ' ~ უბ. დ° ~ ჩერქ. დ და აფხ. ც' ~ უბიხ. თ° ტიპის ბგერათშესატყვისობაც, თუმცა უსაკმარისი მასალის გამო მისი ამ საკითხს ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ (ჩირიქბა 1996, 86-89).

თავი III

ლატერალური სისტემის რეკონსტრუქცია

საერთოაფხაზურ-აბაზური ლატერალური ქვესისტემა. თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა წინაპარ ენას მხოლოდ ლატერალური სონორი უნდა ჰქონოდა. საერთოსაფხაზურ-აბაზურ შიდა რეკონსტრუქციებში სპირანტული ლატერალური ფონემების რეფლექსებია წარმოდგენილი. ვ. შენგელიას აზრით, ლატერალურ თანხმოვანთა გარდაქმნა შიშინა სპირანტებად აფხაზურ-ადილური ფუძე-ენის დიფერენციაციის დროს მომხდარი სპონტანური მოვლენა უნდა ყოფილიყო (შენგელია 2006, 84). ჩრდილოურ დიალექტებში (აშხარული და ტაპანთური) არსებული ყრუ სპირანტული ლატერალი აღმოსავლურ ადილურიდან (ყაბარდოული და ბასლენური დიალექტი) უნდა იყოს შეთვისებული (ლომთათიძე 1976, 209). აღნიშნულ ენობრივ ერთობაში, ლატერალური რიგი იდენტური ბგერათშესატყვისობებით არის წარმოდგენილი განვიხილოთ საერთოაფხაზურ-აბაზური ლატერალური სონორის რეფლექსები თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ქვესისტემაში:

აფხ. ლ აბაზ. ლ ს. აფხ.-აბაზ. *ლ

- (1) აფხ. ა-ბგლ-რ^ა „წვა, დაწვა“, აბაზ. (ტაპ.) ბგლ-რა „id“
- (2) აფხ. პ-გ^ალა წანაობა, წანწალი“, აბაზ. (აშხ.) გ^ალა-რა „უსაქმურობა“
- (3) აფხ. (ბზიფ.) ა-ქ^ალ „ქობი“, აბჟ. ა-ქ^ალა „id“, აბაზ. ქ^ალა „id“
- (4) აფხ. პ-შლა „რუხი“, აბაზ. (ტაპ.) შლა „ჭალარა“ < *შგ „თეთრი“

- (5) აფხ. (ბზიფ.) ა-ხლაწო / ა-ხლაძწო / ა-მახლაძმც „ერთგვარი ხე თჳელყცრაინა აუსტრალის (რუს. Кузильник)“, ააც. ა-ხლაძრწო „id“, აბჟ. ა-ხლაძრწო „id“
- (6) აფხ. პ-ძლა „შიმშილი“, აბაზ. (ტაპ.) ძლა „id“, აშხ. ძალა „id“
- (7) აფხ. ა-ლა „ძალი“, აბაზ. ლა „id“
- (8) აფხ. პ-ლა „თვალი“; აბაზ. ლა „id“
- (9) აფხ. (ბზიფ.) ა-ლაბა / ა-ლაბგ „ჯოხი“, აბჟ. ა-ლაბა „id“, აბაზ. ლაბა „id“
- (10) აფხ. (ბზიფ.) პ-ლას'ა / პ-ლას' „მატყლი“, აბჟ. პ-ლასა „id“, აბაზ. ლასა „id“

საერთოჩერქეზული ლატერალური ქვესისტემა. განსხვავებით, აფხაზურ-აბაზურისგან, საერთოჩერქეზული ლატერალური ქვესისტემა უფრო რთული შედგენილობით ხასიათდება. თანამედროვე ჩერქეზულ ენა-კილოებში პოვნირია ლატერალურ სპირანტთა სამეულეზრივი სისტემა: მჟღერი, ყრუ-ფშვინვიერი და ყრუ-მკვეთრი. ბ. ბალყაროვი ახასიათებს მათ, როგორც „წინაენისმიერი გვერდითა წარმოების“ ფონემები (ბალყაროვი 1970, 89). მათი შეზღუდული დისტრიბუციის გამო, იგი ვარაუდობს, რომ ისტორიულად საერთოჩერქეზულ ლატერალებს შესაძლოა სხვა რეფლექსები მოეცათ. მკვლევარი აგრეთვე მიიჩნევს, რომ ისტორიულად აფრიკატ ლატერალთა სპირანტიზაცია უნდა მომხდარიყო (იქვე გვ. 232-233).

სონორული ლატერალური ფონემა ჩერქეზულ ენებს არ გააჩნიათ და მისი კომპენსირება მჟღერი ლატერალური სპირანტით ხდება, მაგ. არაბ. ალლაჰ „ღმერთი, ალაჰი“, დას.-ად. ალაჰ „ალაჰი, ღმერთი“.

წარმოგიდგენთ საერთოჩერქეზული ლატერალური სპირანტების რეფლექსებს თანამედროვე ჩერქეზულ ენა-კილო-თქმებში:

დას.-ად. ლ̃ ; აღმ.-ად. ლ̃ ; უბიხ. ლ̃ ; ს.ჩერქ. *ლ̃

- (1) დას.-ად. ბლ̃-ნ „დაწვა“, აღმ.-ად. ბლ̃-ნ „id“, უბიხ. ლ̃გ- „id“
- (2) დას.-ად. ლ̃გ-ნ „შეღებვა“, აღმ.-ად. ლ̃გ-ნ „id“, უბიხ. ლ̃ა- „ხატვა“
- (3) დას.-ად. ბლ̃ა-რჷ „ახლოს“, აღმ.-ად. ბლ̃ა-რჷ „id“, უბიხ. დას.-ად. ბლ̃ა- „შუაში, შიგნით“
- (4) დას.-ად. ბლ̃გ „შვიდი“, აღმ.-ად. ბლ̃გ „id“, უბიხ. ბლ̃გ „id“
- (5) დას.-ად. ლ̃გ-მჷ „მეტი“, უბიხ. ლ̃ჷა „id“
- (6) დას.-ად. ჳაღლ̃-ზ' „ყვავი“, ყაღლ̃ „ერთგვარი პატარა ფრინველი“, უბიხ. ჳაღლ̃ა „ჭკა“
- (7) დას.-ად. ლ̃გგ-ნ „ლიტინი“, აღმ.-ად. ლ̃გგ-ნ / ჳგლ̃გ-ნ „id“, უბიხ. კ̃გლ̃- „id“
- (8) დას.-ად. ლ̃ჷ „ღორი“, აღმ.-ად. ლ̃ჷ „id“
- (9) დას.-ად. ლ̃გდ-გნ „ბრწყინვა“, აღმ.-ად. ლ̃გდ-გნ „id“
- (10) დას.-ად. მგლ̃გ „ყინული“, აღმ.-ად. მგლ̃გ „id“

მჷღერი ლატერალური სპირანტის მსგავსად, იდენტური შესატყვისობებითაა წარმოდგენილი საერთოჩერქეზული ყრუ ლატერალურ სპირანტის რეფლექსებიც.

დას.ად. ლ' აღმ.ად. ლ' უბიხ. ლ' ს.ჩერქ. *ლ'

- (1) დას.-ად. ფლ̃-ზ-ნ „ყურება“, აღმ.-ად. ფლ̃-ზ-ნ „id“, უბიხ. ფლ̃-ა- „id“
- (2) დას.-ად. ფლ̃-გ-ჷ „წითელი“, აბძ. ფლ̃-გ „id“, აღმ.-ად. ფლ̃-გ-ზ' „id“, უბიხ. ფლ̃-გ „id“
- (3) დას.-ად. ლ'გ „სისხლი“ აღმ.-ად. ლ'გ „id“, უბიხ. ლ'გ „id“
- (4) დას.-ად. ლ'ა-ჳა „ფეხი“, აბძ. ლ'გ „id“, აღმ.-ად. ლ'ა-ყა „id“, უბიხ. ლ'ა-ჳა „id“

- (5) დას.-ად. -ლ'- „წოლა“, აღმ.-ად. -ლ'- „id“, უბიხ. -ლ'- „id“
- (6) დას.-ად. ლ'აჰჰ „ძვირი“, შაფს. ლ'აჰჰჰ „id“, აღმ.-ად. ლ'აჰჰ „id“, უბიხ. ლ'აჰა „id“
- (7) დას.-ად. ლ'გნჰ „ფრინველის ქონი“, აღმ.-ად. ლ'გნჰ „id“
- (8) დას.-ად. ფსალ' „სიტყვა“, აღმ.-ად. ფსალ'ჰ-ნ „თქმა“
- (9) დას.-ად. ლ'ჰთჰ-ნ „ხტუნვა“, აღმ.-ად. ლ'ჰთჰ-ნ „id“
- (10) დას.-ად. ლ'ჰჰ-ნ „დაბადება“, აღმ.-ად. ლხ'ჰ-ნ „id“

ანალოგიური ვითარებაა ყრუ-მკვეთრ ლატერალურ სპირანტთა შესატყვისობისას. აღსანიშნავია, რომ მკვეთრი ლატერალური სპირანტები უფრო ნაკლებად პოვნიერია, ვიდრე მისი მჟღერი და ყრუ-ფშვინვიერი ეკვივალენტი. თავად ყრუ-მკვეთრი ლატერალური ფონემები მეტად იშვიათად გვხვდება ძირებში.

დას.ად. ლ' აღმ.ად. ლ' უბიხ. ლ' ს.-ჩერქ. *ლ'

- (1) დას.-ად. პლ'გ „ოთხი“, აღმ.-ად. პლ'გ „id“, უბიხ. პლ'გ „id“
- (2) დას.-ად. ლ'გ „კაცი“, აღმ.-ად. ლ'გ „id“
- (3) დას.-ად. პლ'ჰ „ზურგი“, აღმ.-ად. პლ'ჰ „id“, უბიხ. პლ'ა-ჰა „მკერდი“
- (4) დას.-ად. ლ'ჰ-ნ „სიკვდილი“, აღმ.-ად. ლ'ჰ-ნ „id“

გარდა იდენტური ლატერალური ბგერათშესატყვისობებისა, საყურადღებოა ადილურ-უბიხური შესატყვისობა, სადაც ადილური **B** ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური თჰ კომპლექსს შეესატყვისება უბიხურ ლატერალურ მჟღერ ლ' სპირანტს. აღნიშნული ბგერათფარდობა ყრუ-ფშვინვიერი ლ' აფრიკატის რეფლექსაციად მიგვაჩნია. აფრიკატული ლატერალური ფონემებისგან ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსების მიღება დადასტურებულია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, სადაც რეფლექსის სახით სახეზეა ლჰ ბგერათკომპლექსის (გუდავა 1964, 110). გარდა ამისა, ნახურ და დაღესტნურ ენებს შორის დადასტურებულია ს-დად. *ლ' : ს-ნახ. *თხ

ბგერათმესატყვისობა (ჩუხუა 2007, 226-227). ლ' > ლჰ > თჰ მონაცვლეობა დასაშვებად მიგვაჩნია.

უბიხური რეფლექსის მისი ახსნა გაცილებით მარტივია და იგი ამოსავალი ფონემის სპირანტიზაციის გზით იქნა მიღებული: ლ' > ლ̃. აღნიშნული ბგერათმესატყვისობა გვხვდება შემდეგ მაგალითებში:

ს.-ჩერქ. *ლ' ; დას.ად. თჰ ; აღმ.ად. თჰ ; უბიხ. ლ̃

(1) დას.-ად. თჰა-კ°გმ „ყური“, აღმ.-ად. თჰა-კ°გმ „id“, უბიხ. ლ̃ა-კ°გმა „id“

(2) დას.-ად. თჰაღლ̃ა-ნ „დახრჩობა“, აღმ.-ად. თჰაღლ̃ა-ნ „id“, უბიხ. ლ̃აღლ̃ა- „id“

(3) დას.-ად. ლ°გ-თჰა-ნ „მოშარდვა“, უბიხ. ლ°ა-ღა- „id“

უნიკალური ბგერათმესატყვისობის სახით გვხვდება ადიღური ლატერალისა და უბიხური პალატალური სონანტის თანაფარდობა. ამ შემთხვევაში ლოგიკურად მიგვაჩნია ლატერალური მჟღერი სპირანტის რეკონსტრუქცია.

დას.ად. ლ̃ აღმ.ად. ლ̃ უბიხ. ლ ს.-ჩერქ. *ლ̃

(1) დას.-ად. ჩ̃ღლ̃ა „სოფელი“, შაფს.„ბჟედ. ჩ̃ღლ̃ა „id“, აღმ.-ად. ჟღლ̃ა „id“, უბიხ. ჯგღ „id“

საერთოაფხაზურ-ადიღურ ქრონოლოგიურ დონეზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სონორული, აფრიკატული და სპირანტული ლატერალური ფონემები. აქედან, სონორულმა ლ ლატერალმა პირვანდელი სახე მხოლოდ აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმებში შეინარჩუნა, მაშინ როდესაც ჩერქეზულ ენებში მან დაკარგა სონორობა და განიცადა სპირანტიზაცია *ლ' > ლ̃. ამოსავალში არსებულმა ლატერალ-სპირანტებმა კი, პირუკუ, პირვანდელი სახე ჩერქეზულ ენებში შეინარჩუნეს, ხოლო აფხაზურ-აბაზურში მოხდა მათი სპირანტულ სიბილანტებად ტრანსფორმაცია. მსგავსი პროცესი დასტურდება ხუნძური ენის კილოებშიც, რაც

ამ ბგერათშესატყვისობის ვალიდურობას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის. ძირეული აფრიკატული ლატერალური ფონემა არ არის პოვნირი არც ერთ აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმაში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი საერთოაფხაზურ-ადილური ლატერალური სისტემა მკაფიოდ განსხვავდება სტაროსტინისა და ჩირიქბას მიერ წარმოდგენილი რეკონსტრუქციებისგან. შეუძლებლად მიგვაჩნია ფუძე-ენაში ერთდროულად 28 ლატერალური ფონემის რეკონსტრუქცია, როგორც ეს სტაროსტინ-ნიკოლაევის კავკასიურ ენათა ლექსიკონში არის მითითებული (სტაროსტინ-ნიკოლაევი 1994, 181-182).

სტაროსტინისეული რეკონსტრუქციების დასაბუთებაც საკმაოდ სუსტია და რიგ შემთხვევაში მხოლოდ უნიკალური შესატყვისობის საფუძველზეა რეკონსტრუქციებული. მის სისტემაში აღდგენილია აფრიკატულ და სპირანტთა ოთხეულბრივი სისტემა და თითოეული ლატერალური ფონემის ლაბიალიზებული, პალატალიზებული ან სულაც პალატალიზებულ-ლაბიალიზებული ვარიანტიც.

სტაროსტინთან შედარებით, უფრო რაციონალურად გამოიყურება ვ. ჩირიქბას მიერ რეკონსტრუქციებული პროტოაფხაზურ-აბაზური ლატერალური სისტემა (ჩირიქბა 1996, 268-277); ჩვენ არ ვიზიარებთ ლაბიალიზებული ყრუ-ფშვინვიერი ლატერალური ფონემისა და ჩერქეზული სიბილანტებისა და აფხაზურ-აბაზური გუტურალური სპირანტების ლატერალური ფონემების აღდგენას. ანალოგიური დამოკიდებულება გვაქვს შემდეგი სახის ბგერათფარდობებზე: ადილ.

ჩ/ჩ : აფხ-აბაზ. **ც^o** : უბიხ. **ც^o** და ადილ. **ჩ[~]** : აფხ. **ჯ[~]** : უბიხ. **ჟ^o**. მაგალითად:

(1) აფხ. **ხ-ფა** „სამი“, აბაზ. **ხ-ფა** „id“, დას.-ად. **შგ** „id“, აღმ.-ად. **ს'გ** „id“, უბიხ. **ს'გ / ს'ა** „id“

(2) აფხ. **ა-ჩა** „ძილი“, აბაზ. **ჩ^oა** „id“, დას.-ად. **ჩგ-აჰ** „id“, უბიხ. **ც^oა** „id“

(3) დას.-ად. ჩ[~]გლ[~] „სოფელი“, შაფს., ბჟედ. ჩ[~]გლ[~] „id“, აღმ.-ად. ჟგლ[~] „id“, უბიხ. ჯგგ „id“ და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ზემოთხსენებულ შესატყვისობათა რეკონსტრუქცია გუტურალურ და სიბილანტურ რიგებში უნდა მოხდეს და მათ სათანადო ნაწილში განვიხილავთ. გთავაზობთ სადღეისოდ არსებულ ლატერალურ ფონემათა რეკონსტრუქციებს

ცხრილი N5: ს. სტაროსტინის და ს. ნიკოლაევის რეკონსტრუქცია

	მჟღერი	ყრუ-ფშვინვიერი	ყრუ-მკვეთრი	ყრუ-უფშვინველი
აფრიკატული ლატერალური ხშული	*ლ ^{~+} *ლ ^{~+} ~ *ლ ^{~+} ° *ლ ^{~+} ~°	*ლ ⁺ *ლ ⁺ ~ *ლ ⁺ ° *ლ ⁺ ~°	*ლ ⁺ *ლ ⁺ ~ *ლ ⁺ ° *ლ ⁺ ~°	*ლ ⁺ > *ლ ⁺ > *ლ ⁺ >~°
სპირანტული ლატერალი	*ლ [°] *ლ [~] *ლ [~] °	*ლ [°] *ლ [°] *ლ [~] *ლ [~] °		*ლ [°] > *ლ [°] > *ლ [~] > *ლ [~] >
სონორული ლატერალი	*ლ *ლ~			

ცხრილი N6: ვ. ჩირიქბას რეკონსტრუქცია

	მჟღერი	ყრუ-ფშვინვიერი	ყრუ-მკვეთრი
აფრიკატული ლატერალური ხშული	*ლ ⁺		*ლ ⁺

სპირანტული ლატერალი	*ლ̃	*ლ ^ა *ლ ^ა	
სონორული ლატერალი	*ლ		

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურ-აბაზური სონორული და ჩერქეზული სპირანტული ლატერალის შესატყვისობისას სონორული ლატერალი აღდგება.

ს. აფხ-ად. *ლ ს. აფხ-აბაზ. *ლ ს. ჩერქ. *ლ̃

- (1) აფხ. ა-ც-ლამჭჷ „ყბა“, აბაზ. ც-ლამჭჷ „id“, უბიხ. ლაღა „ლოყა“
- (2) აფხ. ჩ^ა-მლა „მისადგმელი კიბე“, დას.-ად. ფხა-ბლ̃ „საკაცე“, აღმ.-ად. ფხა-ბლ̃ „id“
- (3) აფხ. ა-ბელ-რს „წვა, დაწვა“, აბაზ. (ტაფ.) ბელ-რა „id“, დას.-ად. ბლ̃-ნ „id“, აღმ.-ად. ბლ̃-ნ „id“
- (4) აფხ. ა-ლა „თვალი“, აბაზ. ლა „id“, დას.-ად. ნჷ < *ლ̃ა „id“, აღმ.-ად. ნჷ < *ლ̃ა „id“, უბიხ. ბლ̃ა „id“
- (5) აფხ. ა-ლაჰა „ლეღვი“, დას.-ად. (შაფს.) ახ^ა < *ლ̃ახ^ა „id“, უბიხ. ლახ^ა „id“
- (6) აფხ. (ბზიფ.). ა-ქ^ალ „ქობი“, აბჟ. ა-ქ^ალა „id“, აბაზ. ქ^ალა „id“, დას.-ად. ჩ^ალ̃ „id“, შაფს. ქ^ალ̃ „id“

(7) აფხ. (ახჰ). ა-კამპზღლ „ქეჩის პატარა ბურთულა“, აღმ.ად. შკამპზღლ „საცობი“, უბიხ. კამპზღლ „რკო“

(8) აფხ. ა-მლა „შიმშილი“, აბაზ. (აშხ.) ა-მალა „id“, ტაპ. მლა „id“, დას.ად. მალა-ჰუნ „id“

იმ შემთხვევაში, თუკი ერთმანეთს აფხაზურ-აბაზური შიშინა აფრიკატი და ჩერქეზული ლატერალური სპირანტი შეესატყვისება, ამოსავალში ლატერალური სპირანტი აღდგება. მსგავსი პროცესი დასტურდება მონათესავე ხუნძურ ენაშიც (ჩიქობავა-ცერცვაძე 1962, 68).

ს. აფხ-ად. *ლ ს. აფხ-აბაზ. *ჟ ს. ჩერქ. *ლ

(1) აფხ. ა-ჟგ „ხორცი“, აბაზ. ჟგ „id“, დას.-ად. ლგ „id“, აღმ.-ად. ლგ „id“, უბიხ. ლა „შიგნეულობა“

(2) აფხ. ა-ჟა „კურდღელი“, აბაზ. ჟა / აჟა „id“, უბიხ. ლა „id“

(3) აფხ. ბჟ-ბა „შვიდი“, აბაზ. ბჟ-ბა „id“, დას.-ად. ბლგ „id“, აღმ.-ად. ბლგ „id“, უბიხ. ბლგ „id“

(4) აფხ. ა-ბჟა-რა „შუაში, შორის“, აბაზ. (ტაფ). ბჟა-(რა) „id“, დას.-ად. ბლჟ-გვერდით (პრევერბი)“, აღმ.-ად. ბლჟ- „id“, უბიხ. ბლა „შუაში“

ს. აფხ-ად. *ლ‘ ს. აფხ-აბაზ. *შ ს. ჩერქ. *ლ‘

(1) აფხ. ა-ფშ-რა „ყურება“, აბაზ. ფშ-რა „id“, დას.-ად. ფლ‘ჟ-ნ „id“, აღმ.-ად. ფლ‘ჟ-ნ „id“, უბიხ. ად. ფლ‘ჟ- „id“

- (2) აფხ. ა-შ~ა-პე „ფეხი“, აბაზ. შ~ა-პე „id“, დას.-ად. ლ'ა-ჟა⁰ „id“, აღმ.-ად. ლ'ა-ყ⁰ „id“, უბიხ. ლ'ა-პა „id“
- (3) აფხ. ა-შ~თა-რა „წოლა“; აბაზ. შ~თა-ზა-რა „id“, დას.-ად. -ლ'გ- „id“, აღმ.-ად. -ლ'გ- „id“, უბიხ. -ლ'გ- „id“
- (4) აფხ. ა-ს~გ-ბჟ „შუადღე“; აბაზ. შგ-ბჟა-ნ „id“, დას.-ად. ეგ-ლ'ზ-ს „id“, აღმ.-ად. ეგ-ლ'ზ-ს „id“
- (5) აფხ. ა-შა-რს „გაყოფა, შექმნა“, აბაზ. ჟ-შა-რა „დაბადება“, დას.-ად. ლ'ჟან „id“, აღმ.-ად. ლ'ხ⁰ან „id“
- (6) აფხ. შ~აშ⁰გ „მჭედელთა ღმერთი“, დას ად. ლ'ანგშ⁰ „id“, აღმ.-ად. ლ'ანგს' „id“
- (7) აფხ. (ბზიფ.). ა-შ~ა-ფსტა „არჩვი“, აბჟ. ა-შ~ა-ბსტა „id“, უბიხ. ლ'ა „შველი“
- (8) აბაზ. (ტაპ.) მგჟ⁰ა-შ „გზა, ბილიკი“, დას.-ად. ჟგ-ლ'ზ „ხმელეთი“, უბიხ. ეგც⁰ა-ლ'ა „id“
- (9) აფხ. ა-ყაფშ⁰ „წითელი“, დას.-ად. ფლ'გ-ზ' „id“, აღმ.-ად. ფლ'გ-ზ' იდ; უბიხ. ფლ'ა „id“

ვინაიდან აფხაზურ-აბაზურში არ არსებობს ყრუ-მკვეთრი შიშინა აფრიკატი, მისი კომპენსაცია ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატით მოხდა. ამოსავალ ვითარებაში აგრეთვე შეუძლებლად მიგვაჩნია ლატერალური ყრუ-მკვეთრი სპირანტის არსებობა და მივიჩნევთ, რომ საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე ყრუ-მკვეთრი ლატერალური აფრიკატი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რომლის სპირანტიზაციის შედეგადაც მიღებულ იქნა დღევანდელ ჩერქეზულ ენებში გავრცელებული მისი რეფლექსები.

ს. აფხ.-ად. *ლ⁰ ს. აფხ.-აბაზ. *შ⁰ ს. ჩერქ. *ლ⁰

- (1) აფხ. ა-შ~რა „მოკვლა“, აბაზ. შ~რა „id“, დას.-ად. ლ'ან „სიკვდილი“, აღმ.-ად. ლ'ან „id“

(2) აფხ. ფშ~ბა „ოთხი“, აბაზ. ფშ~ბა „id“, დას.-ად. პღგ „id“, აღმ.-ად. პღგ „id“, უბიხ. პღგ „id“

(3) აფხ. ა-ფშ „ჩოხის წელის ნაწილი“, დას.-ად. პღა „ზურგის ზედა ნაწილი“, აღმ.-ად. პღა „id“, უბიხ. პღგ-ჟა „მკერდი“

გარდა სისტემური ბგერათშესატყვისობებისა, შესაძლებლად მიგვაჩნია უნიკალურ ბგერათფარდობებზე დაყრდნობით მჟღერი ლატერალური აფრიკატის რეკონსტრუქციაც.

ს. აფხ-ად. *ლ⁺ ს. აფხ-აბაზ. *ლ ს. ჩერქ. *თჰ

(1) აფხ. ა-ლგ-მჰა „ყური“, აბაზ. ლგ-მჰა „id“, დას.-ად. თჰა-კ⁰გმჰ „id“, აღმ.-ად. თჰა-კ⁰გმ „id“, უბიხ. ლა-კ⁰გმა „id“

ამასთანავე გვხვდება უბიხური მჟღერი დენტალური დ ხმულის და აფხაზურ-აბაზური სონორ-ლატერალის შესატყვისობაც. აღნიშნული შესატყვისობა შემდეგი ფონეტიკური პროცესით შეიძლება აიხსნას: *ლ⁺ > *ლჰ > *დჰ > დ. ლატერალური აფრიკატისგან ჰარმონიულ-დეცესიუსი კომპლექსის მიღების პროცედურა იხილეთ ზემოთ.

ს. აფხ-ად. *ლ⁺ ს. აფხ-აბაზ. *ლ ს. ჩერქ. *დ

(1) აფხ. ა-ლასა „მატყლი“, აბაზ. ლასა „id“, უბიხ. დაშ⁰გ „id“

(2) აფხ. ა-ლაჰ⁰ა „ყორანი“, აბაზ. ლაჰ⁰ა „id“, უბიხ. დახ⁰ა „მტრედი“

საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი უნიკალური ბგერათშესატყვისობა:

(1) აფხ. ა-ლა „ძალი“, აბაზ. ლა „id“, დას.-ად. ჰჰ „id“, აღმ.-ად. ჰჰ „id“, უბიხ. ‘უა „id“

ამ შესატყვისობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ფარინგალურ რიგში.

ვლინდება აგრეთვე აფხაზურ-აბაზური რ ვიზრანტისა და ჩერქეზული მჟღერი სპირანტული ლატერალის შესატყვისობა, სადაც ამოსავალში ლატერალურ სონორს ვვარაუდობთ. ჩვენს ვარაუდს ის გარემოება ამყარებს, რომ სტატისტიკის მიხედვით, ვიზრანტი რ ფონემა გაცილებით ნაკლები სიხშირით არის წარმოდგენილი ვიდრე ლატერალური სონორი ლ.

ს. აფხ-ად. *ლ ს. აფხ-აბაზ. *რ ს. ჩერქ. *ლ

(1) აფხ. ა-ზრა „ფაფარი“, აბაზ. ზრა „id“, დას.-ად. ფგლ-ც „აბურძგნული“, ბაზ-ცა „id“

(2) აფხ. ა-რ „ჯარი“, აბაზ. რგ „id“, უბიხ. ლა „id“

ჩვენ მიერ აღდგენილ საერთოაფხაზურ-ადილურ ლატერალურ სისტემაში აღვადგენთ აფრიკატულ, სპირანტულ და სონორულ ლატერალებს. აფრიკატულ ლატერალთა სამეულებრივი სისტემა არასრულია, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ გვაძლევს ყრუ-მკვეთრი აფრიკატული ლატერალის რეკონსტრუქციის საშუალებას. სპირანტული რიგი ბინარული სისტემით – მჟღერი და ყრუ-ფშვინვიერით არის წარმოდგენილი. ასევე, არ ვიზიარებთ ლაბიალიზებული, პალატალიზებული, ლაბიო-პალატალიზებულ და პრერუპტიულ ლატერალთა არსებობას ფუძე-ენურ ვითარებაში. ჩვენს მიერ აღდგენილი სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N7: ლატერალური ფონემების რეკონსტრუქცია

	მჟღერი	ყრუ- ფშვინვიერი	ყრუ- მკვეთრი
აფრიკატული ლატერალური ხშული	* ლ^{h}		* ლ^{h}
სპირანტული ლატერალი	* ლ^{h}	* ლ^{h}	
სონორული ლატერალი	* ლ		

თავი IV

სიბილანტური სისტემის რეკონსტრუქცია

უდავოა, რომ სიბილანტთა სისტემა ყველაზე რთულია აფხაზურ-ადილურ ენებში სხვა ფონემურ ქვესისტემებთან შედარებით. თანამედროვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენა-კილო-თქმებში პოვნიერია სისინა, სისინ-შიშინა და შიშინა სიბილანტების, როგორც აფრიკატების, ასევე სპირანტების სადა, პალატალიზებული და ლაბიალიზებული სახეობები. სიბილანტური აფრიკატები წარმოდგენილია სამეულებრივი, და ზოგჯერ ოთხეულებრივი რიგითაც (შაფსურურსა და ბჟედურურ დიალექტებში), სპირანტთა სისტემა კი – წყვილეულებრივი რიგით.

სიბილანტთა სიმრავლის გარდა, აფხაზურ-ადილური ენები ხასიათდება სიბილანტთა შორის არასისტემურ და არაკანონზომიერ შესატყვისობათა დიდი რაოდენობით, რაც, თავის მხრივ, მათი ერთ-ერთი მთავარი სირთულეა. ამ თავსატეხის ამოხსნა პირველად გ. როგავამ სცადა (როგავა 1973, 303-315).

აფხაზურ-აბაზური ქვესისტემა -აფხაზურ-აბაზური ენები მდიდარია სიბილანტებით. შედარებით სრულყოფილი სისტემა ასახულია ბზიფურ დიალექტში, სადაც წარმოდგენილია სისინა, სისინ-შიშინა და შიშინა სიბილანტები.

დავის საგანია ე. წ. „გემინირებული“ შიშინა ფონემების არსებობა. ამ ფონემებად სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში სადა შიშინა **ჟ რ ჭ ჟ შ** სადა ფონემებს. ამ ფონემათა აკუსტიკური დახასიათება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „რბილი **ჟ , რ , ჭ** წარმოთქმისას, ენის ზურგის (რუს. спинка) წინა ნაწილი მიიწევს ნუნისკენ და წარმოქმნის ხშულს, რომელიც თანდათანობით ნაპრაღად იქცევა, საიდანაც ჰაერი

ვიწრო ნაკადად გამოედინება. ხშვისას და მისი ნაპრაღად ქცევის პროცესში, ძირითად არტიკულაციას დაემატება ენის ზურგის შუა ნაწილის აწევა, რომლის აკუსტიკური შედეგიც ამ ბგერათა დარბილებაა. თუკი ხშვისას და ნაპრაღის წარმოქმნისას ამ ყველაფერს ემატება ენის ზურგის უკანა ნაწილის აწევა, მაშინ მაგარ **ჯ, ჩ, ჭ** არიკატებს მივირებთ“ (არისტავა, ზღაჟბა და სხვ. 1968, 20).

ანალოგიური აზრი ჩირიქბასაც აქვს „გემინირებულ“ ფონემებთან დაკავშირებით (ჩირიქბა 2003, 18-19).

ქ. ლომთათიძის აზრით, „ფონემებად აფხაზურ-აბაზურის რბილი **ჯ, ჩ, ჭ** (ე.ი. **ჯ[~], ჩ[~], ჭ[~]**) სახეობები უდგება ქართულის აფრიკატთა სათანადო სამეულის (ამიტომაც დამატებით სილბოს ნიშანს აღარ ვიყენებთ მათ გადმოსაცემად, თუმცა ბგერობრივად მათ შორის სხვაობას მაინც აქვს ადგილი, აფხაზურ-აბაზურის **ჯ, ჩ, ჭ** უფრო რბილად გამოითქმის ვიდრე ქართულისა, რაც, ალბათ, შეპირობებულია მაგარ **ჯზ, ჩზ, ჭზ** კორელატთა არსებობით აღნიშნულ ენებში“ (ლომთათიძე 1977, 160-161).

აღსანიშნავია გ. ახვლედიანის მოსაზრება, რომელიც ამ ფონემებს „მაგარ“ თანხმოვნებს უწოდებს. მისი აზრით, „აღსანიშნავია „მაგართა“ წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა ძლიერი დაჭიმულობა“ (ახვლედიანი 1949, 399). იქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურში არ არსებობს კორელაციური ოპოზიცია „მაგარ“ და „საშუალო“ (resp. გემინირებულ და არაგემინირებულ) სიბილანტებს შორის. ამ ყველაფერზე დაყრდნობით, საარტიკულაციო ორგანოების ძლიერი დაჭიმულობა შიდა დიალექტურ ალოფონად მიგვაჩნია.

გემინირებულ სიბილანტთა (და არამარტო) არსებობა აფხაზური ენის სამურ დიალექტში დააფიქსირეს ბ. ვოქსმა და ზ. ფისიფამ (1997). მათ შესძლეს კორელაციური ოპოზიციის წარდგენაც. მაგალითად: სამ. ა-შგ-რა „გაბრაზება“ ~ ა-შშგ-რა „შემოღობვა“ და სხვ. (ვოქს-ფისიფა 1997, 3-4). ვინაიდან სამური დიალექტის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება და ჩირიქბასა და სხვების მიერ მოგროვებული სავსე

მასალა ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, ამჯერად თავს შევიკავებთ ამ ფონემათა გენეზისის განხილვისგან. უდავოა, რომ საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

წარმოგიდგენთ აფხაზურ-აბაზურ სიბილანტთა სისტემას:

აბჟ. ძ ბზიფ. ძ აშხ. ძ/ზ ტაპ. ძ/ზ ს-აფხ-აბაზ. *ძ

(1) აფხ. ა-ძ^გ „წყალი, მდინარე“, აბაზ. ძგ „id“

- აფხ. ა-ხ^ძ „სახელი“, აშხ. ხ^{გზ} „id“, ტაპ. ხ^{ზგ} „id“

მჟღერი სისინა აფრიკატი საკმაოდ იშვიათია და ძირითადად „წყალი“ ძირის შემცველ ლექსემებში არის წარმოდგენილი.

აბჟ. ც ბზიფ. ც აშხ. ც ტაპ. ც ს-აფხ-აბაზ. *ც

(1) აფხ. ა-ც^ა „ბერელი“, აბაზ. ცა „id“

(2) აფხ. ა-ცაგ^ა „ბლაგვი, არამჭრელი“, აბაზ. ცაგ^ა „id“

(3) აფხ. ა-ცგ^ა-რა / ა-ც-რ^ა „ერთი პატარა ნაწილი“, აბაზ. ცგ-რა „კურკა“

(4) აფხ. ა-ცგრ-ცგრ „ბრწყინვა“, აბაზ. ცგრ-ცგრ „id“

(5) აფხ. ა-ცკა „სუფთა“, აბაზ. ცკა „id“

(6) აფხ. ა-ცხა „თაფლი“, აბაზ. ცხა „id“

(7) აფხ. ა-ცჭა „ხიდი“, აბაზ. ცჭა „id“

(8) აფხ. ა-ცჭა-რა „დარტყმა, მოპირვა (ცელის)“, აბაზ. ცჭა-რა „id“

(9) ბზ. ა-ცლამჭ^ა „ლეჭვა“, აბჟ. ა-ცლამჭ^ა „id“, აბაზ. ცლამჭ^ა „id“

სისინა ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი შედარებით მეტი დისტრიბუციით გამოირჩევა და როგორც მოსალოდნელი იყო, გვხვდება იდენტური შესატყვისობების სახით.

აბჟ. წ ბზიფ. წ აშხ. წ ტაპ. წ ს-აფხ-აბაზ. *წ

- (1) აფხ. ა-წა-რს „კვერცხის დადება“, აბაზ. წა-რს „id“
- (2) აფხ. ა-წაფხს „გასარები“, ტაპ. წაფხა „id“
- (3) აფხ. ა-წას „ჩვეულება, ადათი“, ტაპ. წას „id“ < ქართ. წეს-ი
- (4) აფხ. ა-წლა „ხე“, აშხ. ა-წალა-ჟო „ძველი ხე“, ტაპ. წლა „ხე“
- (5) აფხ. ა-წად „ბავშვი (ბიჭი)“, აბაზ. წად „id“ < მეგრ. წიე „ბიჭი“
- (6) ბზ. ა-წგბო „კუდი, ბოლო“, აბჟ. ა-წახა „id“, აბაზ. წგვა „id“
- (7) აფხ. ა-წას „ყინული“, აბაზ. ცჰა-შოგ „id“ < *წგჰა
- (8) აფხ. ა-წრა „პატარა ქამარი, ჩუქურთმა“, აბაზ. წრა „id“
- (9) აფხ. ა-წა „ძირი, ფსკერი“, აბაზ. წა-ჟლა „ღრმა“
- (10) აფხ. წგფხ „მარშან“, აბაზ. წგფხ „id“

მსგავსად ყრუ-ფშვინიერისა, ყრუ-მკვეთრი სისინა აფრიკატივ იდენტური შესატყვისობებით გვხვდება და მეტი სიხშირით ხასიათდება.

აბჟ. ზ/ძ ბზიფ. ზ/ძ აშხ. ზ ტაპ. ზ ს-აფხ-აბაზ. *ზ

- (1) აფხ. ა-ბგზშა „ენა“, აშხ. აფხ. ა-ბგზშა „id“, ტაპ. აფხ. ბგზშა „id“
- (2) აფხ. ა-ბგზა „კარგი“, აშხ. ბგზა „id“, აბაზ. ბგზა „id“
- (3) აფხ. ა-ზქა „ზურგი“, აშხ. ა-ზაქო / ზქა „id“, ტაპ. ზქო „id“
- (4) ბზ. ა-ზაქ-რა „კბენა“, აბაზ. ზაქ-რა „id“
- (5) ბზ. ა-ზლა / ა-ძლა „ტკბილი“, აბჟ. ა-ზლა „კარაქი“
- (6) აფხ. ა-ზ „ნარველი“, აშხ. ა-ზგ „id“
- (7) აფხ. ზნგ „ერთხელ“, აშხ. ზანგ „id“, აბაზ. ზნგ „id“
- (8) აფხ. ა-შა „მთვარე“, ახჰ. ა-შგძ „id“, აშხ. ა-შგძ „id“, ტაპ. შგ „id“

მჟღერი სისინა სპირანტი ზოგჯერ აფხაზურ კილო-თქმებში მჟღერ სისინა აფრიკატს შეისატყვისებს, თუმცა ეს პროცესი შიდა დიალექტურ ინოვაციად მიგვაჩნია, რაც სპირანტთა აფრიკატიზაციით უნდა იყოს გამოწვეული.

აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმებში წარმოდგენილია სისინ-შიშინა სიბილანტები. პირვანდელი სახით ისინი შენარჩუნებულია ბზიფურ დიალექტში, სხვა ენობრობრივ ერთეულებში კი განიცადეს სპირანტიზაცია.

აბჟ. ს ბზიფ. ს აშბ. ს ტაპ. ს ს-აფხ-აბაზ. *ზ

- (1) აფხ. ა-ფსაფა „კეთილი საქმე“, აბაზ. ფსაპა „id“ < ადილ. ფსაფა „id“
- (2) აფხ. დასგჷ „ყველა, ყველაფერი“, აბაზ. დასგჷ „id“
- (3) აფხ. ა-ქაშა „ცხოველების კუჭი“, აშბ. კამსა „ადამიანის მუცელი“
- (4) აფხ. ა-კასგ „მანდილი“, აბაზ. კასგ „id“
- (5) აფხ. ა-სა-რს „მოჭრა“, აბაზ. სა-რს „id“
- (6) აფხ. ა-სა-რა „ადუღება“
- (7) ბზ. ა-სსა-რს „თხლად დაჭრა“, აბჟ. ა-რ-სსა-რს „id“
- (8) აფხ. ა-საბა „მტვერი“, აბაზ. საბა „id“
- (9) აფხ. ნას „შემდეგ“, აშბ. ნას / ანას „კი ბატონო“
- (10) აფხ. სა-რა „მე“, აბაზ. სა-რა „id“

ყრუ-ფშვინვიერი სისინა სპირანტი ფართო დისტრიბუციით გამოირჩევა როგორც ანლაუტში, ისევე აუსლაუტშიც. რამე სახით სისტემური გადაწევა, თუნდაც დიალექტური ინოვაცია, არ შეინიშნება.

აბჟ. ძ ბზიფ. ძ' აშბ. ძ ტაპ. ძ ს-აფხ-აბაზ. *ძ'

- (1) ბზ. ა-ძ'ა „გამხდარი“, აბჟ. ა-ძა „id“
- (2) ბზ. ა-ძ'ა „მანძილი ცერა თითიდან ნეკა თითამდე“, აბჟ. ა-ძ'ა „id“, ტაპ. ძა „id“
- (3) ბზ. ა-ძ'აშა „ცვარი“, აბჟ. ა-ძაშა „id“

- (4) ბზ. ა-ძ'ღ „ლოყა“, აბჟ. ა-ძღ „id“
- (5) ბზ. ა-ძ' „რწყილი“, აბჟ. ა-ძ „id“
- (6) ბზ. ა-ძ'გს'-აამთა „წვიმიანი სეზონი“
- (7) ბზ. ა-ძ'-რს „შეწვა“, აბჟ. ა-ძ-რა „id“, ტაპ. ძ-რა „id“
- (8) ბზ. ა-ძ'გშ „სრულიად ჭაღარა“, აბჟ. ა-ძგშ „id“
- (9) ბზ. ა -ძ'გნ „ზამთარი“, აბჟ. ა -ძგნ „id“, საძ. ა-ძნა-რა „id“, აშხ. ძნგ „ზამთარი, შემოდგომა“, ტაპ. ძნგ „შემოდგომა“
- (10) ბზ. ა-ძ'ამ' „ბუ“, აბჟ. ა-ძამ „id“, ტაპ. ძამგ „id“

აღნიშნული ბგერათშესატყვისობა სისტემური და უგამონაკლისოა. აქედან გამომდინარე, საერთოაფხაზურ-აბაზური სისინ-შიშინა მჟღერი აფრიკატის რეკონსტრუქციისათვის საკმარისია ბზიფური დიალექტის მონაცემები, თუნდაც მას სხვა კილო-თქმებში შესატყვისი არ მოეძებნებოდეს.

აბჟ. ძ⁰ ბზიფ. ძ⁰ აშხ. ძ⁰ ტაპ. ჯ⁰ ს-აფხ-აბაზ. *ძ⁰

- (1) ბზ. ა-ძ⁰-რს / ა-ძ⁰-რა „რწყევა“, აშხ. ძ⁰ა-რა „id“, აბჟ. ა-ძ⁰ა-რა „id“, ტაპ. ჯ⁰ა-რს „id“
- (2) ტაპ. ჯ⁰აშ-რა „გადაღლა“
- (3) ბზ. ა-ძ⁰ძ⁰ა-რა / ა-ძ⁰გძ⁰ა-რა „რეცხვა“, ტაპ. ჯ⁰ჯ⁰ა-რს „id“

განსხვავებით სისინა სიბილანტებისგან, სისინ-შიშინა სიბილანტებს ლაბიალიზებული ვერსია გააჩნია. გარდა ამისა, ჩანს, რომ ყველა აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმაში, გარდა ტაფანტურისა, შენარჩუნებულია ლაბიალიზებული სისინ-შიშინა აფრიკატი, ხოლო, თავის მხრივ, ტაფანტურში მან გაშიშინება განიცადა. (ლომთათიძე: 1973, 166-167).

აბჟ. ც ბზიფ. ც' აშხ. ც ტაპ. ც ს-აფხ-აბაზ. *ც'

- (1) ბზ. ა-ც'ა „ბალი“, აბჟ. ა-ცა „id“

- (2) ბზ. ა-ც'ა-რ / ა-ც'გ-რ „დვრიტა“, აბჟ. ა-ცა-რ / ა-ცა „id“, ტაბ. ცა-რა „id“
- (3) ბზ. ა-ც'ა-რა „წასვლა“, აბჟ. ა-ცა-რან „id“, აშხ. ცა-რან „id“, ტაბ. ცა-რა „id“
- (4) ბზ. ც'ახ° „ერთი წლის შემდეგ“, აბჟ. ცახ° „id“
- (5) ბზ. ა-ც'აყ~ „კლდე“, აბჟ. ა-ცაყ~ა „id“
- (6) ბზ. ა-ც'-ზ-აა-რა „ერთად ყოფნა“, აბჟ. ა-ც-ზ-აა-რა „id“
- (7) ბზ. ა-ც'გ°გ „კატა“, აბჟ. ა-ცგ°გ „id“, ტაბ. ცგ°გ „id“
- (8) ბზ. ა-ც'გ'ზც'°გ „ცხოველთა სასქესო ორგანოს კანი“
- (9) ბზ. -ც'გვზ~ამ'ა „ყოველი“, აბჟ. -ცვზ~ამა „id“
- (10) ბზ. ც'ას' „ერთად თამაში“, აბჟ. ცას „id“

მსგავსად მჟღერი სადა სისინ-შიშინა აფრიკატისა, ფშვინვიერი აფრიკატიც ბზიფური დიალექტის მონაცემების საფუძველზე აღდგება.

აბჟ. ც'° ბზიფ. ც'° აშხ. ც'° ტაბ. ჩ° ს-ავზ-აბაზ. *ც'°

- (1) აფხ. ა-ც'°ა „სიზმარი“, ტაბ. ჩ°ა „id“
- (2) აფხ. ა-ც'°ან „კანი, ფერი“, ტაბ. ჩ°ა „id“
- (3) აფხ. ა-ც'°ა „ცვილი“, ტაბ. ჩ°ა-ბა „id“
- (4) აფხ. ა-ც'°ა-რან / ა-ც'°ც'°ა-რა „წოვა“, ტაბ. ჩ°ა-რა „id“
- (5) ბზ. ა-ც'°გც'° „პარსვა“, აბჟ. ა-ც'°ც'° „id“
- (6) ბზ. ა-ც'°აზ'°ა-რა „საუბარი“, აბჟ. ა-ც'°აჟ'°ა-რა „id“, ტაბ. ჩ°აჟ'°ა-რა „id“
- (7) აფხ. ა-ც'°აჰა „საფრთხოვლა“
- (8) აფხ. ა-ც'°ამა / ა-ც'°ამა „მატლი, პარაზიტული ჭია“
- (9) აფხ. ა-ც'° „ხარი“, აშხ. ც'°გ „id“, ტაბ. ჩ°გ „id“

(10) აფხ. ც'გჷა „ადრე“, ტაპ. ჩ'გჷა „id“

როგორც ვხედავთ, პირვანდელი სახე შენარჩუნებულია აფხაზურ კილო-თქმებსა და აშხარულში, ხოლო ტაპანტურში ფონემა გამომინდა.

აბჟ. წ ბზიფ. წ' აშხ. წ ტაპ. წ ს-აფხ-აბაზ. *წ'

(1) ბზ. ა-წ'ან „ტილი“, აბჟ. ა-წ'ან „id“, ტაპ. წა „id“

(2) ბზ. ა-წ'ა „სიმართლე“, აბჟ. წა „id“, ტაპ. ა-წა „id“

(3) ბზ. ა-წ'ან „მითოლოგიური ჯუჯა“, აბჟ. ა-წ'ან „id“

(4) ბზ. ა-წ'-რან „დროის გასვლა“, ა-წ'გ-რა „id“, ტაპ. წ-რა „id“

(5) ბზ. ა-წ'გ-ს' „ჩიტი“, აბჟ. ა-წ'გ-ს „id“, აშხ. წგ-დ-ს „id“, ტაპ. წგ-დ-ს „id“

(6) ბზ. ა-წ'არ „ბასრი, გონებაგახსნილი“, აბჟ. ა-წ'არ / ა-წ'არგ „id“, ტაპ. წარა „id“

ამ შემთხვევაშიც, არქაული ფორმა შენარჩუნებულია ბზიფურ დიალექტში.

აბჟ. წ' ბზიფ. წ' აშხ. წ' ტაპ. ჭ' ს-აფხ-აბაზ. *წ'

(1) ტაპ. ჭ'ა „ღვიძლი“

(2) აფხ. ა-წ'ა „ვაშლი, აშხ. წ'ა „id“, ტაპ. ჭ'ა „id“

(3) აფხ. ა-წ'აფშ „ტუჩსაცხი“

(4) აფხ. ა-წ'აბ-რან „დამალვა“

(5) აფხ. ა-წ'აგბზგ „ბრუცელოზი (საქონლის ერთგვარი დაავადება)“

(6) ბზ. ა-წ'აგდ-რა „ბზრიალი“

(7) აფხ. ა-წ'აწ'ან „პატარა ზარი“

(8) აფხ. ა-წ^ორჯ „ბერწი, უნაყოფო“

(9) აფხ. ა-წ^ოგრსა „საფუარი“

(10) აფხ. ა-წ^ოგჷ-რა / ა-წ^ოგჷა-რა „ტირილი, ქვითინი“, აშხ. ა-წ^ოგჷა-რა „id“, ტაპ. ჭ^ოგჷ-რა / ჭ^ოგჷა-რა „id“

მჟღერი და ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატის მსგავსად, ყრუ-მკვეთრიც ტაპანთურში აფრიკატიზაციას განიცდის.

აბჟ. ზ ბზიფ. ზ' აშხ. ზ ტაპ. ზ ს-აფხ-აბაზ. *ზ'

(1) ბზ. ა-ზ'ს „სუფთა“, აბჟ. ა-ზს „id“, ტაპ. ზა-რა „გაფილტრვა“

(2) ბზ. ა-ზ'გ „-თვის“, აბჟ. ა-ზგ „id“

(3) ბზ. ა-ზ'აზ'ა „ნელი, მოუქნელი, ბლაგვი“, აბჟ. ა-ზაზა „id“, აშხ. ზაზა „id“, ტაპ. ზაზა „id“

(4) ბზ. ა-ზ'აჟ^ო „ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გააჩნია“, აბჟ. ა-ზაჟ^ო „id“

(5) ბზ. ა-ზ'ა^ოს „შავი ჭირი“, აბჟ. ა-ზა^ოს „ერთგვარი ინფექციური დაავადება“, ტაპ. ზა^ოს „დაავადება“

სისინ-შიშინა სპირანტების რეკონსტრუქციისას იგივე პრინციპი მოქმედებს, რაც სისინ-შიშინა აფრიკატების რეკონსტრუქციისას. არქაული ვითარება დაცულია ბზიფურ დიალექტში, თუმცა ასევე შედარებით ნაკლები დისტრიბუცია ახასიათებს მჟღერ სისინ-შიშინა სპირანტს.

- (3) დას.ად. -ღ “დროის და პერიოდის აღმნიშვნელი აფიქსი”; აღმ.ად. -ღჷ „id“; აბაზ. -მჰია “რალაცის კეთების დროის აღმნიშვნელი აფიქსი”
- (4) უბიხ. ლგ- “გაშრობა”; დას.ად. ლ⁰გ-ნ „id“; აღმ.ად. ლ⁰გ-ნ „id“; აფხ. ა-დ⁰ა “მშრალი”; აბაზ. ჰ⁰ა „id“
- (5) უბიხ. მგ-ღა “გზა”; დას.ად. ლ⁰გ-ღ⁰ „id“; აღმ.ად. ლ⁰გ-ღ⁰ „id“; აფხ. ა-მ⁰აჷ „id“; აბაზ. მჰია „id“

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში, ანლაუტის პოზიციაში მყოფმა მ ლერმა ფარინგალურმა სპირანტმა უბიხურსა და ადიღურში ლაბიალური სონანტი ჟ დატოვა რეფლექსის სახით.

- (1) დას.ად. ჟუნჷ “სახლი”; აღმ.ად. ჟუნჷ „id“; აფხ. ა-დ⁰უნა „id“; აბაზ. ჰ⁰უნა „id“

(2) დას.ად. ჟრ “ნაკადი”; აფხ. ა-ჟრ „id“

გვხვდება აგრეთვე არაიდენტური ბგერათშესატყვისობაც, სადაც აფხაზურ ფარინგალურ ფონემას ადილურში პალატალური სონორი შეესატყვისება. ამ შემთხვევაში, ფუძეენურ ვითარებაში ფარინგალური მ ღერი სპირანტი აღდგება.

(1) უბიხ. ღა “რვა”; დას.ად. ჟ იდ; აღმ.ად. ჟ იდ; აა-ბა იდ; აბაზ. ჟ-ბა იდ

უბიხ. ხ დას.ად. ჰ> აღმ.ად. ჰ> აფხ. ჰ> აბაზ. ჰ> ს.აფხ.ად. *ჰ>

(1) დას.ად. ჰგ-ნ “ძარება, წათრევა”; აფხ. ო-ნაჰ>ა-რა “სტუმრებისთვის საჭმლის ან სასმელის მირთმევა”

(2) უბიხ. ბახა- “გაბრაზება”; აბაზ. ბაჰ>ა-რა „id“

(3) უბიხ. ც^ჟზა- “წყევლა”; აფხ. ო-ც^ჟჰ>ა-რა „id“; აბაზ. ჩ^ჟჰ>ა-რა „id“

ვინაიდან უბიხურმა ენამ დაკარგა ფარინგალური სპირანტები, მათი რეალიზაცია ენაში ხდება უფულარული ფონემების სახით, რაც არტიკულაციის წინ გადაწევით უნდა იყოს გამოწვეული. აფხაზურ-აბაზურსა და ადილურში შენარჩუნებულია ფუძეენური ვითარება.

უბიხ. ხ^ჟ დას.ად. ჰ>/ხ აღმ.ად. ჰ>/ხ აფხ. ჰ> აბაზ. ჰ> ს.აფხ.ად. *ჰ>

(1) დას.ად. ნა-ჰ> “მეტი”; აღმ.ად. ნა-ჰ> „id“; აფხ. რ-აჰ>ა „id“

(2) უბიხ. ხ^ჟ “თავადი, მეფე, სიმამრი, ბელადი”; აფხ. ა-ჰ>ჟ-კ “თავადი”; აბაზ. აჰ> „id“

(3) უბიხ. მგხ^ჟ- “ხე, მერქანი”; დას.ად. ფხ^ჟ „id“; აღმ.ად. ფხ^ჟ „id“; აფხ. ა-მჰ>ა-ბგსთა “ღომის მოსარევი დიდი ხის კოვზი”

(4) უბიხ. -ხ ოახ ოა “ფერების ინტენსიობის აღმნიშვნელი სუფიქსი”; აფხ. -
ჰაჰჰა „id“

იმ შემთხვევაში, თუკი უბიხური პალატალიზებული უვულარული სპირანტი შეესატყვისება აფხაზურ-აბაზურ ან ადიღურ ფარინგალურ სპირანტს, ფუძეენურ ვითარებაში პალატალიზებული ფარინგალური სპირანტი რეკონსტრუირდება. უბიხურში ფონემის რეფლექსმა განიცადა არტიკულაციის უკან გადაწევა, თუმცა შეინარჩუნა პალატალური კოარტიკულაცია, მაშინ როდესაც ადიღურსა და აფხაზურ-აბაზურში შენარჩუნდა ფარინგალური ფონემა, თუმცა განიცადა დეპალატალიზაცია.

უბიხ. ხ⁰ / ხ დას.ად. ხ⁰ აღმ.ად. ხ⁰ აფხ. ჰ⁰ აბაზ. ჰ⁰/ჰ⁰ ს.აფხ.ად. *ჰ⁰

(1) უბიხ. მგხჟ “სიძე”; დას.ად. მახ⁰ლ⁰ჟ „id“; აფხ. ა-მაჰ⁰ „id“; აბაზ. მჰ⁰გ „id“

(2) უბიხ. ფშახ⁰ა “ქვიშა”; დას.ად. ფშახ⁰ჟ „id“; აფხ. ა-ფშაჰ⁰ჟ “მდინარის სანაპირო”

(3) უბიხ. ფხ ოა “ქალიშვილი”; დას.ად. ფხ⁰გ „id“; აბაზ. ფხ⁰გ „id“; აფხ. ა-ფჰ⁰გ-
ს “ქალი, მეურლე”

(4) უბიხ. ლახ ოგ “ლერვი”; შაფს. ახ⁰გ „id“; აფხ. ა-ლჰ⁰ჰა „id“

(5) უბიხ. ხ ოგ “შოვნა”; აღმ.ად. ხ⁰ა-ხ⁰ჟ “შემოსავალი”; აფხ. ა-რ-ჰ⁰ა-რა „id“

ამ შემთხვევაში, არქაული ვითარება დაცულია აფხაზურ-აბაზურში, თუმცა ზოგ შემთხვევაში დელაბიალიზაციასაც აქვს ადგილი.

უბიხ. დ დას.ად. დ აღმ.ად. დ აფხ. დ აბაზ. დ ს.აფხ.ად. *დ

(1) აფხ. და ობა “ობოლი”; დას.ად. დგბჟ „id“; აღმ.ად. დგბჟ „id“; აფხ. ა-ობა „id“;
აბაზ. დგბა „id“

(2) უბიხ. -ოგ “და (კავშირი)”; დას.ად. -ოგ „id“; აღმ.ად. -ოგ „id“; აფხ. -ოგ; აბაზ. -ოგ „id“

(3) უბიხ. ს'ოგ- “სტვენა”; დას.ად. ს'ოგ-ნ „id“; აფხ. ა-ს'ოგ-ს'ოგ “ინდაური”

როგორც მოსალოდნელი იყო, პალატალური სონანტი აფხაზურ-ადილურ ენა-კილო-თქმებში იდენტური შესატყვისობებით ხასიათდება და რაიმე სახის ტრანსფორმაცია არ შეინიშნება.

საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე ჩვენ აღვადგენთ 4 სახეობის უკანაენისმიერ ფონემებს (ჩამონათვალი იწყება წინა და მთავრდება უკანა არტიკულაციით)

ა) პალატალური

ბ) გუტურალური (resp. ველარული)

ც) უვულარული

დ) ფარინგალური

ს. სტაროსტინი და ს. ნიკოლაევი არადგენენ 21 გუტურალურ, 44 უვულარულ და ერთ პალატალურ ო სონანტს. ავტორები არ აღადგენენ ფარინგალურ სპირანტებს და მათ ნაცვლად ფარინგალიზებულ უვულარულ ფონემებს არადგენენ სტაროსტინი და ნიკოლაევი 1994, გვ. 181-182).

განსხვავებით ს. სტაროსტინისგან, ვ. ჩირი ბა არადგენს 18 გუტურალურ, 18 უვულარულ, 8 ფარინგალურ და ერთ პალატალურ ფონემას. მსგავსად ს. სტაროსტინისა, ვ. ჩირიკბაც არადგენს ლაბიალიზებულ-პალატალიზებულ ფონემებს (ჩირიქბა 1996, გვ. 277-289).

ჩვენი სისტემა მეტ სიახლოვეს იჩენს ვ. ჩირიკბას მიერ წარმოდგენილ პარადიგმასთან, თუმცა ჩვენ როგორც სხვა ლოკალურ რიგებში, ამ შემთხვევაშიც არ აღვადგენთ პალატალიზებულ-ლაბიალიზებულ კონსონანტებს. წარმოგიდგენთ რეკონსტრუირებული უკანაენისმიერი ფონემების ცხრილს:

ცხრილი N 11: რეკონსტრუირებული გუტურალური ფონემები

სტაროსტინი	გ გ̣ გ ⁰ გ ⁰ ̣ ღ ღ̣ ღ ⁰ ღ ⁰ ̣	ქ ქ̣ ქ ⁰ ქ ⁰ ̣ ხ ხ̣ ხ ⁰ ხ ⁰ ̣	კ კ̣ კ ⁰ კ ⁰ ̣	ქჟ ქჟ̣ ქჟ ⁰ ქჟ ⁰ ̣
ჩირიკვა	გ გ̣ გ ⁰ გ ⁰ ̣ ღ ღ̣	ქ ქ̣ ქ ⁰ ქ ⁰ ̣ ხ ხ̣ ხ ⁰ ხ ⁰ ̣	კ კ̣ კ ⁰ კ ⁰ ̣	
ჩვენ	გ გ̣ გ ⁰ ღ ღ̣	ქ ქ̣ ქ ⁰ ხ ხ̣ ხ ⁰	კ კ̣ კ ⁰	

ცხრილი N 12: რეკონსტრუირებული უვულარული ფონემები

სტაროსტინი	ღ ღ̣ ღ ⁰ ღ ⁰ ̣ ღ ღ̣ ღ ⁰ ღ ⁰ ̣ ღ ღ̣ ღ ⁰ ღ ⁰ ̣	ჭ ჭ̣ ჭ ⁰ ჭ ⁰ ̣ ‘ჭ ‘ჭ̣ ‘ჭ ⁰ ‘ჭ ⁰ ̣ ხ ხ̣ ხ ⁰ ხ ⁰ ̣ ზ ზ̣ ზ ⁰ ზ ⁰ ̣	ყ ყ̣ ყ ⁰ ყ ⁰ ̣ ‘ყ ‘ყ̣ ‘ყ ⁰ ‘ყ ⁰ ̣	ჭჟ ჭჟ̣ ჭჟ ⁰ ჭჟ ⁰ ̣ ‘ჭჟ ‘ჭჟ̣ ‘ჭჟ ⁰ ‘ჭჟ ⁰ ̣
ჩირიკვა	ღ ღ ⁰ ღ ღ̣ ღ ⁰ ღ ⁰ ̣	ჭ ჭ̣ ჭ ⁰ ჭ ⁰ ̣ ხ ხ̣ ხ ⁰ ხ ⁰ ̣	ყ ყ̣ ყ ⁰ ყ ⁰ ̣	

ჩვენ	ფ ფ ⁰ ღ ღ [~] ღ ⁰	ჭ ჭ [~] ჭ ⁰ ხ ხ [~] ხ ⁰	ყ ყ [~] ყ ⁰	
------	---	--	---------------------------------	--

ცხრილი N 13: რეკონსტრუირებული ფარინგალური ფონემები

სტაროსტინი		
ჩირიკბა	ჭ ჭ [~] ჭ ⁰ ჭ [~]	ჭ [~] ჭ [~] ჭ ⁰ ჭ [~]
ჩვენ	ჭ ჭ [~] ჭ ⁰	ჭ [~] ჭ [~] ჭ ⁰

ცხრილი N 14: რეკონსტრუირებული პალატალური ფონემები

სტაროსტინი	ღ
ჩირიკბა	ღ
ჩვენ	ღ

თავი VI

ხმოვანთა სისტემის რეკონსტრუქცია

ხმოვანი (ვოკალი) ფონემა ეწოდება ისეთ ბგერით ერთეულს, “რომლის წარმოთქმისას არ წარმოიშვება წინაღობა” (იენსენი 2004 : 12). ვოკალიზმის რეკონსტრუქცია მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ხმოვნები ნებისმიერი ენის მნიშვნელოვან კომპონენტია და ენობრივი ჯგუფისა და ოჯახის პროტოვოკალიზმის აღდგენას შეუძლია ნათელი მოკვინოს მრავალ ისტორიულ პროცესს. კონსონანტიზმთან შედარებით, აფხაზურ-ადილური ვოკალიზმი სიმარტივით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, საერთოაფხაზურ-ადილური ვოკალიზმი დღემდე რჩება ამ ენათა ფონოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე სადაო უბნად.

აფხაზურ-აბაზური ქვესისტემა – თანამედროვე აფხაზურ კილო-თქმებში განირჩევა 6 სადა ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, გ. აქედან ძირითად ხმოვნებად მიჩნეულია ღია დაბალი აწეულობის ა და ნეიტრალური (რესპ. ირაციონალური) გ ფონემები. დანარჩენი ხმოვნები (ე, ი, ო, უ) წარმოქმნილია ან პოზიციურად ან გვხვდება მხოლოდ სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში. ანალოგიური ვითარება გვაქვს აშხარულ დიალექტშიც. აღსანიშნავია, რომ ფონოლოგიური პროცესების ნიადაგზე აღნიშნულ დიალექტში არსებობს კორელაცია სადა და გრძელ ხმოვნებს შორის. ანალოგიურ პროცესებს ადგილი აქვს ასევე ტაპანთურ დიალექტშიც (ლომთათიძე 1997, გვ. 49-53).

ყველა აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმაში დასტურდება დისტინქციური ფუნქციის მქონე მახვილი. აღსანიშნავია, რომ ვ. დიბოს აზრით, აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმებს იაპონურისა და ჩინურის მსგავსი ორი ტიპის ტონალობა განირჩევა. მან წარმოადგინა ლექსემათა ჯგუფი, რომლებშიც მისი აზრით, ტონალობა

სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია გააჩნია (დიბო 2011). მიუხედავად ამისა, ეს მოსაზრება საკამათოა და დამატებით კვლევას საჭიროებს.

საერთოაფხაზურ-აბაზურში უნდა ყოფილიყო ორი ძირითადი ფონემა: *ა და *გ, როგორც მახვილიანი, ასევე უმახვილო. წარმოგიდგენთ საერთოაფხაზურ-აბაზურ ვოკალურ სისტემას:

აბჟ. ა ბზიფ. ა აშხ. ა ტაპ. ა ს.აფხ-აბაზ. *ა

- (1) აფხ. ა-თ⁰ა-რ^ა “დნობა, გალრობა”; ტაპ. ჩ⁰ა-რა „id“
- (2) აფხ. ა-ტ^ატა “რბილი”; აბაზ. ტ^ატა „id“
- (3) აფხ. ა-ტ^ამა “ატამი”; აბაზ. ტ^ამა „id“
- (4) აფხ. ა-გაგ^ა “წრე”; აბაზ. გაგ^ა „id“
- (5) აფხ. ა-გ⁰შ⁰ “კარიბჭე”; აბაზ. გ⁰შ⁰ „id“
- (6) აფხ. ა-ქ⁰ა “წვიმა”; აბაზ. ქ⁰ა „id“
- (7) აფხ. ა-ფ^ა “შვილი”; აბაზ. ფა „id“
- (8) აფხ. ა-ფხ^ა “თბილი”; აბაზ. ფხა „id“
- (9) აფხ. ა-ფჰ^ა “ქალიშვილი”; აბაზ. ფჰ^ა „id“
- (10) აფხ. დაჩ^ა “სხვა”; აბაზ. დაჩ^ა „id“

როგორც წესი, ღია ა ხმოვანი აფხაზურ-აბაზურ კილო-თქმეებში იდენტური ბგერათმესატყვისობებით ხასიათდება.

აბჟ. გ ბზიფ. გ აშხ. გ ტაპ. გ ს.აფხ-აბაზ. *გ

- (1) აფხ. ა-დგ^რ-რა “ცოდნა”; აბაზ. დგ^რ-რა „id“
- (2) აფხ. ა-დ⁰გ “მინდორი”; აბაზ. დ⁰გ „id“
- (3) აფხ. დგჟ “დიდი”; აბაზ. დგჟ „id“

- (4) აფხ. ა-თჷ “ამინდი”; აბაზ. თჷ „id“
- (5) აფხ. ა-ყ Ⴗ “ფეკალიები”; აბაზ. ყ Ⴗ „id“
- (6) აფხ. ა-ფგრ-რან “ფრენა”; აბაზ. ფგრ-რა „id“
- (7) აფხ. ა-ბჟლ-რან “დაწვა”; აბაზ. ბჟლ-რან „id“
- (8) აფხ. ა-ლჷ “ფიცარი”; აბაზ. ლჷ „id“

ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს იდენტურ ბგერათფარდობებთან.

საერთოჩერქებული ქვესისტემა - თანამედროვე ადილურ კილო-თქმებში განირჩევა სამი ხმოვანი – დაბალი აწეულობის ღია ა, დაბალი აწეულობის დახურული ჰდა ნეიტრალური ხმოვანი გ. მკვლევართა უმეტესობა სწორედ ამ სამ ხმოვანს გამოჰყოფს (ბალყაროვი 1970, გვ. 93; კუმახოვი და კუმახოვა 1981. გვ. 44-45). ა. კუიპერსმა წარმოადგინა თეორია მონოვოკალიზმის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადილურში არ შეინიშნება კორელაცია ხმოვნებსა და ტანხმოვნებს შორის (კუიპერსი 1960, გვ. 96-102). აღმოსავლურ ადილურში ასევე წარმოდგენილია პოზიციურად წარმოქმნილი ო, უ, და ი ხმოვნებიც (ბალყაროვი 1970, გვ. 96).

უბიხურში წარმოდგენილია ორი ძირითადი ხმოვანი: ღია ა და ნეიტრალური გ. გვხვდება როგორც მახვილიანი, ასევე უმახვილო ა ფონემა.

საერთოჩერქებულ ვოკალურ სისტემაში უნდა გვექონოდა ორი ხმოვანი – ღია ა და ნეიტრალური გ.

უბიხ. ა დას.ად. ა აღმ.ად. ა ს.ჩერქ. *ა

- (1) უბიხ. ნანა “კიტრი”; დას.ად. ნან „id“; აღმ.ად. ნანს „id“
- (2) უბიხ. სანკა “კვიცი”; დას.ად. ხანკჷ „id“; აღმ.ად. ხანკჷ „id“
- (3) უბიხ. ბანა-სან “ტურა”; დას.ად. ბანჯ “მელია”; აღმ.ად. ბანჯ „id“
- (4) უბიხ. კანლა “მწვანე კოდალა, ჭკა”; აღმ.ად. ყანლ „id“
- (5) უბიხ. კად “ყვავი”; აღმ.ად. ყარდ / ყად „id“

- (6) უბიხ. აბლ^ა “ზუდე”; დას.ად. ნაბლ^ფ „id“; აღმ.ად. აბლ^ფ „id“
- (7) უბიხ. ბაძ^გ “ზუზი”; დას.ად. ბაძ^ძ „id“; აღმ.ად. ბაძ^ძ „id“
- (8) უბიხ. მაწ^ა “კალია”; დას.ად. მაწ^წ „id“; აღმ.ად. მაწ^წ „id“
- (9) უბიხ. დად “მამა”; დას.ად. თათ „id“; აღმ.ად. დად^დ „id“
- (10) უბიხ. ნან “დედა”; დას.ად. ნან^წ „id“; აღმ.ად. ნან^წ „id“

ამ შემთხვევაში, სახეზეა იდენტური ბგერათმესატყვისობები.

უბიხ. გ დას.ად. გ აღმ.ად. გ ს.ჩერქ. *გ

- (1) უბიხ. ნგბლა “ფერფლი”; დას.ად. ნგბლ^გ „id“; აღმ.ად. ნგბლ^ფ „id“
- (2) უბიხ. ს^გ “ზღვა”; დას.ად. ხ^გ „id“; აღმ.ად. ხ^გ „id“
- (3) უბიხ. ჴ^წა “რკინა”; დას.ად. ლ^გჰ^ჰ „id“; აღმ.ად. ლ^გს^ს „id“
- (4) უბიხ. ჴ^გმ-ლალ “ყვავილი”; დას.ად. ჴ^გც „id“; აღმ.ად. ჴ^გმ „id“
- (5) უბიხ. ბაგ^გნა “შვრია”; შაფს. ბაგ^გნ^წ „id“
- (6) უბიხ. მგხ^გ “სიმინდის ღერო”; დას.ად. ფხ^გ “სტაფილო”; აღმ.ად. ფხ^გ „id“
- (7) უბიხ. გ^გ “გული”; დას.ად. გ^გ „id“; აღმ.ად. გ^გ „id“
- (8) უბიხ. გ^გ “ნგრევა, დაფშვნა”; დას.ად. გ^გ-ნ „id“; აღმ.ად. გ^გ-ნ „id“
- (9) უბიხ. ქ^გფ “ჯგუფი”; დას.ად. ქ^გფ „id“; აღმ.ად. გ^გფ „id“
- (10) უბიხ. ბჟ^გ “ურელი”; დას.ად. ბჟ^გ „id“; აღმ.ად. ბწ^წ „id“

ნეიტრალური ხმოვნის რეფლექსებს რაიმე ცვლილება არ განუცდიათ.

უბიხ. ა დას.ად. ა აღმ.ად. ა ს.ჩერქ. *ა

- (1) უბიხ. ლ^ა “ზვრელი, სორო”; დას.ად. ლ^ფ „id“; აღმ.ად. ლ^ფ „id“
- (2) უბიხ. გ^ატ^გ “კატა”; დას.ად. ჩ^წთ^გ-ჴ^ჴ „id“; აღმ.ად. ჯ^ად^ლ „id“

- (3) უბიხ. ჳჳ “ძალი”; დას.ად. ჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳ „id“
- (4) უბიხ. ჳჳ “ლორი”; დას.ად. ჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳ „id“
- (5) უბიხ. მგჳჳ “დათვი”; დას.ად. მგჳჳ „id“; აღმ.ად. მგჳჳ „id“
- (6) უბიხ. ჳჳ-ღჳ “არწივი”; დას.ად. ჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳ „id“
- (7) უბიხ. ჳჳჳ “წურბელა”; დას.ად. ჳჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳჳ „id“
- (8) უბიხ. ფჳა “თევზი”; დას.ად. ფჳა „id“; აღმ.ად. ჳჳჳ „id“
- (9) უბიხ. ნგჳა-ღჳ “რ ალი”; დას.ად. ნგჳა „id“; აღმ.ად. ნგჳა „id“
- (10) უბიხ. ყჳა “შვილი”; დას.ად. ჳჳჳ „id“; აღმ.ად. ყჳა „id“

ადილურში დახურული ა პოზიციურად უნდა იყოს წარმოქმნილი (შენგელია 2006, გვ. 34).

გარდა იდენტური შესატყვისობებისა, გვხვდება ასევე არაიდენტური შესატყვისობებიც, სადაც ადილური ნეიტრალური ხმოვანი შეეფარდება უბიხურ ა ხმოვანს და პირუკუ. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩერქეზული მასალით ფონემის რეკონსტრუქცია არასაკმარისია.

- (1) უბიხ. ჳჳჳჳ “საფლავის ორმო”; დას.ად. ჳჳჳჳ “საფლავი”; აღმ.ად. ჳჳჳჳ „id“
- (2) უბიხ. მგჳა “თვე, მთვარე”; დას.ად. მაჳჳ „id“; აღმ.ად. მაჳჳ „id“
- (3) უბიხ. მგჳჳა “დღე”; დას.ად. მაჳჳჳ „id“; აღმ.ად. მაჳჳჳ „id“
- (4) უბიხ. მაჳ “პანტა”; დას.ად. მგჳ-ღჳ-რგჳ “ვაშლი”; აღმ.ად. მგჳ “მჟაველა”
- (5) უბიხ. ჳჳჳ “პატიმარი”; დას.ად. ჳჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳჳ „id“
- (6) უბიხ. გჳა “vulva”; დას.ად. გჳჳღჳ „id“; აღმ.ად. გჳჳღჳ „id“
- (7) უბიხ. თჳჳჳჳ “ყელი”; დას.ად. თაჳჳ „id“
- (8) უბიხ. ჳჳჳჳ “ფართო”; დას.ად. ჳჳჳჳ „id“; აღმ.ად. ჳჳჳჳ „id“

საერთოაფხაზურ-ადილური ვოკალიზმი - საერთოაფხაზურ-ადილურ ფუძე ენაში უნდა გვექნოდნა ორი ხმოვანი – ღია დაბალი აწეულობის ა და და ნეიტრალური გ ხმოვნები. ორივე ფონემა მეტწილად იდენტური ბგერათმესატყვისობების საფუძველზე რეკონსტრუირდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვანთა შისტემა აფხაზურ-ადილურ ენებში არასტაბილურობით გამოირჩევა.

უბიხ. ა დასად. ა / ჯ აღმად. ა / ჯ აფხ. ა აბაზ. ა ს.აფხად. *ა

- (4) უბიხ. ფშ ა “უკანალი”; დასად. ფხჟ „id“; აღმად. ფხჟ „id“; აფხ. ა-ფხ ა “ადრე, თავიდან”
- (5) უბიხ. მგკ ა “მკერდი”; აფხ. ა-მახა “ხელის სახსარი”; აბაზ. მაკა “ზეჭი, მხარი”
- (6) უბიხ. ყა- “ყოფნა, ქონა, ყოლა”; დასად. ცჟ-ნ “ქონა, ყოლა”; აღმად. ცჟ-ნ „id“; აფხ. ა-ყა-ლა-რა “ყოფნა”
- (7) უბიხ. ცა-ბლა “ქოხი”; აფხ. ა-ბაა “ციხე სიმაგრე”
- (8) დასად. ჟჟრ “ნაკადი”; აფხ. ა-ფჟრ „id“
- (9) უბიხ. -ხ ახ ა “ფერების ინტენსიობის აღმნიშვნელი სუფიქსი”; აფხ. -ჰაჰჰა „id“
- (10) უბიხ. ლახ გ “ლერვი”; შაფს. ახფ „id“; აფხ. ა-ლჰჰა „id“
- (11) უბიხ. ხ ა “სისხლძარღვი”; დასად. ჟჟ “მყესი”; აღმად. ხ ფ „id“; აფხ. ა-ხა-რმ “ხერხემალი”
- (12) უბიხ. კ ა- “სიარული”; დასად. კჟ-ნ „id“; აღმად. კჟ-ნ „id“; აფხ. ა-კაჰა-რა “ცეკვა”; აბაზ. კაჰა-რა „id“
- (13) შაფს. კ ჟ “კუდი, დასასრული”; დასად. ჰ ჟ „id“; აღმად. ჰჰ „id“; აბაზ. ნა-წგ-კ ა-რა “-მდე”

უბიხ. ჯ დას.ად. ჯ აღმ.ად.ჯ აფხ. ჯ აბაზ. ჯ ს.აფხ.ად. *ჯ

- (1) უბიხ. გ Ⴇ “გული”; დას.ად. გ ზ „id“; აღმ.ად. გ ზ „id“; აფხ. ა-გ ზ „id“; აბაზ. გ ზ „id“
- (2) უბიხ. გ ზ მა “ძროხა”; აფხ. აჟ Ⴇ ზ მა “პატარა ცურის მქონე ძროხა”
- (3) უბიხ. გ Ⴇ გ Ⴇ-ს “დარჩენა”; აფხ. ა-გ Ⴇ გ Ⴇ-რა “ერთად შეგროვება, ბრბოს შეკრება”
- (4) უბიხ. ქ Ⴇ Ⴇ Ⴇ “ეკლიანი ბუჩქი”; შავს. ქ Ⴇ Ⴇ Ⴇ “ფოთლებიანი ფიჩხი, ტოტი”; აფხ. ა-ქ Ⴇ Ⴇ Ⴇ-მ Ⴇ Ⴇ Ⴇ Ⴇ “გამხმარი რეროები, თმა”
- (5) უბიხ. კ Ⴇ Ⴇ Ⴇ “კორო”; აფხ. ა-კ Ⴇ Ⴇ-რ Ⴇ „id“
- (6) უბიხ. ს Ⴇ Ⴇ Ⴇ- “სტვენა”; დას.ად. ს Ⴇ Ⴇ Ⴇ-ნ „id“; აფხ. ა-ს Ⴇ Ⴇ-ს Ⴇ Ⴇ Ⴇ “ინდაური”

აფხაზურ-ადიღურ ფუძე-ენაში სადა ე, ი, ო, უ ფონების უქონლობის ფონზე, საინტერესოდ ჩანს კოარტიკულაციის ისეთი სახეობები, როგორცაა ლაბიალიზაცია და პალატალიზაცია. ჯგუფთაშორისი ბგერათშესატყვისობებს შორის სამი ძირითადი სახეობა განირჩევა:

1. აფხაზურ-აბაზურში, უბიხურსა და ადიღურში წარმოდგენილია პალატალიზებული თანხმოვანი.
2. აფხაზურ-აბაზურში, უბიხურსა და ადიღურში წარმოდგენილია ლაბიალიზებული თანხმოვანი
3. უბიხური პალატალიზებული თანხმოვანი შეესატყვისება აფხაზურ-აბაზურ და ადიღურ ლაბიალიზებულ თანხმოვანს

ზემოთმოყვანილი მოცემულობის საფუძველზე, შედარებით მარტივია პირველი და მეორე მაგალითის ფუძეენური კოარტიკულაციის დადგენა.

1. თუ ბგერათშესატყვისობისას ყველა აფხაზურ-ადიღურ ენობრივ ერთეულში წარმოდგენილია ლაბიალიზებული ფონემა, მაშინ ის ფუძეენობრივ ვითარებაშიც ლაბიალიზებული იქნება.

2. თუ ბგერათშესატყვისობისას ყველა აფხაზურ-ადილურ ენობრივ ერთეულში წარმოდგენილია პალატალიზებული ფონემა, მაშინ ის ფუძეენობრივ ვითარებაშიც პალატალიზებული იქნება.

აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ ბგერათფარდობის მესამე ტიპი იწვევს, სადაც უბიხური ენის პალატალიზებული თანხმოვნები შეესატყვისებიან სხვა ენობრივი ჯგუფების ლაბიალიზებულ ფონემებს. ვ. ჩირი ბა და ს. სტაროსტინი ამოსავალ ვითარებაში ლაბიალიზებულ-პალატალიზებულ ფონემებს აღადგენენ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პალატალიზებულ-ლაბიალიზებული თანხმოვანის არსებობა ყველა ფონოტაქტიკურ კანონს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ამოსავალ ვითარებაში ან ლაბიალიზებული, ან პალატალიზებული ფონემა უნდა არდგეს. ამ შემთხვევაში, არქაული ვითარება დაცული უნდა იყოს აფხაზურ-აბაზურში. დელაბიალიზაციის შესაძლებლობას შაფსულური დიალექტის მონაცემები ადასტურებს, სადაც ეს პროცესი ცოცხალია. მაგალითად: ფხ⁰გ > ფხგ „ქალიშვილი“ და სხვა (კერაშევა 1957, გვ. 47). თუკი ამ ენობრივ ერთობაში უბიხური პალატალიზებული კონსონანტი შეესატყვისება ლაბიალიზებულ კონსონანტს, მაშინ ამოსავალ ვითარებაში უნდა გვექონდეს ლაბიალიზებული ფონემა და პირუკუ, თუკი უბიხური პალატალიზებული ფონემა შეესატყვისება აფხაზურ-აბაზურ პალატალიზებულ ფონემას მაშინ ამოსავალში უნდა გვექონდეს პალატალიზებული ფონემა.

უბიხ. C⁰ ადილ. C⁰ აფხ-აბაზ. C⁰ ს.აფხ-ად. C⁰

უბიხ. C¹ ადილ. C¹ აფხ-აბაზ. C¹ ს.აფხ-ად. C¹

უბიხ. C¹ ადილ. C⁰ აფხ-აბაზ. C⁰ ს.აფხ-ად. C⁰

უბიხ. C¹ ადილ. C⁰ აფხ-აბაზ. C¹ ს.აფხ-ად. C¹

ლაბიალიზებული და პალატალიზებული ფონემების გენეზისის საკითხი დღემდე შეუსწავლელია. ხომ არ წარმოადგენს კოარტიკულაციის ეს ორი სახეობა სადა ხმოვანი ფონემების რეფლექსებს?

$$C^ა < *Cო$$

$$C^ზ < *Cუ$$

$$C^ა < *Cე$$

$$C^გ < *Cი$$

სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკაში ე, ი, ო, უ ფონემათა რეალიზაცია თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ ენებში ხდება სწორედ ლაბიალიზაციისა და პალატალიზაციის მეშვეობით.

თავი VII

ბგერათკომპლექსების რეკონსტრუქცია

აფხაზურ-ადილური ენები მდიდარია ბგერათკომპლექსებით. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურში ერთმანეთისგან მიჯნავდა პირვანდელ და მეორეული წარმომავლობის ბგერათკომპლექსებს. მისივე აზრით, „რთულ, შედგენილ ფუძეებში მახვილის სხვადასხვა ადგილას დასმით გამოწვეული ხმოვანთა რედუქციის ფართო გავრცელება, ბუნებრივია, აღნიშნულ ენებში თანხმოვანთა შეჯგრაში და კომპლექსთა წარმოქმნაში დიდ როლს თამაშობდეს მახვილი (ლომთათიძე 1977, გვ. 239). ავტორი შემდეგი სახის პირვანდელ კომპლექსებს გამოჰყოფს: ფს, ფს', ფშ, ფშ~, ფხ, ფხ~, ფჰ, ფჰ', ფჰ, ფთ, ფრ, ბზ, ბჟ, ბჟ~, ბღ, ბწ, ბწ', ბჟ, მზ, მღ, მჰ, მჰ', მრ, მს, მს', მტ, მღ, მყ, მშ, მშ', მრ, მც, მც', მძ, მძ', მწ, მწ', მჭ, მხ, მჟ და სხვა (იქვე გვ. 243). ბალყაროვის აზრით, ჩერქეზულში გვხვდება როგორც ორთანხმოვნიანი (ბჟ, ფს, თხ, სთ და სხვა) და სამთანხმოვანი (ფსჩ, ფსთ, ნთხ ფშჰ და სხვა). ბგერათკომპლექსები. ბგერათკომპლექსების უმრავლესობა წარმოადგენს ხშულისა და ფრიკატივის კომბინაციას (ბალყაროვი 1970, გვ. 54-55). თანამედროვე ენობრივ ერთეულებში გავრცელებული ბგერათკომპლექსების წარმომავლობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს:

1. ხმოვნის რედუქცია – მაგ. უბიხ. ნდლა “მზე”; აღმ.ად. დგლჷ “მზე”. დღ<*დღღ
2. სონანტის განვითარება – მაგ. დას.ად. ჰჷანშჷ / ჰჷანშჷ “თივის ზვინი”;
3. საერთოაფხაზურ-ადილური ქრონოლოგიური დონე – მაგ. დას.ად. ფსჷ “სული”; აღმ.ად. ფსჷ „id“; აფხ. ა-ფსჷ „id“; უბიხ. ფსა „id“

ის ბგერათკომპლექსები შორის, რომელიც საერთოაფხაზურ-ადილური ფუძე ენიდან მომდინარეობს, შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გაიყოს:

1. ბილაბიალური ბგერათვომპლექსები
2. ჰარმონიულ დეცესიური ბგერათვომპლექსები

ბილაბიალური ბგერათვომპლექსი ეწოდება კონსონანტთა ისეთ კავშირს, რომლის თავშიც არის ბილაბიალური ხშული, ხოლო მეორე კომპონენტი კი სიბილანტია ან უკანაენისმიერი თანხმოვანი. სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებით, აფხაზურ-ადიღური ენები ბილაბიალური კომპლექსების სიმდიდრით გამოირჩევა. წარმოგიდგენთ საერთოაფხაზურ-ადიღურ ბილაბიალურ ბგერათვომპლექსებს:

*ზხ: დას.ად. ცგ-ზხ “შემოდგომაზე შესაკრეჭი ცხვრის მატყლი”; აფხ. ა-ზხა-ლას “შესაკრეჭი ცხვრის მატყლი”

*ფს: უბიხ. ფსა “სული”; დას.ად. ფს „id“; აღმ.ად. ფს „id“; აფხ. ა-ფსგ „id“; აზაზ. ფსგ „id“

[*ბჟ:]

*ბჟ: დას.ად. ბჟგ “ურელი”; აფხ. ა-ბჟა-რას “მოშინაურება”; აზაზ. ბჟა-რას „id“

*ფმ: დას.ად. ღ^ღ-ფმგ “ჩალა”; აფხ. ა-ფმ “სიმინდი”; აზაზ. ა-ფმ „id“

*ფშ: დას.ად. ფშგ “თავადი, დიდგვაროვანი”; აღმ.ად. ფშ „id“; აფხ. –აფმ “დიდი, ძლიერი”

[*ბჭ']

*ფს': უბიხ. ფსა- “გაბერვა, გასიება”; აფხ. ა-ფსგ-ლა “ცხიმი”

*ბლ: უბიხ. ბლგ “შვიდი”; დას.ად. ბლ „id“; აღმ.ად. ბლ „id“; აფხ. ბჟ-ბა „id“;

*ბლ: უბიხ. ბლა “თვალი”; დას.ად. ნა „id“; აღმ.ად. ნა „id“; აფხ. ა-ბლა „id“; აზაზ. ბლა „id“

*ფლ: უბიხ. ფლ'ა- “ყურება”; დას.ად. ფლ'ჴ-ნ „id“; აღმ.ად. ფლ'ჴ-ნ „id“; აფხ. ა-ფმ-რა „id“; აბაზ. ფმ-რა „id“

*პლ: უბიხ. პლ'გ “ოთხი”; დას.ად. პლ'გ „id“; აღმ.ად. პლ'გ „id“; აფხ. ფმ'-ბა „id“; აბაზ. ფმ'-ბა „id“

*ბლ: დას.ად. ჟ'გ-ბლჴ “ქარი” < “ძლიერი ჰაერი”; აღმ.ად. ა-ფ-ბლ'-აა “მამაცი”

*ფხ: დას.ად. ჩჴ-ფხჴ-ნ “გაშრობა”; აფხ. ა-ფხან “თბილი”

*ბლ': დას.ად. ბლ'გ “ქედი”; აღმ.ად. ბლ'გ „id“;

*ფხ': უბიხ. ფხ'გ- “მატყლის გაჩეჩვა”; დას.ად. ფხგ-ნ „id“; აფხ. ა'-ფხ-თ “გაწეწილი, გაბურძენული”

[*ბგ]

[*ფკ:]

*ჴყ: უბიხ. ჴყაჴ'ან “ლერწამი” ა-ჴყგზ „id“

[*ბჴ]

*ფჴ: უბიხ. ფჴგ “ქლიავის ნაირსახეობა”; დას.ად. ფხჴ-გ'გ-ლ' “ალუჩა”; აფხ. ა-ჴჴ'ა-სა “ალუჩა”

აღსანიშნავია ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსების პოვნის საერთოაფხაზურ-ადილურ ფუძე ენაში. მართალია, აღნიშნული სისტემა არ არის ქართველური და ნახური ენების მსგავსად განვითარებული, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გარკვეული კომპლექსების რეკონსტრუქცია.

[დლ:]

[თხ:]

ტყ: უბიხ. ტყა “ორი”; შავს. ტყი „id“; აფხ. ო⁰-ბა „id“; აბაზ. ო⁰-ბა „id“

[ძლ:]

[ცხ:]

[წყ:]

[ძლ:]

[ცხ:]

წყ: უბიხ. წყ- “ცოდნა”; შავს. წყნ „id“; აღმ.ად. წყნ „id“; აფხ. ა-წა-რა “სწავლა”

[ჯღ:]

[ჩხ:] სვან. უჩხე „წვიმა“ < საერთოადილური *ჟაჩხ „წვიმა“. აღმ. ად. ჟაშხ

[ჭყ:]

[ზღ:]

[სხ:]

[ზღ:]

[სხ:]

*ჟღ: უბიხ. ჟღა- “გაჭყლეტა, დაპრესვა”; აფხ. ა-ღა-ღა-რა „id“

შხ: უბიხ. შ ხე “წაბლი”; დას.ად. შხ⁰-მხ „id“; აფხ. ა-ხ ოა „id“

თგ: უბიხ. თხა “ნაცარი”; დას.ად. თხუ “რუხი”; აფხ. ა-გა “რუხი“

დასკვნა

საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემა არნახული სირთულით ხასიათდება. ქართველურ, ნახურ და დაღესტნურ ქვესისტემებთან შედარებით, ამ ენათა ფონოლოგიური და ლექსიკური მასალა კომპლექსური და მრავალფეროვანია. ფონემატური ინვენტარის სიმრავლე განპირობებულია განვითარებული კოარტიკულაციითა და ხშულთა სამეულებრივი სისტემით. ჩვენთვის ცნობილმა აფხაზურ-ადილურმა ენებმა და დიალექტებმა მეტწილად შეინარჩუნეს ძირითადი ფუძე-ენური თვისებები.

ფონემატური ინვენტარიდან შედარებით ყველაზე მარტივია საერთოაფხაზურ-ადილური ვოკალიზმი. როგორც აღდგენილი მასალა გვიჩვენებს, ფუძეენურ ქრონოლოგიურ დონე ვოკალიზმი ბიფონემური უნდა ყოფილიყო. ეს წინაარმდეგობაში მოდის კოიპერსის მიერ ნავარაუდევ მონოვოკალიზმის თეორიასთან. კერძოდ, ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე რეკონსტრუირდება ღია ა და ირაციონალური გ ფონემები. ორივე ფონემა ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე აფხაზურ-ადილურ ენებში. აგრეთვე, ჩვენს მიერ მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ ფუძეენურ ვითარებაში მახვილს გააჩნდა დისტინქციური ფუნქცია. სავარაუდოდ, საერთოაფხაზურ-ადილურმა უმახვილო ა ფონემამ თანამედროვე ჩერქეზულ და უბიხურ ენებში რეფლექსის სახით დახურული ა ფონემა მოგვცა. ჰქონდა თუ არა საერთოაფხაზურ-ადილურ ენებს მეტი ფონემა, ეს სადაო საკითხია. შესაძლოა თანამედროვე კილო-თქმებში არსებული თანხმოდანთა პალატალიზაცია წარმოადგენდეს რბილი ე, ი, ო, უ ხმოვნების, ხოლო ლაბიალიზაცია კი ლაბიალური ო, უ ფონემების რეფლექსს. ამის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ აფხაზურ-ადილური მასალის სხვა მონათესავე კავკასიურ ენებთან შეპირისპირებით. განსაკუთრებით ღირებული

იქნება აფხაზურ-ადიღური მასალის შეპირისპირება თაბასარანულ და იმ ლეზგიურ ენებთან შეპირისპირება, სადაც დრესაც შენარჩუნებულია ლაბიალიზებული ან დენტო-ლაბიალიზებული თანხმოვნები.

კონსონანტური რიგებიდან შედარებით სიმარტივით ბილაბიალური რიგი გამოირჩევა. ფუძე ენაში ბილაბიალური ხშულები წარმოდგენილია ხშულთა სამეულებრივი სისტემით. როგორც მოსალოდნელი იყო, ბ და ფ თანხმოვნები შედარებით ხშირად გვხვდება, ხოლო მკვეთრი კ ფონემა კი შედარებით იშვიათად. ბილაბიალურ რიგში არ დასტურდება სპირანტები. ბილაბიალური სონორი მ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიხშირით არის წარმოდგენილი რეკონსტრუირებულ ძირ-ფუძეებში. იგივე შეიძლება ითქვას ბილაბიალურ ჯ სონანტზე. შესაძლოა ამ ფონემას ხმოვნური წარმოშობა ჰქონდეს. რამდენიმე ბგერათშესატყვისობის საფუძველზე ჩვენ აგრეთვე აღვადგენთ ლაბიოდენტალურ ყრუ ϕ სპირანტს. მისი მ დერი კორელატის არსებობა არსებულ მასალაზე დაყრდნობით არ დასტურდება. ბილაბიალურ ფონემებს არ უნდა ჰქონოდა რაიმე სახის კოარტიკულაცია.

ბილაბიალურთან შედარებით, მეტი სირთულით გამოირჩევიდა დენტალურ ფონემათა რიგი. დენტალური ფონემები წარმოდგენილი იყო ხშულთა სამეულებრივი სისტემით: დ, თ და ტ თანხმოვნებით. აღნიშნული ფონემებს გააჩნია ლაბიალიზებული დ°, თ° და ტ° კორელატებიც, რომლებიც სრული სახით შემონახულია აფხაზურ-აბაზურ და უბიხურ ენებში. პალატალიზებული დენტალური ფონემების არსებობა არსებულ მასალაზე დაყრდნობით არ დასტურდება. ასევე, არ დასტურდება დენტალური სპირანტული ფონემების არსებობა. ამის საპირისპიროდ, გვხვდება სონორული დენტალური ნ და რ ფონემები. მათი ხვედრითი სიხშირე საკმაოდ დიდია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რ ფონემა თითქმის არასდროს არ არის წარმოდგენილი ძირ-ფუძის თავში.

პროტოაფხაზურ-ადილური კონსონანტიზმის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და არქაული ატრიბუტი ლატერალურ ფონემათა რიგია. ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული ლატერალური ქვესისტემა წარმოდგენილია ორი ხშული-აფრიკატით, მ ღერიტა და აბრუპტიულით. ამ ფონემათა ყრუ-ფშვინვიერი კორელატის რეკონსტრუირება პრობლემატურია. აღსანიშნავია, რომ არცერთი ამ ფონემთაგანი არ გვხვდება ცოცხალ აფხაზურ-ადილურ ენებსა და დიალექტებში. ამის საპირისპიროდ, ლატერალური სპირანტები წარმოდგენილია მ ღერი და ყრუ-ფშვინვიერი თანხმოვნებით. ორივე ფონემა გვხვდება ჩერქეზულსა და უბიხურ ენებში, ხოლო აფხაზურ-აბაზურში კი რეფლექსის სახით მოგვცა შიშინა სიბილანტები. საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აგრეთვე აღვადგენთ ლატერალური ლ სონორს. ცოცხალი ენებიდან ეს ფონემა მხოლოდ აფხაზურ-აბაზურს შემორჩა, ხოლო ჩერქეზულსა და უბიხურში ის აღარ გვხვდება. ლატერალურ ფონემებთან მიმართებით არც თანამედროვე და არც ფუძეენურ ვითარებაში არ დასტურდება არც ლაბიალიზაცია და არც პალატალიზაცია. ლატერალურ ფონემათა კომპლექსური სისტემის რეკონსტრუირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთოკავკასიური ენობრივი კავშირების დადგენისთვის. ამ რიგის პოვნირება ფუძეენურ ქრონოლოგიურ დონეზე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აფხაზურ-ადილური ენების ფონემატურ და სტრუქტურულ სიახლოვეს ნახურ და დაღესტნურ ენებთან, სადაც აღნიშნული რიგის ფონემები ცოცხალ ენებში ფართოდ არის წარმოდგენილი.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ-ადილური ფუძეენური კონსონანტიზმის ყველაზე რთულ უბანს სიბილანტთა შისტემა წარმოადგენს. ამ ქვესისტემის შედარებით მარტივ უბანს სისინა სიბილანტთა რიგი წარმოადგენს. ხშულთა რიგი წარმოდგენილი სამეულებრივი სისტემით, სადაც აღვადგენთ *ძ, *ც, *წ ფონემებს. სპირანტთა რიგი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბინარულია და ზ, ს თანხმოვნებით არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რიგის ფონემები შედარებით სტაბილურია და მეტწილად იდენტური შესატყვისობებით

არის წარმოდგენილი. აღნიშნული ფონემები სრული სახით წარმოდგენილია ყველა აფხაზურ-ადიღურ ენა-კილო-თქმაში. სისინა სიბილანტთა არც პალატალიზაცია და არც ლაბიალიზაცია ფუძეენურ ვითარებაში არ დასტურდება.

სისინა სიბილანტებთან შედარებით უფრო რთულ უბანს სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგი წარმოადგენს. აღნიშნული რიგი აფხაზურ-ადიღურ ენებს არა მხოლოდ მონათესავე კავკასიურ ენებს, არამედ მსოფლიოს ენებს შორისაც გამოარჩევს. როგორც ნავარაუდები იყო, სისინ-შიშინა აფრიკატთა რიგი წარმოდგენილია სამეულბრივი, ხოლო სპირანტთა რიგი კი წყვილეული სისტემით. ამ რიგში ჩვენ აღვადგენთ *ძ', *ც', *წ', ზ', ს' ფონემებს. ყველა ზემოთხსენებულ ფონემას გააჩნია ლაბიალიზებული კორელატები *ძ^ლ, *ც^ლ, *წ^ლ, ზ^ლ, ს^ლ. სისინ-შიშინა ფონემებში პალატალიზაციის პროცესი არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ყველაზე სრულყოფილი სახით სისინ-შიშინა ფონემები უბიხურმა ენამ შემოინახა, ხოლო აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ქვესისტემებში ამ რიგმა მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა.

წინა ორი რიგის მსგავსად, შიშინა სიბილანტებიც ჯ, ჩ, ჭ აფრიკატების სამეულბებად, და ჟ, შ სპირანტების წყვილბებად იყოფა. განსხვავებით სისინ-შიშინა კორელატებისგან, საერთოაფხაზურ-ადიღურ შიშინა სიბილანტებს შორის არ დასტურდება ლაბიალიზაცია. ამის საპირისპიროდ, ყველა საერთოაფხაზურ-ადიღურ შიშინა სიბილანტს გააჩნია პალატალიზებული კორელატი.

სიბილანტების მსგავსად, საერთო აფხაზურ-ადიღური ფუძე ენის უკანაენისმიერ თანხმოვანთა სისტემაც სირთულით გამოირჩევა. გუტურალურ (ველარულ) რიგში გვხვდება სადა გ, ქ, კ, ღ', ხ' ფონემები. აღსანიშნავია, რომ სადა გუტურალური ხშულები შედარებით ნაკლები სიხშირით არის პოვნიერი ცოცხალ აფხაზურ-ადიღურ ენებში, განსაკუთრებით ადიღურსა და უბიხურში. აგრეთვე, ადიღურისგან და უბიხურისგან განსხვავებით აფხაზურ-აბაზურ ენებში არ

გვხვდება კორელაცია გუტურალურ (ველარულ) და უვულარულ სპირანტებს შორის. გარდა მ ღერი ღ' სპირანტისა, ყველა სხვა დანარჩენი გუტურალური სპირანტისათვის ფუძეენურ მდგომარეობაში აღდგება როგორც ლაბიალიზებული აგრეთვე პალატალიზებული კორელატი. რაც შეეხება ღ' ფონემას, არსებულ ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით მისი ლაბიალიზებული კორელატის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა.

ცალკე აღნიშვნის საკითხია ველარული α სონორი. ის როგორც წესი, წარმოდგენილია იდენტური შესატყვისობებით და გვხვდება ყველა აფხაზურ-ადილურ ენა-კილო-თქმაში.

საერთოაფხაზურ-ადილურ უვულარულ ფონემათა რიგში აღდგება β , ζ , η , ρ , χ კონსონანტები აღდგება. ვინაიდან დრეისათვის კავკასიურ მკვლევართა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ ფონემათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის შესახებ, ჩვენს ნაშრომში β , ζ , η აღნიშნულია არა როგორც ფარინგალური, არამედ უვულარული ფონემები რომელთა სპირანტული კორელატებიც ფონემები δ , χ არის. უნდა აღინიშნოს, რომ β ფონემა არ გვხვდება არათუ არცერთ ცოცხალ აფხაზურ-ადილურ ენაში, არამედ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც კი. მისი რეკონსტრუქცია მხოლოდ რეფლექსებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ასევე, β ფონემას ფუძეენურ ვითარებაში არ გააჩნია პალატალიზებული კორელატი. ყველა დანარჩენ უვულარულ ფონემას საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე გააჩნია როგორც ლაბიალიზებული ასევე პალატალიზებული კორელატი.

საერთოაფხაზურ-ადილურ ფუძე ენაში ფარინგალური θ და ζ სპირანტული ფონემებია წარმოდგენილია. ადილურ ენებში გვხვდება მხოლოდ ყრუ-ფშვინვიერი ფარინგალური სპირანტი, აფხაზურ-აბაზურში ყრუ-ფშვინვიერიც და მ ღერიც, ხოლო უბიხურში კი არცერთი არ არის წარმოდგენილი. ორივე ფონემის შემთხვევაში რეკონსტრუირდება როგორც ლაბიალიზებული, აგრეთვე პალატალიზებული კორელატები.

საერთოაფხაზურ-ადილურ კონსონანტურ ბგერათვომპლექსებში გამოირჩევა ორი სახეობა: ბგერათვომპლექსი, რომლის სათავეშიც ბილაბიალური კონსონანტი დგას და B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური ბგერათვომპლექსები, სადაც მეორე კომპონენტი უკანაენისმიერი სპირანტი ან სპირანტოიდი დგას.

ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული საერთოაფხაზურ-ადილური ფონოლოგიური სისტემა ნათლად გვიჩვენებს მის სირთულესა და მრავალფეროვნებას. შესაძლოა, წინარეაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე გაცილებით მეტი ფონემა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა ამისათვის თანამედროვე აფხაზურ-ადილურ ენათა მონაცემები საკმარისი არ არის და აუცილებელია მონათესავე იბერიულ-კავკასიური მასალის შეპირისპირება. გარდა ამისა, კავკასიის ფარგლებს გარეთ გავრცელებული აფხაზური დიალექტების (დალ-წაბალური, სამური, ფსჰური და ახჭიფსოური) შემდგომი კვლევის შედეგების გამოქვეყნებამ, შესაძლოა გარკვეული კორექტივები შეიტანოს რეკონსტრუირებულ საერთოაფხაზურ-ადილურ ფონემატურ ინვენტარში. თუმცა, ფუძემდებური ქრონოლოგიური დონის ძირითადი ფონოლოგიური მახასიათებლები უცვლელი დარჩება.

საერთოაფხაზურ-ადილური ფონემატური სისტემის რეკონსტრუქცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ამ ენობრივი ერთობის, აგრეთვე ზოგადად იბერიულ-კავკასიური ენების სამომავლო კვლევაში.

ცხრილი N 14: საერთოაფხაზურ-ადიღური ფონოლოგიური სისტემა

	ხშულები			სპირანტები		სონორები	
	მ ღერი	ყრუ- ფშვინვიერი	ყრუ- მკვეთრი	მ ღერი	ყრუ		
ბილაბიალური	ბ	ფ	პ			მ	ჟ
დენტალური	ღ	თ	ტ			ნ	რ
დენტალური ლაბიალიზებული	ღ ^o	თ ^o	ტ ^o				
ლაბიოდენტალური				ფ			
ლატერალური	*ლ ⁺		*ლ ⁺	*ლ ⁺	*ლ ⁺	ლ	
სისინა სიბილანტები	ძ	ც	წ	ზ	ს		
სისინ-შიშინა სიბილანტები	ძ'	ც'	წ'	ზ'	ს'		
სისინ-შიშინა სიბილანტები ლაბიალიზებული	ძ ^o	ც ^o	წ ^o	ზ ^o	ს ^o		
შიშინა- სიბილანტები	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ		

შიშინა- სიბილანტები ლაბიალიზებული	ჯ [~]	ჩ [~]	ჭ [~]	ქ [~]	შ [~]	
ველარული (გურტურალური)	ბ	ქ	კ	ღ [']	ხ [']	ღ
ველარული (გურტურალური) ლაბიალიზებული	ბ [°]	ქ [°]	კ [°]		ხ [°]	
ველარული (გურტურალური) პალატალიზებული	ბ [~]	ქ [~]	კ [~]	ღ ^{'~}	ხ ^{'~}	
უველარული	ფ	ც	ყ	ღ	ხ	
უველარული ლაბიალიზებული	ფ [°]	ც [°]	ყ [°]	ღ [°]	ხ [°]	
უველარული პალატალიზებული		ც [~]	ყ [~]	ღ [~]	ხ [~]	
ფარინგალური				ჟ	ჭ [~]	
ფარინგალური ლაბიალიზებული				ჟ [°]	ჭ ^{~°}	
ფარინგალური პალატალიზებული				ჟ [~]	ჭ ^{~~}	

ხმოვნები

დაბალი აწეულობის ღია ვოკალი	ირაციონალური (ნეიტრალური) ხმოვანი
ა	ჟ

ბიბლიოგრაფია

1. აბაევი 1958, I : Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I, М., Изд-во АН СССР, 1958
2. აბაევი 1973, II : Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. II, Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.), 1973
3. აბაევი 1979, III: Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. III. Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.), 1979
4. აბაევი 1989, IV : Абаев В. И., Историко-этимологический сл
5. აბდოკოვი 1973 : Абдоков А. И., Фонетические и лексические параллели абхазско-адыгских языков [Сравнительный словарь общих лексических единиц абх.-адыг. языков, 38-79], Нальчик Кн. изд.-во "Эльбрус", 1973
6. აბდოკოვი 1976 : Абдоков А. И., К вопросу о генетическом родстве абхазско-адыгских и нахскодагестанских языков, Нальчик Кн. изд.-во "Эльбрус", 1976
7. ანჩაბაძე 2010 : Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.). Том I. Сухум 2010
8. არისტავა, ბლაჯბა და სხვა 1968 : Ш. К. Аристава, Х. С. Бгажба, М. М. Циколиа, Л. П. Чкадуа, К. С. Шакрыл Грамматика Абхазского Языка. Алашара. Сухуми 1968
9. ახვლედიანი 1949 : ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, II გამოცემა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1949
10. ბალყაროვი 1952 : Балкаров Б.Х. Особенности бесленеевского диалекта кабардинского языка. Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук. М., Институт языкознания АН СССР, 1952
11. ბალყაროვი 1979 : Балкаров Б. Х., Введение в абхазско-адыгское языкознание, Учебное пособие, Нальчик, 1986

12. ბაღყაროვი 1987 : Балкаров Б. Х. История Некоторых Согласных и Гласных Адыгских Языков. Нальчик 1987
13. ბაღოვი 1968 : Багов П. М., Кубано-зеленчукские говоры кабардино-черкесского языка. Под ред. Г. В. Рогава [Тексты: стр. 133-150], Нальчик, Каб.-Балк. кн. изд-во (КБ НИИ при Сов. Министров КБ АССР), 1968
14. ბერსიროვი 2011, 2012, 2013 - Берсиров Б.М. (гл. ред.), Гишев Н.Т. и др. Толковый словарь адыгейского языка в трех томах. Майкоп 2011, 2012, 2013
15. ბერსიროვი და ბერსიროვა 2018 : Берсиров Б. М., Берсирова С. А. Убыхско-адыгейско-русский словарь. Майкоп 2018
16. ბლაჟბა 1964 : Бгажба Х. С. Бзыбский диалект абхазского языка. Тбилиси 1964
17. გამყრელიძე 2000 : გამყრელიძე თ., რჩეული ქართველოლოგიური შრომები : კრებული (ავტორი). - თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა , 2000
18. გამყრელიძე, ივანოვი 1984 : Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы (Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры). С предисловием Р. Якобсона, Тб., Изд-во ТГУ, т. I, 1984 გამყრელიძე,
19. გენკო 1988 : Генко А. Н. Абхазско-русский словарь. Сухуми 1988
20. გომევი 2013 : Гишев Н. Т., Споры вокруг этнонимов «черкес» и «адыгэ»., Вестник Адыгейского государственного университета. Серия 2: Филология и искусствоведение. 2013. №1 (114). ხელმისაწვდომია <https://cyberleninka.ru/article/n/spory-vokrug-etnonimov-cherkes-i-adyge> [ნანახია 30 მაისს, 2019]
21. დობო 2007 : Дыбо, В.А. Западнокавказская акцентологическая реконструкция. Лингвистическая компаративистика в культурном и историческом аспектах. М., 2007. გვ. 88-113
22. დირი 1928 : Dirr A. Die Sprache der Ubychen: Grammatische Skizzen. Leipzig, 1928.

23. დოუმეზილი 1931 : Dumézil G., La langue des Oubykhs; Paris (Collection linguistique publiée par Société de Linguistique de Paris, XXXV), 1931
24. დოუმეზილი 1933 : Dumézil G., Introduction à la grammaire comparée des langues Caucasiennes du Nord, Paris (Bibliothèque archéologique et historique de l'Institut Français d'archéologie d'Istanbul, XIV), 1933
25. დოუმეზილი 1965: Dumézil G., Le verbe oubykh. Études descriptives et comparatives. Avec la collaboration de Tevfik Esenc, 1965
26. ვოდოჟოკოვი 1960 : Водожоков Х. Д (ред.). Русско-адыгейский словарь. М.: Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1960
27. ვაუხი და ფსიუზა 1997 : Vaux B, Pəsiyа Z. Sadz Dialect of Abkhaz. Harvard Working Papers in Linguistics 6, 1997
28. თხარკახო 1965 : Тхаркахо Ю. А. Особенности чемгуйского диалекта адыгейского языка Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. — Институт языкознания АН СССР. — Москва: 1965.
29. იაკოვლევო 1928 : Яковлев Н. Ф.,
«Краткий обзор черкесских (адыгейских) наречий и яз.», «Записки сев.-кавказского Горского краеведческого института», т. I, Ростов н/Д., 1928
30. იაკოვლევო 2006 : Н. Ф. Яковлев Грамматика абхазского литературного языка. Сухум 2006
31. იენსენი 2004 : Jensen, J., Principles of generative phonology. Amsterdam: John Benjamins. 2004
32. ივანოვი 1984 : Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы (Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры). С предисловием Р. Якобсона, Тб., Изд-во ТГУ, т. II, 1984
გამყრელიძე-მაჭავარიანი

33. ინალ-ოგა 2015 : Инал-ыпа Ш. Д., Убыхи. Историко-этнографический очерк., Сухум⁵ 2015
34. კარდანოვი 1957 : Апажеев М. Л., Багов Н. А., Багов П. М., Балкаров Б. Х., Коков Дж. И., Жакамухов Х. Х., Урусов Х. Ш. Кабардинско-русский словарь / Под общей редакцией Карданова Б. М. - М.: Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1957
35. კასლანდია 2005 : Касландзия В. А. Абхазско-русский словарь (в 2 томах). Сухум 2005
36. კასლანდია და ჯონუა 2016 : Касландзия В. А., Джонуа Б. Г., Русско-абхазский словарь: в трех томах. Сухум 2016
37. კემპბელი 2013 : Campbell L., Historical Linguistics (an Introduction), Third edition. MIT Press, 2013
38. კემპბელი და მიქსკო 2007 : Campbell L, Mixco M. J., A Glossary of Historical Linguistics., Edinburgh University Press. 2007
39. კერაშევა 1957 : Керашева З. И., Особенности шапсугского диалекта адыгейского языка; Адыг. кн. изд-во (Адыг. НИИ яз., лит-ры и истории); Майкоп, 1957
40. კლიმოვი 1978 : Климов Г. А., Климов Г.А. Структурные общности кавказских языков. М.: Наука, 1978
41. კლიმოვი და ჰალილოვი 2003 : Климов Г. А., Халилов М. Ш., Словарь кавказских языков: сопоставление основной лексики. Восточная литература, М., 2003
42. კოლარუსო 2004 : Colarusso J., Proto Northwest Caucasian, or How to Crack a Very Hard Nut. Journal of Indo European Studies. 22 (1), 2.1. 1944. pp. 1-35
43. კუიპერსი 1975 : Kuipers A. H., A Dictionary of Proto-Circassian Roots: The Peter de Reader Press, 1975

⁵1994 წლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცემულ ზოგიერთ პუბლიკაციაში გამოყენებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ტერმინოლოგია

44. კუმახოვა 1972 : Кумахова З.Ю. Развитие адыгских литературных языков. Отв. ред. Ю.Д. Дешериев. — М.: Наука, 1972
45. კუმახოვი 1967 : Кумахов М. А., Убыхский язык. — Языки народов СССР, т. IV, М., 1967
46. კუმახოვი 1981 : Кумахов М. А. Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков. — Москва 1981.
47. კუმახოვი, კუმახოვა და ვამლინგი 1996 : Kumakhov M, Khumakhova Z and Vamling K., Ergative Case in the Circassian Languages. Lund University, Dept. of Linguistics Working Papers 45. 1996 გვ. 93-111.
48. ლადეფოგდი და მადიესონი 1996 : Ladefoged P., Maddieson I., The Sounds of the World's Languages (Phonological Theory). Oxford 1996
49. ლომთათიძე 1955 : ლომთათიძე ქ. ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართულ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVI, N10, გვ. 821-828. 1955
50. ლომთათიძე 1977 : ლომთათიძე ქ. ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართ. წ - აფხ. შ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული VII, 1977. გვ. 6-58
51. ლომთათიძე 1980 : ლომთათიძე ქ. ქართული მ-სა და აფხაზურ-ადიღური ბ-ს ბგერათფარდობისთვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული VII, 1980. გვ. 56-58
52. მეილანოვა 1975 : Мейланова У. А., Талибов Б. Б. Преруптивы в консонантной системе лезгинского языка//Ежегодник иберийско-кавказского языкознания. Т. 14. , 1975

53. პარი 1974 : Paris C., Textes Chapsough d'Anatolie (Tchherkesse Occidental); Avec Vocabulaire aux Textes, Paris, 1974 პარი 1977 : Paris C., La souris, le grain de sel et la feuille sèche Texte abzakh et vocabulaire du texte, BK, XXXV, Paris, 1977
54. პარი 1978 : Paris C., Deux histoires tcherkesses (Dialekte abzakh), BK, vol. XXXVI, Paris, 1978
55. პარი 1980 : Paris C., Le Garçon adoptif (Conte tcherkesse en dialecte abzakh), BK, XXXVIII, Paris, 1980
56. პარი, ბათუქა 1987 : Paris C., Batouka N., Dictionnaire Abzakh (tcherkesse occidental). II. Phrases et textes illustratifs. vol.1, Paris, Selaf (L'Europe de tradition orale, 6), 1987
57. პარი, ბათუქა 1990 : Paris C., Batouka N., Dictionnaire Abzakh (tcherkesse occidental). II. Phrases et textes illustratifs. vol.2, Paris, Peeters/ Selaf (L'Europe de tradition orale, 7), 1990
58. პარი, ბათუქა 1992 : Paris C., Batouka N., Dictionnaire Abzakh (tcherkesse occidental). II. Prases et textes illustratifs. vol.3, Paris, Peeters/ Selaf (L'Europe de tradition orale, 8), 1992
59. ჟიროვი, ექბა და სხვა 1956 : Гонов С. Х., Дзугов П. А., Жиров Х. Д., Табулов Т.З., Табулова Н.Т., Хачуков З.К., Эскиндаров Я.М. — М.: Государственное издательство иностранных и национальных словарей, 1956.
60. როგავა 1943 : როგავა გ., ხმულთა ოთხეულეზბრივი სისტემა ადილეურს ენებში. - სმამ, ტ. IV, N3, თბ., 1943
61. როგავა 1943ა : როგავა გ., ხმულთა ოთხეულეზბრივი სისტემისათვის კავკასიურ ენებში. - სმამ, ტ. IV, N8, თბ., 1943
62. როგავა 1946 : როგავა გ. ფარინგალურ ხმულთა რიგისთვის ქართველურ და ადილურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი. 1946. გვ. 1-17.

63. როგავა 1955 : როგავა გ. ბგერათა ფარდობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია, 1955 წლის 10 და 11 ივნისს, მუშაობის თეზისები. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 1955, გვ. 12-14
64. როგავა 1973 : გ. როგავა, ბგერათმესატყვისობის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში (ადიღურ ენათა შიშინა სიბილანტების მონაცემების მიხედვით), ტ. XVIII, 1973, გვ. 303-312
65. როგავა 1985 : როგავა გ. ლელვის აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვა და მისი პარალელები აფხაზურ-ადიღურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIII, 1985, გვ. 36-38
66. როგავა 1986 : როგავა გ. მარჯვენა ზედსართავის შედგენილობის საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXV, 1986, გვ. 32-38.
67. სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური 2014 : Национальный состав и владение языками. Том 4. 2014. ხელმისაწვდომია http://www.adg.gks.ru/wps/wgm/connect/rosstat_ts/adg/resources/693e4a004fa4221aa8d7a8ca6ff6f188/%D0%A2%D0%BE%D0%BC+4.+%D0%9D%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9+%D1%81%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0%D0%B2+%D0%B8+%D0%B2%D0%BB%D0%B0%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5+%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA%D0%B0%D0%BC%D0%B8%2C+%D0%B3%D1%80%D0%B0%D0%B6%D0%B4%D0%B0%D0%BD%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE.pdf [ნანახია 30 მაისს, 2019]
68. სიტიმოვა 2004 : Ситимова С. С., Особенности бжедугского диалекта адыгейского языка. Автореферат диссертации на соискание научной степени кандидата филологических наук. На правах рукописи. Майкоп 2004

69. სოსიური 2011 : Saussure F., Course in General Linguistics. Translated by Wade Baskin. New York. Colombia University Press 2011
70. სტაროსტინი და ნიკოლაევი 1994: Starostin S. & Nikolaev S., A North Caucasian Etymological Dictionary. Asterix Publishers. Moscow
71. სტაროსტინი 2007 : Старостин С. А., М., Труды по языкознанию. Языки славянских культур, 2007
72. ტრუბეტკოი 1922 : Trubetzkoy N., Les consonnes latérales des langues caucasiques-septentrionales; Bulletin de la Societe de Linguistique de Paris, XXIII, Fasc. 3 (N70), Paris; 1922
73. ტრუბეტკოი 1926 : Troubetzkoy N., Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen. I. Die "Kurzen" und "geminierten" konsonanten der awaro-andischen Sprachen; Caucasia, Fasc. III, Leipzig; 1926
74. ტუგოვი 1967 : Абазинско-русский словарь. Около 14.000 слов. Под редакцией Тугова В. Б. С приложением краткого грамматического очерка абазинского языка; М., "Сов. Энци." (КарачаевоЧерк. НИИ яз., лит., истории и экон.), 1967
75. უსლარი 1862 : Услар П. К. Абхазский Язык, 1862
76. უჯუხუ 1976 : Уджуху Т. Ш. Преруптивные согласные западных диалектов адыгейского языка. - Строение предложения в адыгейском языке, Майкоп 1976
77. ფოგტი 1963 : Vogt H., Dictionnaire de la langue oubykh. Oslo. Universitetsforlaget 1963
78. ფოქსი 2007 : Fox A. Linguistic Reconstruction: An Introduction to Theory and Method (Oxford Textbooks in Linguistics), Oxford University Press. New York 2007
79. შენგელია 2006 : შენგელია ვ., ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბ., 2006
80. ჩირიკბა 1996 : - Chirikba V. A., The common West Caucasian. The Reconstruction of its Phonological System and Parts of its lexicon and Morphology, Leiden, 1996
81. ჩირიკბა 1996ა : Chirikba V. A., A Dictionary of Common Abkhaz, Leiden, 1996

82. ჩირიკბა 1999 : Chirikba V., The West Caucasian Material in “The North Caucasian Etymological Dictionary” by S.A. Nikolayev and S.A. Starostin. In: H. v.d. Berg (ed.). Studies in Caucasian Linguistics, Leiden: CNWS Publications, 1999, გვ. 152-170
83. ჩირიკბა 2003 : Chirikba V. A., Abkhaz., Lincom Europa 2003
84. ჩიქობავა 1979 : ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
85. ჩიქობავა და ცერცვაძე 1962 : ჩიქობავა არნ., ცერცვაძე ი. ხუნძური ენა., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1962
86. ჩუხუა 2007 : ჩუხუა მ., ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში. - არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესია მასალები, თბილისი., 2007
87. ჩუხუა 2007ა : ჩუხუა მ., დენტალური რიგის ბგერითი შესატყვისობანი ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში. - არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი, 2007
88. ჩუხუა 2008 : ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008
89. ჩუხუა 2008 : ჩუხუა მ., საერთოკავკასიური სამეურნეო ყოფა (შენობა-ნაგებობები). - არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIX, თბილისი., 2008
90. ჩუხუა 2009 : ჩუხუა მ., პროტოკავკასიური ფუძე-ენის ლექსიკური შედგენილობისათვის (დრო, ცა, მნათობები, ბუნების მოვლენები). - არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, თბილისი., 2009
91. ჩუხუა 2011 : ჩუხუა მ., კვართი და სხვა სამოსელი საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. - ქართველურ ენანათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი., 2011
92. ჩუხუა 2017 : ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური მიეზანი. თბილისი 2017